

917722981095006

საზოგადოებრივ-ცოცხალთა რაიონი



სვ

პრილი

1134
2014



2014/ბაქაბაქი

10 (230)

“ზოგი სიკი”

კომპოზიციის თვალსაზრისით

სარჩევი

- პოეზია** 1 პაატა შამუგია | ორი პოემა
- 8 დათო ყანჩაშვილი
- პროზა** 12 გიგი გულედანი | სიტუაცია დაღესტანში
- თარგმანი** 17 ჯონ აპდაიკი | ქორი
ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიაშ
- 23 ელის მანრო | სახე
ინგლისურიდან თარგმნა ალექსანდრე ჭელიძემ
- ესე** 33 ჯაბა ზარქუა | მკითხველი უნდა მოკვდეს
- 36 დინ ფლაუერი | "მოზი დიკი" ეკოლოგის თვალსაზრისით
ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ
- 46 ბორის კაჩკა | თომას პინჩონის ნაკვალევზე
- რეცენზია** 57 ანდრო ბუაჩიძე | შელოცვათა წიგნი
- 60 ანდრო ბუაჩიძე | სხვა რეალობაში
- 63 ზაზა შათირიშვილი | ლევან ბერიძის რომანი „ფორა“

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Ariil"

რედაქტორები

მახზავ ხარბედია
შადიშან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამალობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,
ზურაბ კიკნაძე, თამარ ლებანიძე,
ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი,
ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე,
ბაკურ სულაქაური, ირმა ტაველიძე,
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.



არილი - დასასკენებელი სინამდობა

სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდბარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის
მარლი

ხალხური



ელექტრონული ფოსტა: info@arilim.ge
ვებგვერდი: arilim.ge

გამოდის 1993 წლიდან

© ყურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ყურნალი გამოდის საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა დაცვის
სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით



პაატა შამუგია

გეოპოლიტიკური ჩიტები

*[პატივისცემის ნიშნად ეძღვნება ორ ჩიტს,
რომლებიც ჩემს აივანზე მოდიან ხოლმე]*

ჩიტებს აქვთ თავიანთი პოლიტიკა,
რომელიც განსხვავდება ადამიანის პოლიტიკისგან.
ყველას ესმის, რომ პოლისის ჩიტური გაგება
არ ჰგავს პოლისის ანტიკურ იდეას,
მათი პლატფორმა წმინდად ჩიტურია,
ყოველდღიური ფრენა-ფრენით მოპოვებული,
მაგრამ არის მასში რაღაც ისეთი,
რაც ცხოვრების ღერძს ამყარებს.
ჩიტებმა ხანგრძლივი ინტელექტუალური გალობა-შრომის შედეგად
მოიპოვეს უფლება, აღარაფერს წარმოადგენდნენ,
გარდა საკუთარი თავისა,
და ზოგჯერ, ამასაც კი აღარ წარმოადგენდნენ,
(განსაკუთრებით მაშინ, თუ ცივა და საკუთარ ბუმბულებში შეყურსულებს
ქარი ეხლებათ,
ან მაშინ თუკი დიდ ქვაბში იხარშებიან),
ესე იგი, მხოლოდ ჩიტები იყვნენ,
თავიანთი ჩიტობით შემოსაზღვრულები.
განსხვავებით ადამიანისგან,
რომელსაც საკუთარი არსებობის დასამტკიცებლად
ბევრი არაადამიანური საგნის მოშველიება უნევს
უამრავ კომპრომისზე უხდება ნასვლა,
ჩიტი მხოლოდ თავისი ჩიტობით ჩიტობს
კაცი ვერ კაცობს თავის კაცობით
თუ არა აქვს სახელფასო დანამატი,
პოპულარობა და მ-სათაინი ძილი.
კაცობრიობა ბაძავს ჩიტობრიობას,
ფრთებს იმაგრებს ზურგზე, ცდილობს იფრინოს,
მაგრამ მთავარი ფრენის სურვილი არაა,
მთავარია პოლიტიკა,
რომელსაც ჩიტობრიობა ახორციელებს
და რომელსაც ადამიანი ვერ ახორციელებს,
ისტორია ამძიმებს.
არაფინ იცის ჩიტების პოლიტიკა დაზუსტებულად,
ადამიანი კი რა ჩიტიცაა, ვინ არ იცის?!
ჩიტების დასახელება შეუძლებელია,
ჩიტები რომ დაასახელო,
უნდა იცოდეს ჩიტების პოლიტიკა,
მაგრამ ადამიანი ვერ დასახელებს,
რადგან ჩიტების პოლიტიკა არ იცის,
თავის მხრივ, ვერც ჩიტი ვერ დასახელებს,
რადგან ჩიტის მეტყველება არ ცნობს დასახელებას,
როგორც თვითიდენტიფიკაციის მომგებიან ფორმას.
ამიტომ ჩიტი ჯერჯერობით რჩება დასახელების გარეშე.
და ის რომ მათ ჩიტებად მოვიხსენიებთ,
ნიშნავს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ზედაპირზე ვსრიალებთ,
ხოლო მისი პოლიტიკა ვერ გავიგია.
ეს ნიშნავს, რომ „ჩიტის“ წარმოთქმისას,



190



ჩვენს სულში არსებული შინაარსები არ გადალაგდება იმნაირად, რომ მან ჩიტის ხატი შექმნას. ამიტომ ჩიტები მოუხელთებლვად რჩებიან. მათი მომწყვედევა მხოლოდ ჩიტურ კანონმდებლობას შეუძლია. დამნაშავე ჩიტები ვადიან რესოცილიზაციას, ისინიც კი, რომელთაც ბრალი შეეფარდათ ჩიტობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის, ელოდებიან თავიანთ რიგს. ჩიტების სამართლებრივი ბაზა მიამიტურია და, ჩემი მოკრძალებული აზრით, სახიფათოც. მაგრამ მასზე საუბარი საჭიროა. როდესაც ჩვენ არ ვლაპარაკობთ რამეზე, არაფერი იცვლება, რამეც კი. მაგრამ როდესაც ჩვენ არ ვლაპარაკობთ რამეზე, მაშინ, ის, რაზეც ჩვენ არ ვლაპარაკობთ, თავად იწყებს ლაპარაკს იმაზე, რაზეც ჩვენ არ ვლაპარაკობთ, ლაპარაკობს და უჩვენებს ჩიტი. ჩიტი ტელევიზორია. ტელევიზორი მეტაფორაა, რომელმაც ჩიტი უნდა გამოთქვას. რადგან ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროში, რომელშიც მხოლოდ ტელევიზორს შეუძლია გამოთქვას, ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია დავადასტუროთ, დავაამინოთ, დასტური ვცეთ იმას, რასაც ტელევიზორი გამოთქვამს. ის კი, რასაც ტელევიზორი არ გამოთქვამს, არც არსებობს, ისტორიაში არ რეგისტრირდება და მეხსიერების პერიფერიაზე ირჩევა. ეს კი სირცხვილის აქტია, რომელიც ჩვენს შუბლებზე იწერება, და რომლითაც ჩვენი არსებობა სათუო ხდება. არიან ადამიანები, რომლებსაც სჯერათ, რომ ჩიტები არ არსებობენ, მაგრამ როგორ შეიძლება ჩიტები არ არსებობდნენ, როდესაც ისეთი იდიოტიც კი არსებობს, როგორიც ალექსია ფილმიდან „მექანიკური ფორთოხალი“. და თუ არსებობს ალექსი ფილმიდან „მექანიკური ფორთოხალი“, ეს გვიჩვენს გონივრულ ეჭვს, რომ ჩიტი კიდევ უფრო არსებობს, ძალიან არსებობს, გადაჭარბებულადაც კი. როგორც მწერალმა-ქადაგმა თქვა, თუ ჩიტი არ არსებობს, მაშინ ყველაფერი დასაშვებია... და თუ ყველაფერი დასაშვებია, მაშინ ჩიტის არსებობა შეუვალი ხდება. ჩიტი უნდა დაინახო. უოლეს სტივენსმა 13 სხვადასხვა მხრიდან დაინახა ერთი ჩიტი, თუმცა სკეპტიკოსები ირწმუნებიან, რომ მან ჩიტი კი არა, თავისი შთაბეჭდილება დაინახა ჩიტის შესახებ, ხოლო ჩიტი ამ შთაბეჭდილების მიღმა ისე არხეინად სკლინტავდა, ვითომც აქ არაფერი. მაგრამ ეს ჩიტების კეთილშობილ ხატს არ ცვლის. ჩიტი არ გვიყურებს საკუთარი სოციალური კეთილდღეობის ბოლო საფეხურიდან. ჩიტი ბუდეს იკეთებს, ადამიანი კარიერას, ამიტომ ჩიტი ბედნიერია, ადამიანი - ხანდახან. უხეირო ყვავიც კი სწვდება ცხოვრების მრავალ გამოწვევას და ის, რასაც ბიოლოგიის წიგნები მასზე გვიამბობენ,

შავი პიარის ნაწილია,
 მტრებმა რომ შეუთხზეს.
 მისი მაღალი პოლიტიკური ცნობიერება
 ამხელს საგანთა მკაცრ ლოგიკას:
 როცა ის რამე კურკოვანს ნახავს,
 ჯერ უკანალზე მოიზომებს,
 აქაოდა, თუ გამომეტევაო,
 და მხოლოდ ამის შემდეგ ვიახლებათ ეს წინდახედული არსება.
 თუმცა არსებობენ გულსაკლავად მიაშიტი ჩიტებიც,
 ცხოვრებას ალლო რომ ვერ აუღეს:
 დედალ მტრედებს მარტობაში არ შეუძლიათ კვერცხის დადება,
 ამისათვის მამალს უნდა უყურონ.
 მოშინაურებულ მტრედებს ხშირად ასე ატყუებენ:
 დაუდებენ წინ სარკეს,
 უყურებს მტრედი და ჰკონია სარკიდან თავისი
 საყვარელი შემოსციცინებს
 და დებს და დებს კვერცხებს.
 მარტობა ევოლუციურად წამგებიანი მოცემულობაა,
 აი ამას ნიშნავს ეს ისტორია.

ჩემს მუცელში ცხოვრობენ ჩიტები
 და როცა შეყვარებული მეფერება,
 ისინი ფრთხილს იწყებენ
 და რაც უფრო მეფერება,
 მით უფრო და უფრო ფრთხილებენ
 და ძალიანძალიან თუ მეფერება,
 ისინიც ძალიანძალიან ფრთხილებენ.
 ბოლოში სწრაფად ფრთხილებენ.
 უფრო სწრაფად ფრთხილებენ,
 სწრაფად ფრთხილებენ,
 სწრაფად...

ჰო...
 ასე...

როცა ვეცემი,
 შუბლზე ამომდის ფანჯარა, რომელიც ღიაა,
 და შემოდინ ჩიტები,
 იკეთებენ ბუდეებს
 და საუბრობენ ჩიტურ პოლიტიკაზე,
 რომელიც არაა რთული,
 უბრალოდ, უნდა მოუსმინო.

მე მინახავს ჰიპსტერი ჩიტები,
 გამოყოფილები საზოგადოებრივ რუტინას,
 განსხვავებულები, უდროოები, ლამაზები...
 და იქვე: დაბოლმილი ჩიტებიც,
 ყოველი უცხო გალობა ბოროტებად რომ ეჩვენებათ,
 „ჩიტობას გვართმევენ, ეჭეჭეიი!“ - გაჰგალობენ ისინი გამუდმებით
 და გულზე ფრთას იბრაგუნებენ
 უმრავლესობის ზუზუნის ზონაში უსაფრთხოდ შეხიზნულები.
 ჩიტი გვარზე ფრენს, მათი ბარტყებიც
 აგრძელებენ დაულალავ ფრენას ქარის მიმართულებით.

არიან ალტერნატიული ჩიტები,
 რომლებიც თემის დაწესებულ ნორმებს უჯანყდებიან
 და ციცქნა ბარიკადებზე დაძვრებიან
 და ციცქნა ფრთებს

ციცქნა დროშებზეთ აფრიალებენ
 და ისეთი გამკვივანი ხმით გალობენ
 მტრების წინააღმდეგ,
 ჩიტის გულიც ვერ მოითმენს.
 წმინდა არს ყოველი მებაბოხე ჩიტი,
 მაგალითად, კოლიბრები,
 რომელთაც უკულმა ფრენაც შეუძლიათ
 და ამის გამო, არაერთხელ გადაუციათ ანათემაზე
 შავსამოსიან ყვავ-ყორნებს.

არსებობენ პოპულისტი ჩიტები,
 რომლებიც დემაგოგიურ გალობას ეწევიან
 და ამით აუდიტორიის გულს იოლად ინადირებენ,
 მაგალითად, ბულბულები,
 მათ დათაფლულ ნოტებში
 მუდმივად მომგებიანი თემები ისმის.
 ამ დროს ბელურების ერთგული კენესა
 ჰაერში ისე იფანტება,
 თითქოს არც ყოფილიყოს.
 სამყარო ხავსეა უსამართლობით.
 რამე უნდა იღონონ ჩიტებმა.
 რამე უნდა იღონონ ადამიანებმაც.
 სამყარო ხავსეა განსაცდელით.
 რას იზამენ ჩიტები,
 როდესაც რუსეთი ბირთვულ იარაღს აამოქმედებს?
 ვერაფერს, დაიხოცებიან.
 და რას იზამენ ადამიანები,
 როდესაც რუსეთი ბირთვულ იარაღს აამოქმედებს?
 ვერაფერს, ისინიც დაიხოცებიან.
 სწორედ ესაა განსხვავება.

არ არსებობს შემთხვევითი სიკვდილი,
 ადამიანი მხოლოდ მაშინ კვდება,
 როდესაც ამისთვის მზად არის.
 ადამიანი კვდება, არაფერში შეჯამდება,
 ორიოდ ცრემლი და დაეინყებაც მოდის.
 ასე მითხრა სვედიანმა ჩიტმა
 და განაგრძო მონოტონურად:
 არ არსებობს შემთხვევითი სიკვდილი,
 ყველა მაშინ კვდება, როდესაც ამისთვის მზად არის.

რა იციან ორნიტოლოგებმა,
 თუ რა ნალველს იტევს ჩიტი...

შიზოგადობა

ლიტერატურა გახდა შეუძლებელი,
 როგორც მრგვალი ოთხკუთხედი.
 იქნებ ყოველთვის ასე იყო?
 ექო მიაშინებს.
 ვინ აუმუშავებს გრამატიკას გულს?
 მკვდარი ლექსები ჩამოაქვს მდინარეს.
 დანერე, რამდენიც გინდა,
 ერთ ლექსში ორჯერ მაინც ვერ შეხვალ.

მცვია და მოგონებების იმპორტს ვენევი პოეზიაში,
იქნებ სითბო ენაში მაინც ჩამიდგეს,
ვცდილობ, შემოვზიდო სტრიქონებში მერცხლები,
ჩიტები,
მოკლევებიანი გოგონები,
პარკში მჯდომი წყვილი.
რატომ ვცდილობ, შემოვზიდო სტრიქონებში მერცხლები,
ჩიტები,

მოკლევებიანი გოგონები,
პარკში მჯდომი წყვილი?
შეიძლება თუ არა კითხვების მატერიალიზაცია?
ენერ ჩიტს და ვგრძნობ, რომ
მისი ფრთა სავესეა ფრენის შესაძლებლობით.
არის ჩიტის ფრთა სავესეა ფრენის შესაძლებლობებით,
როდესაც ვნერ, რომ
ენერ და ჩიტის ფრთა სავესეა ფრენის შესაძლებლობით?
მნიშვნელობებმა უნდა გაიარონ აკრედიტაცია
სანამ ტუჩის კიდეს გადმოცდებიან.


ენა მკაცრი მებაჟეა,
ზოგ მნიშვნელობას საზღვარზე ტოვებს.
ესვამ არაყს - იდენტობას მიძლიერებს,
დღეს ძალიან პაატა შამუგია ვარ,
გუშინ ცოტათი პაატა შამუგია ვიყავი,
ენერ. ვნერვნერვნერ
ჩემი ტვინის ორივე ნახევარსფერო ჩემი ცხენებია,
მარცხენა ცხენმა არ იცის თუ რასა იქმნ მარჯვენა ლაფშა.
ალღორი მიჭირავს, მაგრამ ვერ ვიმორჩილებ,
მე გახლჩილი ვარ,
ორ-ორი ვარ,

ბინარული ვარ,
მინორული ვარ,
მე ვნერ შიზოგადოებას.
მილორადმა „ხაზარულ სიტყვისკონაში“ აღნიშნა, რომ
ამბავი, საერთოდ, ორჯერ უნდა ითქვას.

მეც ვიმეორებ დაუსრულებლად:
„უნდა გვესმოდეს, ზოგიერთი რამ,
კერძოდ კი - ყველაფერი.
უნდა გვესმოდეს, რომ
პოეზია საგნებისთვის ადგილის შეცვლაა,
და როცა მეტს ვთხოვთ,
ხდება კიდევ უფრო მეტი,
მაგრამ უფრო ნაკლები, ვიდრე პოეზია.“

პოეზია ლოჯისტიკური სამუშაოებით კმაყოფილდება,
გადაიტანე A საგანი A1 სივრცეში.
მე ვნერ, რაც ნიშნავს,
რომ ჩემში მყოფი ყველა მნიშვნელობა დასრულდა
და მათში განვითარების შესაძლებლობა
დასასრულის აგონიაში ამოავსო.

მნიშვნელობები დამთავრდნენ,
მიალნიეს გამოხატვის იდეალურ ნერტილს
და ახლა გაქვავებული ექსპონატები არიან,
დავთვალღორთ „სიყვარული“ (მტკერი დასდებია)
ან კონსპირაციულად ნათქვამი „მეშენიყვარხარ“ ...
ცნობიერების ქალწული ტერიტორიები ათვისებულია,
პირველი ღამის უფლება ჩამოერთვა რეალობის ქმარს - ადამიანს -
და რეკლამას გადაეცა.
ადამიანის ცნობიერებას ახლა რეკლამა ჟიმავეს.





დალიე „ფანტა“, იყავი სანტა.
 ავეჯის გადაზიდვის სერვისი გთავაზობთ საგნების ექსტრაპოლაციას
 ინტელიგიბელურ ნიაღში.

ბევრი უცხო სიტყვა, არც ერთი ჭკვიანი სიტყვა.
 ლაპარაკობს და უჩვენებს ტელევიზორი.

სკანდალი.
 სირცხვილი.
 სიკვდილი.

საინფორმაციო კრიმინალური ქრონიკა.
 მკვლევები კლავენ.
 მკვლევლებსაც კლავენ.
 მეორდება ისტორია,
 როცა ძველ სამყაროში ბიჭი სახელად აბელი მოკლა ძმამ
 (რომლის სახელს უდანაშაულობის პრეზუმფციის გამო
 შეგნებულად არ ვასახელებ).

კიბერ-დედავ, გვანოვე შენი რკინის ძუძუ,
 გაამთელე გადაჭრილი ნეირო-ჭიპლარი
 და ხელახლა გამოგვიბი. სამყარო სავსეა ხიფათებით,
 ჩვენ, კიბერ-თეზევსები გაცილებით სუსტები ვართ,
 ვიდრე ჩვენი ანტიკური ასლები.
 არიადნე გერმანიაშია, მოხუცს უფლის.
 გებრალეობდეს, კიბერ-დედავ,
 შენი კიბერ-შვილები,
 ცივილიზაციის პიკზე მდგომები,
 მაგრამ ველურის ცნობიერებით.

რა არის კიტჩი? - კითხულობს მეგობარი აფრიკიდან,
 რომელმაც სოლოლაკში სპილოს ძვლის საფლავი ნახა.
 და ფილოსოფოსი იქვე პასუხობს:
 კიტჩი ესაა იდეალურის შექმნის მცდელობისას განცდილი მარცხი.

რა უნდა მოგვცეს პოეზიამ?
 ის არ ანარმოებს ბედნიერებას
 არ ამრავლებს დროს და არ ყიდის მას.
 რა უნდა მოგვცეს პოეზიამ?
 ის არაა ბანკი,
 არაა მევახშე,
 მას მხოლოდ საკუთარი თავის დასახელება შეუძლია,
 და ისიც - გაჭირვებით.
 რატომ უნდა მოგვცეს პოეზიამ რამე?

რიტორიკულ კითხვებში ვვარჯიშობ.
 მივდივარ ნინოსთან, თემქის მეთათე კვარტალში.
 კარგი იქნებოდა, ახლოს ეცხოვრა.
 მეგობარი ახლოს უნდა ცხოვრობდეს.
 ვდგავარ ავტობუსის სუნში,
 როგორც მდინარეში,
 ქალაქის შედედებული სიმყრალეც აქვე უხერხულად ჩამომდგარა,
 როგორც შვილის ხელცქვიტობას წასწრებული დედა.
 არ ვიმჩნევთ ერთმანეთს.
 საფანტივით მეყრება გვერდით მდგომის ოფლის წვეთები,
 დინება მოდენის პენსიონერს,
 რომელსაც ადგილს არავინ უთმობს,
 ორი ნაცნობი უკვე ჩამოატარა ოფლის ნიაღვარმა.
 მე ვფიქრობ შენზე.
 მე ვნერ შენზე,

მაშინაც კი, როცა მე ვწერ სხვაზე, მე ვწერ შენზე.
 მაშინაც კი, როცა პრინციპულად არ ვწერ შენზე, მე ვწერ შენზე.

შენ როცა გისმენ,
 თავში იდეების ტყე მიშრიალებს,
 სიბნელიდან ყვავები მოფრენენ
 და ტოტებზე თავს ითავავენ.
 ყვავიან ყვავები...

ჩემი სიტყვები აყვავდნენ და
 დაიბუდე უცხო ხალხის ყურებში.
 საოჯახო ჭურჭელივით უბრალოა ჩემი სიტყვები,
 ჩემი სიტყვები უბრალოა, როგორც ჭურჭელი
 საოჯახო. შესაკრებთა გადანაცვლებით
 ესიმულირებ განწყობის შეცვლას
 ასე ვებრძვი მონყენილობას,
 დეპრესიას,
 მარტოყოფნას.

მე მომწონს შენი უბრალო სახლი,
 „მადონას“ სერვიზი და რაფაელის „მადონა“ ერთ ჭურქვეშ
 გამოხატავენ იდეების სწორხაზოვან სვლას -
 როგორც „თუნუქის დოლში“,
 სადაც შიტლერის და ბეთჰოვენის სურათები
 ერთმანეთს დაბოლმილები შეჰყურებენ
 როგორც მე და შენ -
 როცა ერთმანეთის წარმოსახვის
 გლუვ ზედაპირზე ფეხს ვერ ვიკიდებთ
 და ასე უსინდისოდ ვიტყუებით,
 რომ სიყვარული მარტოობაში ვარჯიშია
 და ეს კარგია.

ეს ცუდია, უნდა შევთანხმდეთ,
 და შეგვიძლია ამაშიც ღმერთს დავდოთ ბრალი.
 მაგრამ ის გამოცდილი დემაგოგია
 და ყოველთვის ექნება ალიბი,
 რომ ჩვენი შექმნისას არ არსებობდა.

ეს სიმღერაა, ხეებიდან დაძრული, კვირტების ენა,
 ეს ტკივილია, ეს სიხარული.
 ეს ქართველი ჟურნალისტიკა,
 თუმცა გულის სიღრმეში - მწერალი.
 ეს სარეკლამო პაუზაა - 25 60 60...

ეს სარკეა,
 მე იქ არასდროს ვიხედები.

ჩემი ტვინის ორივე ნახევარსფერო ჩემი ცხენებია,
 მარცხენა ცხენმა არ იცის თუ რასა იქმს მარჯვენა ლაფშა.
 ალგირი მიჭირავს, მაგრამ ვერ ვიმორჩილებ,
 მე გახლენჩილი ვარ,
 ორ-ორი ვარ,
 ბინარული ვარ,
 მინორული ვარ,
 მე ვწერ შიზოგადობას.

შენ ვინც ყოველ დღით შენს გამხდარ თითებს ჩემს თმებში თესავ
 შენ ვინც თრთოლას ამნიფებ ჩემს ტანზე
 და ჟრუნატელს კრეფ ჩემი ხერხემლიდან,
 როგორც ალუბლებს.
 მე მინდოდა, ეს ჰოემა მომეძღვნა შენთვის.

დათო ყანჩაშვილი

ის კი არ მიყვარს - შენში რაც არის,
 ის მიყვარს შენში, რაც არ არის,
 რაც უნდა იყოს.
 შენში - ეს ჩემთვის განკუთვნილი სიცარიელე,
 შესავსებად რომ დამიტოვე.

და რამდენჯერაც შემოგხედავ
 ვიხედები ფანჯარიდან სახლში
 რომელიც ჩემთვის შეგიძლია იყო.
 და ასეთ დროს,
 თვალს ნუ ხუჭავ
 ნურც ახამხამებ.

სიყვარულმა ასე იცის:
 ადამიანი ხდება სახლი
 რომელშიც ცხოვრობ
 და რომელსაც შენში აცხოვრებ -

ყველაფერი კი იწყება - სიცარიელით,
 შესავსებად რომელსაც ტოვებ.

აი ასე ვკვდებით, თვინიერად და დამყოლად
 ვიცინით, სამახსოვრო ფოტოებს ვიღებთ,
 ვმღერით, ვსვამთ და დაუნანალებით
 ღამით ვარსკვლავების ქვეშ ვდგებით
 ცალ თვალს ვხუჭავთ და მთვარეს თითოს ვაფარებთ
 მზის სხივებს ხელებზე ვივავით
 რომლითაც დღის მანძილზე ერთმანეთს უნდა შევეხოთ,
 წყალში ვდგებით ტერფებამდე და ზღვაზე დაეაბიჯებთ,
 ვენევით და რგოლებს ვუშვებთ
 აი ასე ვკვდებით, სიცილით და უღარდელად
 თან თადარიგს ვიჭერთ,

ფოტოებს ვიღებთ, ვარჩევთ რომელი გავადიდოთ,
 მინას ვიჭებთ სადაც ჯერ ზემოდან უნდა ვიცხოვროთ, მერე პირიქით
 ადგილებს ვიყოფთ, ჩემი ადგილი უფრო დიდია
 ფეხშიშველი დაეაბიჯებთ, წინდანინ ვერჩევით,
 აი ასე ვკვდებით, ვსვამთ, დაუნანალებით და მინას ვერჩევით,
 წვიმაში ვყოფთ სხეულებს, ფეხებს გუბებში ვაბაკუნებთ
 და ღმერთზე ვლაპარაკობთ, რომელიც ჩვენში ჯერ ისევ ცოცხლობს
 და ფოტოებშიც შეიძლება დაინახო, თუ დააკვირდი,
 რომლებსაც ვიღებთ,
 რომლებიც ჩვენს შემდეგ იცოცხლებენ კიდევ დიდხანს,
 რომ მოყვენ რაგორ ლალად ვკვდებოდით.

და როდესაც ერთმანეთს მივუწვებთ
 და მოვა წვიმა რომელიც ველარ დაგვასველებს
 და მოვა თოვლი, რომლიც არ შეგვცვივდება
 და იკაშკაშებენ ვარსკვლავები, რომლებიც ჩვენთვის აღარ მონყდებიან
 და დაგვფარავენ შემოდგომის ფოთლები, რომლებშიც ველარ ჩავეფლობთ ფეხებით,
 იქნებიან ფოტოები, ფოტოებში ვიჭნებით ჩვენ.
 სადაც ჯერ ვკვდებით,
 წვიმაში, თოვლში, შემოდგომის ფოთლებში, ვარსკვლავებში, მზის ხივებში,



ყვედებით და ვიცინით
ყვედებით და გვიხარია
ყვედებით საოცრად.

და რა მშვენიერია კვდომა, რა მშვენიერია სიკვდილთან მიახლოება, როდესაც რამდენიმე ნაბიჯში დგახარ, და შეგიძლია ყველაფერი განიცადო, ყველაფერი ჩაიხედინო, სიყვარულის რათვლით.

ჩვენამდე იყვნენ სხვა ლექსებიც,
რომლებმაც განა უკეთესი ცხოვრება წერეს,
განა ისინი არ ახვედნენ სიტყვებში ტკივილს
ან რითმიდან ამომხტარი სიყვარული
მათ არ სდევნიდათ.

ჩვენამდე იყვნენ სხვა ლექსებიც,
რომლებმაც ცხოვრება სხვანაირად დაასრულეს
არა ისე როგორც წერდნენ,
არამედ როგორც კითხულობდნენ.
განა წერისთვის მემეტები, როცა ვახსენებ
შენს სხეულში ჩაჭედულ თვალებს,
მე სულ სხვა ლექსი მინდოდა შენთვის,
რომელშიც ფეხიც კი არ შედგი
გადაფურცლე და გაგვეღვიძა.
სახლი იყო ჩვენ რომ გვიტყვოდა,
გზა ფეხებში გაბლანდული.

ღმერთი იყო ცოტასშემძლე
და შინაური
ხოლო ცხოვრება - სიტყვებით, რომელსაც თავს ვარიდებდით -
არ აგვხდენოდა.

ჩვენამდე იყვნენ სხვა ლექსებიც,
რომელთაც სცადეს არ ეწერათ,
სცადეს სიზმრები,
სცადეს ღამე,
სცადეს ღმერთი,
სცადეს სიკვდილიც...

ხოლო დუმილი ირღვეოდა ღამის ცასავით
და სიტყვები ვარსკვლავით ცვიოდა დაბლა.

მე მიყვარს შენი სიყვარულით დასვრილი ხელი
როცა ერთმანეთს ტუჩებით ვხედავთ
და სამყარო გვენგრევა თავზე.

რეალობა ემსგავსება შემოდგომას, ყველაფერი ცვივა დაბლა
ქვეყნები ისევ თამაშობენ ომობანას
და მაინც -
მსოფლიოში ყველაზე ცხელი წერტილი ვართ ჩვენ.

სადღაც შორს კი სხვა პატარა ერებთან ერთად
ინვის ჩვენი თავისუფლებაც
და ევროპა ბებერ ხელს ითხოვს.

და ჩვენ განვითარებადი ქვეყნის შვილები ვართ
და ვუყურებთ დასავლეთთან ინტეგრირებულ ტელევიზორს
რომელშიც ცხოვრებას გვიჩვენებენ.

მე მიყვარს შენი სიყვარულით დასვრილი ხელი
 როცა გადარჩენის ახალ კანონპროექტს განიხილავს პარლამენტი
 როცა გრძელდება ტბაში ჩაძირული გემის ძიება
 და მომავლის იმედი ასეთი შესაძლებელი ხდება.

და როცა ჩვენი სხეულები ნავებივით ირწყვიან
 და სიყვარული წვიმასავით გვასველებს
 და თვლებს ვახელთ
 ვხედავთ სამყაროს ავლანელი ბავშვის თვალით
 და ვხედავთ სამყაროს ურაცელი გოგონას თვალით
 და ვხედავთ სამყაროს სერბი პენსიონერის თვალით
 და ვხედავთ სამყაროს ირანელი მოხუცის თვალით
 და ვხედავთ სამყაროს სომალელი მეკობრის თვალით
 და ვხედავთ სამყაროს ამერიკელი ვეტერანის თვალით
 და მსოფლიოს ყველაზე ცხელი ნერტილი ვართ ისევ.

და სანამ ფოთლებივით ცვივა ირგვლივ ყველაფერი
 სანამ სამყარო თავზე გვენგრევა
 და სანამ ომი ახალი წლის ფეიერვერკს გავს
 და სანამ სისხლიანი ალმასები ლამის ვარსკვლავებივით ანათებენ
 და სანამ დედამინა ტრიალს შეწყვეტს
 მე მიყვარს შენი სიყვარულით დასვრილი ხელი
 როცა ტუჩებით გიყურებ
 და ნავებივით ვირწყვით
 სანამ შემოდგომა გადაიღებს.

ის რაც ვიცხოვრეთ

მერამდენე ღამე ავანთიეთ ფანჯარასთან
 და ერთმანეთს შევეკედლეთ შუა ოთახში -
 სადაც სახლია
 და სიჩუმე ცასავით დიდი,
 რომელსაც სიტყვები გადამფრენი ჩიტებივით
 ტოვებენ და უბრუნდებიან
 და ჩვენს შორის თოკივით გაბმულ დუმილზე სხდებიან.
 ასეთ დროს ალბათ, შენ უყურებ ჩემს თვალებში გავლილ ცხოვრებას,
 რომელსაც არ ჰყავს სხვა შენს გარდა მაყურებელი, არც მონანილე,
 რომელსაც გიყვები ყოველდღე და თანაც უსიტყვოდ.
 ეს სახლია ჩემი სცენა,
 ეს სახეა ჩემი ნიღაბი,
 რომელითაც მცნობ,
 რომლითაც მყვარობ,
 და რომლითაც ეს ცხოვრება უნდა გაგრძელდეს.
 მე ხომ ამ ცხოვრებას შენთვის ვყვები,
 სადაც ერთმანეთს ვეხვევით და ფოტოებში ვიფანტებით
 შემოდგომის ფოთლებივით,
 ჩვენი ცხოვრება კინოსავით, უნარსულო
 ჩვენი ცხოვრება - მუდამ ანუყო, რამდენჯერაც უნდა შეესწრონ.
 მერამდენე მონატრებაა ერთმანეთს ვეკედლებით,
 მერამდენე დუმილია ერთმანეთს ვამბობთ,
 მერამდენე ღამეს ვაქრობთ ფანჯარასთან
 და ვუყურებთ ერთმანეთის თვალებში გავლილ ჩვენ ცხოვრებას
 სადაც ცასავით დიდია სიჩუმე
 და სადაცაა
 დაიწყებენ სიტყვები გადაფრენას.
 და მოყვებიან იმას რაც არ ვთქვით
 რაც ვიცხოვრეთ.

როგორ იცვლებიან საგნები
ადამიანის გარეშე -
გამორთული მაგიდა,
ჩამქრალი სანოლი,
რომლებიც საკუთარ გამოსახულებაში,
და ფიზიკურ გამოხატულებაში არსებობენ.

შეგიძლია თქვა, აი სკამი,
რომელზეც შეგიძლია დავსხდეთ.
და, აი ადამიანი,
რომელზეც შეგიძლია დავსხდეთ ასევე,
შეგიძლია ფეხები შემოვალაგოთ,
შეგიძლია ტკივილი მივაყენოთ.

აი პოეტი
და შეგიძლია ვთქვათ -
რასაც პოეზია იტანს, იმას ვერ იტანენ პოეტები.

როგორ იცვლებიან ფილმები პერსონაჟებისგან,
აი ფილმების სასაფლაო.
მე მინდა ვიყო შენი ცხოვრების მონაწილე
როგორც ფილმის,
პერსონაჟი რომელიც შეგხვდა და გზა გასწავლა,
რომელიც შეგხვდა და გაგატარა.
რომელიც მონაწილეობდა შენს ცხოვრებაში,
როგორც ფილმში, რომელიც არ ქონდა ნანახი.
შეგიძლია ადამიანს შეხედო და იცნო -
მისი ცხოვრება იმ კაცზე ვინც ვერ გადარჩა,
მისი არის სიყვარულზე.
ტროტუარზე ჩამომჯდარის კი სიმშვიდეზე,
რომელსაც გადმობრუნებულ ქუდში აგროვებს.

ჩვენ, ჩვენი ცხოვრების მთავარი გმირები,
ერთმანეთის ფილმებშიც ვჩნდებით
მეორეხარისხოვან პერსონაჟებად
და არაფერი გვიშლის ხელს რომ
მის ცხოვრებაში როლი ვიცვალოთ,
და შემთხვევით გამვლელივით კი არ მოვიქცეთ,
არამედ ისე რომ შეხვდა და სიტყვები მისცა,
არამედ ისე და არამედ სხვანაირად
ვიდრე ყოველთვის, ვიდრე მუდამ, ვიდრე გასწავლეს.
საკუთარი როლით გართული, რომ ველარ ამჩნევ როლს, არამთავარს,
რომელიც გერგო.

ანდა იქნებ, ადამიანი ასეთია,
და მხოლოდ
მთავარი როლის შესრულება შეუძლია -
სხვა არაფერი.

როგორ იცვლებიან ადამიანები
ერთმანეთთან,
როდესაც ცხოვრება სხვაზეა,
იმდენად, რომ შეგიძლია თქვა -
აი ადამიანი,
რომელიც დაცლილია მნიშვნელობისგან.



გიგი გულედანი

სიტუაცია დაღესტანში



მიროს სამუშაო დღე არ ისეკებოდა დღის ცხრაზე ან ათზე, როგორც წესი და რიგია. რადგან ჟურნალი თვეში ერთხელ გამოდიოდა, რედაქციაში მაგ დროს ჯერ არავის იყო ხოლმე. აქტიური მუშაობა ბოლო კვირას ჩაღვებოდა, არა იმიტომ, რომ ასე ჯობდა, უბრალოდ, იშვიათი გამოინაკლისების გარდა, გასაკეთებელი საქმე ყველას ბოლო ნუთამდე მიეყვება, ხოლო ბოლო კვირას, მთელი რედაქცია, ავტორების, რედაქტორების, ფოტოგრაფებისა და დიზაინერების ჩათვლით, იძირებოდა შემოქმედებითა ქაოსში, რომლითაც, არათუ ნუხდებოდნენ, ეს ქაოსი რაღაც შეუცნობელი სიამაყითაც კი ავსებდათ. იყო ამ უნესრიგობაში რაღაცა ბოჰემური. რედაქციის წევრები ამით, თუ შეიძლება ითქვას, კეკლუცობდნენ, თავს იწინებდნენ კიდევ, როგორც გამორჩე-

ული პრივილეგიით. თუმცა მიროს ჯერჯერობით არ ქონდა გავლელი ეს კულმინაციური ფაზა, რადგან ის სულ ერთი კვირის წინ აიყვანეს ჩეკერად, რაც სტატიებში დასახელებული ფაქტების წყაროებთან გადამოწმებას გულისხმობდა. ამის გარდა, მის მოვალეობებში შედიოდა რედაქტორის ან სხვა ზემდგომების თხოვნების შესრულება, რაც, როგორც წესი, კურიერული ტიპის მომსახურებაში გამოიხატებოდა. მიროს სიამოვნებას ანიჭებდა ყოველდღიურობა - გამეორებადი დეტალებით და იმითაც, რაც სამსახურების ცვლასთან ერთად იცვლებოდა. მაგალითად, როცა ტელევიზიაში მუშაობდა, მისი მსვლელობა სამსახურისკენ იწყებოდა ქუჩის ზედა კუთხეში, სადაც ის N99 მარშუტკას



აჩრებდა, რომლითაც კვეთდა მთელ ქალაქს - დაეშვებოდა იპორტიომისკენ, გაივლიდა უნივერსიტეტის მთავარ კორპუსს, მერე დაეშვებოდა სანაპიროსკენ, გადადიოდა გალმა, იჭედებოდა საცობში სამშენებლო ბაზრობასთან, სადაც მირი ფანჯრიდან აკვირდებოდა დილიდან აგორებულ ქაოსს. ქალები დადიოდნენ გამაგრებულ-ლასამელიანი ურიკებით, სატვირთო მანქანებიდან ცლიდნენ ცემენტს, კემთან, მანქანების ბოქსებში ნაპერკლებს ყრიდა სვარკა, პატარა პლატფორმებზე წასაღებად აქონდათ მეტალოპლასტიკის ფანჯრები, დასიცხული ნაშები ქრებთან ერთად არჩევდნენ კაფელს. ამის მერე მარშუტკა გადადიოდა გაუქმებულ რეღსებზე და სამრეწველო ზონის გავლით ხედებოდა ქალაქის ბოლოში, ტრიალ მინდორზე, რომელსაც კვეთდა სწორი ასფალტის გზა. ამ ადგილს მირი „არ-იზონას“ ეძახდა.

მირის ახალი მარშრუტი ბევრად უფრო მოკლე იყო, რადგან რედაქცია ქალაქის ცენტრში, ძველ კომუნისტურ გამომცემლობაში მდებარეობდა, რომელიც, საბჭოთა კავშირის გაქრობის შემდეგ, ათასი ჯურის ნითელ-ყვითელ გახეთს, ჟურნალს, კალენდარს თუ სხვა საეჭვო პროფილის ორგანიზაციას დაენაწილებინა. ამ, ერთ დროს ვანკეპილ ბაუშაუსის შენობაში შესვლისას, პირველი ნაბიჯებიდანვე დიდი ეპოქის დასასრულს ხედავდი, რაც საპრივატიზაციოდ გამზადებული გამომცემლობის პოსტ-აპოკალიპტურ ანტიურაჟში გამოიხატებოდა.

სამსახურში გასვლამდე ნახევარი საათით ადრე მირის ლუპტოპზე შეტყობინება ამოხტა.

თინა: ხომ ვერ მეტყვი, რამდენად უსაფრთხოა თბილისიდან ვლადიკავკაზში წასვლა ინგლისეთს გოგონათვის? ვლადიკავკაზიდან დაღესტანში და შემდეგ ასტრახანში? თუ გეტყვება მიპასუხე :) (შენ ჩემი ინფოპედია ხარ თუ რა მგონია არ ვიცი :) დიდი მადლობა წინასწარ! June 2 1st, 2:56pm

მირი ორი წამით დაფიქრდა. იდეაში, წარმოდგენა არ ქნადა, რა ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუმცა, ზოგადად, ახსოვდა, რომ იქ ცოტა დაძაბული მდგომარეობა იყო. თინას იმდენად ახლოს არ იცნობდა, რომ სცოდნოდა, რა მდგომარეობა შეიძლება ყოფილიყო „უსაფრთხო“ მისი კრტიკრიუმებით. პასუხი მაინც მაშინვე მიწერა.

მირი: ვლადიკავკაზში შედარებით უსაფრთხოა, თუ უკვე გახსნეს გზა, მენჯარის ჩამორილის შემდეგ, არ ვიცი. დაკეტული იყო ცოტა ხნის წინ მაგის გამო და იქიდან დაღესტანში მაინცდამაინც უსაფრთხო არაა, მითუმეტეს, ინგლისეთისთვის.

მერე აიღო და დაგუგლა: „**Ситуация в Дагестане**“ და ამოგებულ ლინკებს დახედა.

შედეგების მიხედვით, სიტუაცია მართლაც საკმაოდ დაძაბული აღმოჩნდა, რაზეც მეტყველებდა პირველივე სამი ლინკი:

- Ситуация в Дагестане балансирует на грани взрыва ...
Ситуация в Дагестане уже давно напоминает кипящий котёл, на крышке которого пытаясь усидеть повар, но давая раскалённому пару вырваться ...

- Федеральный центр должен взять ситуацию в Дагестане ...
Mar 6, 2014 - Эксперт: "Федеральный центр должен взять ситуацию в Дагестане под свой контроль". Общественные организации провели в ...

- Рамазан Абдулатипов: В Дагестане ситуация не простая ...
Oct 11, 2013 - В республике ситуация непростая, но это не означает, что ничего ...

მირომ თინას ძებნის ლინკი დაუკოპირა, ჩაის ჭიქა და თევში გარეცხა, ჩაიცავა და სახლიდან გავიდა.

ჟურნალს, რომელშიც მირი მუშაობდა, სახელად „ქალაქური დაჯგუფება“ ერქვა და მისი ისტორია ჯერ კიდევ პერესტროიკის დროიდან იღებდა სათავეს, თუმცა, შუაში, ალგ-ალგ იყო კრიზისული შავი ხვერელიც, როცა გამოცემა რამდენიმე თვით ან სულაც წლითაც ჩერდებოდა ხოლმე. მთელი ამ ხნის მანძილზე „ქალაქურმა დაჯგუფებამ“ რამდენჯერმე იცვალა სახეც და აუდიტორიაც და ყვითელი პოსტპერესტროიკული პოლიეიდისა და ჰოროსკოპების გავლით, ჯერ ახალი ამბების მიმოხილვის, შემდეგ რეკლუციურ, ხოლო საბოლოოდ - ირონიულ-კრიტიკულ გამოცემად ჩამოყალიბდა, რომელშიც ქალაქისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილი პუბლიცისტიები მოღვაწეობდნენ.

ჟურნალის გამომშვები რედაქტორი გახლდათ ვინმე ლ. ზერეკიძე რომელიც საკმაოდ საინტერესო პერსონაჟს წარმოადგენდა. ეს იყო გვიანი ეპოქის საბჭოთა ინტელიგენტის, გარდამავალი ეპოქის ქუჩის მაფიოზების მეგობრისა და ბოლო-ბოლო, ბიზნესმენ-გამომცემელ-რედაქტორად ჩამოყალიბებული, ზომიერად ბიბლიოფილი, რელიგიური და მელიომანი ადამიანი. ზომიერებაში უპირველეს ყოვლისა, მირი გულისხმობდა სულ ოდნავ ძველმოდურობას თუ კონსერვატულობას. როცა, რაც არ უნდა ბევრი იკითხო ინტერნეტში, ყველაზე მაგარ ჟურნალებად მაინც „ტაიმი“ და „ეკონომისტი“ რომ დაეჩინა, აი ეგ სულიერი მდგომარეობა.

ასეა თუ ისე, ლ. ზერეკიძე იყო „ქალაქური დაჯგუფების“ სახე და მირის ხშირად უჭირდა მისი ამოცნობა თუ გაშიფვრა. ერთ დღეს ზერეკიძის შეიძლება შენთან მეგობრულად ვლადიკავკაზში მორისონის საკურსო ფილმებზე, ხოლო მერე დღეს ზონდერივით ტყავის კურტკაში გამოწყობილი, კორიდორში შეხვედრისას, გასასვლელისკენ სწრაფი ნაბიჯით საღვაც მიმავალს, სულაც საღამოს გარეშე ჩაველო.

ავტობუსით მგზავრობაც იმ რუტინული რიტუალების რიგში შედიოდა, რომელიც მირის საშუალებას აძლევდა, დარწმუნებულიყო სასაცილომდე მისული გამორეტების არსებობაში. ავ-



ტობუსი ყოველთვის მოულოდნელად ჩამოუხვევდა ხოლმე. ავტობუსი იჭედებოდა ბანკის შენობასთან წარმოქმნილ საცობში. საავადმყოფოსთან შექნილსავე ყოველთვის ვილატ კეტავდა მოძრაობას უადგილოდ გაჩერებული მანქანით. სასტუმროსთან, როგორც წესი, ამოდიოდა კონტროლიორი.

ტყავის კურტკაში დახვდა ლ. ზერეკიძე მიროს ამ დღესაც, როცა ეს უკანასკნელი, დაღესტნის ნიუსების ნაკითხვის შემდეგ, ავტობუსიდან სამსახურის წინ გაჩერებაზე ჩამოხტა. მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მუშები სპეციალური ავტოგაბტირით იღებდნენ ასფალტს ტროტუარიდან, რის გამოც მთელი შენობის გაყოლებაზე აპოკალიპტური მდგომარეობა სუფევდა. ლ. ზერეკიძის ოთახის კარი ღია იყო და ჩანდა, როგორ ჩასტეკროდა ის მაგიდაზე გაშლილ ამოებჭდილ სტატეებს. მირო შეეცადა, კართან შეუმჩნევლად ჩაეველო, მაგრამ ზურგსუკან მაშინვე შემოესმა ზერეკიძის ხმა:

- მირო!
- მირო მოტორი აღდა და ღია კარში გაჩერდა.
- მისმინე, - ამოხვდა ზერეკიძემ - ზაზა იგვიანებს და შეგიძლია, ნავთლულში გახვიდე და ერთი გამომგებლისგან ნაწილი რაღაც ნახაზეში, რა ამქ დავასკანოროთ?
- მმ... შემოძლია, რა თქმა უნდა, - მხრები აიჩინა მირომ. - უბრალოდ, იმ თარგმანებს რა ვუყო, გუშინ რო დამავალე?
- ეგ მოიცდის.
- კაი, რითი ნაწიდე?
- ზაზას მანქანით ნადი, აი გასალევი - ლ. ზერეკიძემ ტყავის კურტკის ჭრაჭუნით მაგიდაზე მანქანის გასაღები გამოაცურა და მიროს გაუცინასავით, - შენ ხო გიყვარს ვინტაჟი?
- მე კარგი ყველაფერი მიყვარს - გაუღიმა მირომ, მერე გასაღები აიღო და კიბეებისკენ წავიდა.

მანქანა, რომელიც ლ. ზერეკიძემ ვინტაჟად მოიხსენია, იყო ერთი ძველი ავტორისფერი რენომოსი კვიჩი, რომელიც „ქალაქური დაიჯესტის“ მიროზე ერთი საფეხურიით დაბალი კატეგორიის მრავალფუნქციურ თანამშრომელს - ზაზას ეკუთვნოდა. მიროსგან განსხვავებით, ზაზას ფუნქციები უმეტესწილად კურთიერულ საქმიანობას უკავშირდებოდა და ძირითად რედაქციების მიტან-მოტანით, საგადასახადომ სირბილითა და სტამბაში საქმეების მოგვარებით შემოიფარგლებოდა. ავტორისფერი რენო-მოსი კვიჩი მისი არ იყო, თუმცა, როგორც საბჭოთა კავშირში დაბადებულ ბოლო თაობას, ზაზას ამ მანქანის მიმართ გარკვეული სენტიმენტები გააჩნდა, რის გამოც რენო-მოსი კვიჩი, ასაკთან შედარებით, საკმაოდ კარგ მდგომარეობაში იყო შენახული. მანქანა, როგორ იტყვიან, შეკრული იყო, მოტორი და სა-

ვალი ნაწილი წესრიგში ქონდა, ხოლო მისი ყველაზე შარშიანი შტრიხი გახლდათ - დროთა განმავლობაში თანაბრად გადამქრალი ლაკი, რაც ავტომობილის კორპუსს არაამქვეყნიური ავტორისფერი ხავერდის ფაქტურას აძლევდა.

ასანყობი თვითმფრინავის მოდელით ხელში, მირო გზას მიიკვლევდა ნავთლულის საფეხმავლო მიწიქვეშა გადასასვლელში, რომელიც მეტროს რკინიგზის სადგურს საგარეუბნო გზატკეცილთან აკავშირებდა. აღმოსავლეთის სადგურის აქ გადმოტანის შემდეგ, გზატკეცილზე სამშენებლო ბუმი დაიწყო, რაც რამდენიმე წელიწადში ერთმანეთზე მიწნებულ კვარტლებში აისახა. ამას დაემატა ახალი რკინიგზის სადგურის მგზავრთა ნაკადებიც, რომლებმაც საფეხმავლო გვირაბის ატროფირება გამოიწვია. გვირაბის მიმდებარე ტერიტორია იყო რაიონებიდან და საბითუმო ბაზრობებიდან მოზიდული ხლამი, რომელიც ათჯერ გაზრდილი მგზავრების ნაკადისთვის 30-სანტიმეტრიან გასასვლელსა ტოვებდა. ზოგჯერ ეს გასასვლელიც იკეტებოდა თონის პურის ურიკების თუ სხვა სახელდახელო სავაჭრო ყველგანმავალის“ გამო და ერთმანეთში იზილებოდა გამვლელების ტალახიანი ნაფეხურები - გასაყიდად გამოტანილ კლიონკებზე, შალის ნაქსოვ ტრუსებსა და ბურახის პატარა კასრებზე, რომლებზეც ეწერა - „პატარა ჭიქა 10 თეთრი, დიდი ჭიქა - 20 თეთრი, ვიბარებ ნატურალურ თმას“.

გვირაბში სუფევდა განუტოტობა და ანტი-სანიტარია. უკნიდან მოწოლილი ხალხის გამო მირომ ნაფორხილა და ფეხი წამოკრა გასაყიდად გამოტანილ, ფეხზე დაყენებულ, პატარა შემწვარ თიკანს, რომლის გამყიდველსაც კინაღამ თვალი ამოთხარა ასანყობი თეთრი თვითმფრინავის ფრთით. თვითმფრინავით მალლა აშვერილი ხელით, ვილატის დუბლიონკიან ზურგზე მიჭყლეთილმა მირომ თვალი მოკრა ბოროლას გვერდზე გამოფენილ რკინის მანქანის საბჭოთა მოდელზე, როგორცაც ბავშვობაში აგროვებდა ხოლმე. დახლებზე იყო შედარებით ახლად ათვისებული პროდუქციაც - დაკლული და გაჭედილი შეტრუსულ-გატყავებული საშუალო ზომის კატები, რომლებსაც დაცლილი კლანჭებთან გამოშავილი ბუნეი, კლიენტის მისხნიდა, სილამაზისთვის ქონდათ ჩამოვარცხნილი. სულ რამდენიმე წლის წინ წარმოდგენილი იყო ასეთი პროდუქტის ნახვა, სადაც არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ სურსათის ფასების თავბრულამებზე ზრდასთან ერთად, ადგილობრივებმა საბოლოოდ აღიარეს აზოური პრაქტიკა და ქუჩის ძაღლებსა და კატებს მიადგნენ, რაც სიდუხჭირის გარდა, რაციონალური სანიტარული შედეგებითაც მართლდებოდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კატე-

ბითა და ძალღებით კვება მაინც დაბალი სოციალური ფენისადმი მიკუთვნებულობას მაინიმუმებდა.

უკვე გვირახის ბოლოში მირომ ძლივს გამოითავისუფლა თავი ხის ყუთებისგან გამართული სახელდახელო დახლებიდან. უკვე სამშვიდობოზე გასული, გაოფლიანებული, ხელში თვითმფრინავის მოდელით წელში გაიმართა, მობრუნდა და გამანარებულმა გამყიდველებს უმისამართოდ მიაძახა - „თქვენი დედაშევეცი!“, რის შემდეგაც მოტრიალდა და მანქანისკენ დაიძრა. გამყიდველებმა უხერხულად ჩაიცინეს, რადგან იცოდნენ, რომ მტყუნები იყვნენ.

უკან მობრუნებულმა მანქანა პირდაპირ გამომცემლობის წინ, კარგ ადგილას გააჩერა. მანქანიდან გადმოსულმა თვალი მოკრა მისკენ ნამოსულ გიჟ მღვდელს, რომელიც ქოლგით ხელში სტაიანშიკობდა კიდეც. მირომ მანქანის კარი დაკეტა და მღვდელს თვალი მოარიდა, თუმცა, როგორც გაირკვა, სტაიანშიკი მღვდელი სულ სხვა მანქანისკენ მიდიოდა. მანქანამ მღვდელს გაასწრო ისე, რომ ფული არ მიუცია. სტაიანშიკმა შეიგინა. მირო გამომცემლობაში შევიდა.

როგორც წესი, სამუშაოს დაწყებიდან ერთიორი კვირის შემდეგ, მიროს სამსახ ალარ თხოვდნენ, დაცვა სახეზე ცნობდა. ამიტომ მირო შუუჩერებლად გადიოდა ხოლმე ტურნიკებს და პირდაპირ კიბეებისკენ მიეშურებოდა, თუმცა ამჯერად მას დაცვამ რალაც მოაძახა. მირო ჯიხურთან მობრუნდა. ტურნიკეტთან მიდგმულ მაგიდა-

სთან ახალგაზრდა დაცვის უფროსი იჯდა, მუქი ლურჯი გრძელმკლავიანი პერანგითა და ცისფერი თვალებით. შესახვედავად გავდა საბურთალოზე გაზრდილ რუსს, ქართული რომ ძალიან კარგად იციან.

- თქვენ ვისთან მიდიხართ? - ამოხედა მან მიროს.
- მე აქ ვმუშაობ - უპასუხა მირომ.
- საშვი გააქეთ?
- მირომ ჯიბეები მოიქექა. საშვი არ ჩანდა.
- უკაცრავად, ეტყობა სახლში დამრჩა მეორე კურტკაში.
- მაშინ ვერ შეგიშვებთ.

მირომ დაქანცული გამომეტყველება მიიღო, მერე კი გულზეხელებდაკრევილ დაცვის უფროსს, რომელიც ნახევრადთვალდახუჭული უსმენდა, შემრიგებლური ინტონაციით მიმართა.

- ძალიან გთხოვ, შემოიშვი რა. გამარჯობა - მიესალმა მირო ტურნიკეტზე შემოსულ თანამშრომელს, რომელსაც საშვი არ შეუმომმეს, შემდეგ ისევ დაცვას მოუბრუნდა - მართლა აქ ვმუშაობ, დილით რომ ვიყავი მოსული, არ გახსოვთ? - მერე თვითმფრინავი აჩვენა - ამის მოსატანად გამგზავნა ჩვენმა რედაქტორმა, რა ქვია... - მირომ გონება დაძაბა, მაგრამ ლ. ზერეკიძის გვარი მისი ტვინიდან გაუგებარი კანონზომიერებით გამქრალიყო. ვერანაირად ვერ გაიხსენა, ბოლოს უურნალზე გადავიდა - მე „მოქალაქის დაიჯესტიდან“ ვარ.

დაცვის უფროსი უურნალის არასწორმა სახელმა წყობიდან გამოიყვანა.

- რა „მოქალაქის დაიჯესტი“, რეებს ლაპარაკობ, ეგეთი უურნალი აქ საერთოდ არ არსებობს.





- მოქალაქის კი არა, ქალაქური, კაი, შემეშა-
ლა. - გამოასწორა მირომ. მართლა რედაქციის
თანამშრომელი ვარ, აი ჟურნალის მანქანის გა-
საღები, თუ არ გვერათ.. - მირომ ჯიბიდან აგუ-
რისფერი რენო-მოსკვიჩის გასაღები ამოაძვრი-
ნა და დაცვის წინ გააქანავა. რატომ არ გვერათ?

- იმიტორო... - დაცვამ მილულული თვალები
ბოლომდე გაახილა, ფეხზე წამოდგა და მიროს
მიუახლოვდა - იმიტორო, ზერეკიძე უბრალო კა-
ცი არ არის, გაიგე??!

- მე სადმე ვთქვი, უბრალოა-მეთქი? - მხრები
აიჩეჩა მირომ.

- დაცვამ მიროს რამდენიმე წამი უყურა, მე-
რე დაცვის ოთახისკენ დაიძრა და თქვა:

- გამომყევი.

მირო, ხელში თვითმფრინავის მოდელით, და-
ცვის უფროსთან ერთად დაცვის ოთახში შევიდა,
რომელიც ფანჯრებით უკანა ეზოში გადადიოდა.
ეზოში იდგა რამდენიმე შენახული, მაგრამ დიდი
ხნის ნადგომი საბჭოთა მძიმე მანქანა - ერთი ამ-
ნე "ივანოვიცი", ორი "რაფი" და ერთიც ძალიან
ძველი სტაფილოსფერი ავტობუსი, რომლის მა-
რკაც მირომ არ იცოდა, მაგრამ ახსოვდა, რომ
ეგეთი ავტობუსები, ძალიან ღრმა ბავშვობაში,
მისი სახლიდან კულტურისა და დასვენების პარ-
კამდე დადიოდა.

ოთახში იყო კიდევ ორი ტიპი, რომლებიც მო-
რიგე დაცვისთვის განკუთვნილ ტახტზე ნახევრ-
ად წამოწოლილიყვნენ. ერთი მათგანი კედლისკ-
ენ იყო მიბრუნებული, ხოლო მეორე უყურებდა
მაცივარზე შემოდებულ ტელევიზორს, საიდან-
აც იღვრებოდა, საზოგადოებრივი მაუწყებლის
მესამე პაეილიონში, მტკრიან შავ ფონზე გადა-
ღებული რომელიღაც იდუმალი გადაცემის ხმა.

თავქვეშ ხელებამოდებულმა მიროს ერთი გა-
მოხედა, მერე პულტი აწია და სხვა არხზე გადა-
რთო. პრივატიზებისთვის განწირულ საბჭოთა
ოთახში დაიდგარა ბრიტანული პანკ-როკის ღვთი-
ური ჰანგები. მიროს სიამოვნებისგან გაფრია-
ლა. მოუბრუნდა დაცვის უფროსს, უნდოდა რაღ-
აც ეთქვა, მაგრამ დაინახა, რომ ის თვალდახუ-
ჭული იდგა. როგორც ჩანდა, დაცვის უფროსიც,
რადაცისაგან, შესაძლოა, სულაც იგივე პანკ-რო-
კისგან, იმ მომენტში უდიდეს სიამოვნებას იღებ-
და. ამას, დახუჭული თვალების გარდა, სულ ოდ-
ნავ შესამჩნევად მთრთოლვარი ნესტოები და მე-
ლოდიანს ლაითად აყოლდნენ საჩვენებელი თი-
თიც მოწიბოდნენ. მირო მონუსხული უყურებდა
ამ სანახაობას. პანკ-როკი ჯერ კიდევ უბერავდა,
როცა დაცვის უფროსმა უცებ თვალი გაახილა,
ოთახს მარჯვენა ხელი მოავლო და იკითხა: „თქვენ,
ყველა ხედავთ, ამ გიჟურ ფანგისფერში გარდა-
მავალ ისანისფერს?“

ჩამოვარდა რამდენიმეწამიანი პაუზა, მირომ
პირი დაალო და არავინ იცის, რას იზამდა, მაგრ-
ამ უცებ მის უკან წამოწოლილ ტიპს სიცილი
აუტყდა, რასაც დაცვის უფროსიც აყვა. მიროს
სახეზე ჯერ ღიმილი გამოეხატა, მერე მასაც გა-
ეცინა და დაცვის უფროსს უთხრა: „გატრიაბეთ
ხო? მეც მინდა“.

დაცვის უფროსმა მიკროსკოპული წვეთებით
დაცვარული შუბლი მოინმინდა და მწოლიარე პა-
დელნიკებს მიმართა.

- ჰა, რა ვქნათ ეხლა, ვცვეთ პატივი სტუმ-
არს? რა ჭირს, ბიჭო, მავას, მართლა ძინავს?

- წამოწოლილმა თანამშრომელმა კედლისკენ
გადაბრუნებულს მხარზე დაადო ხელი და შეან-
ჯღრია.

- ადე, შეჩემა, მოვიდა. - თუმცა მეორე თანამ-
შრომელს, როგორც ჩანს ღრმად ეძინა.

- ეს ვინ არი? - იკითხა მირომ.

- ეგ არის სიურპრიზი - უპასუხა დაცვის უფ-
როსმა - მანამდე კი ენა გამოასვი - თქვა მან და
მუჭ წამლის ბოთლში ჩახრახნილი პიპეტკა გააძ-
რო. - მავას უთხარი მადლობა, რომ აქ ხარ.

კედლისკენ მიბრუნებული უცნობის სახე არ
ჩანდა. მირომ პირი გაალო და დაცვის უფროსმა
მას ენაზე რაღაც დაანვეთა. მირომ პირი გაანკ-
ლაპუნა, ფანჯარაში გაიხედა და დაინახა, რომ
დაცვის უფროსი მართლაც არ ცდებოდა ფერებ-
თან დაკავშირებით. ფანჯრის მიღმა სივრცეში
მართლა ჩანდა ჟანგისფერში გარდამავალი ის-
ამნისფერი ეთერი.

პანკ-როკი ნელ-ნელა ატონალურ ჯაზში გა-
დაიზარდა. ვიღაცა თავდაჯერებით უბერავდა
ტენორ საქსაფონში და ვითომ შემთხვევით გა-
მოსროლილი ბგერების ფეიერვერკში როგორღ-
აც არცერთი არ ჩაუბერავს უადგილოვ. ძველი
ტელევიზორის ეკრანზე, რაღაც საბავშვო გადა-
ცემის პრომოს სტილში, გამოჩნდა ბავშვების გა-
მოძერნილი ინფანტილური აბდაუბდისგან შემ-
დგარი პლასტელინის ცხოველების ფერმა.

- თუ არ უბერავ, არ ცოცხლობ - თქვა მირომ
მუსიკის შთაგონებით.

- თუ არ სუნთქავ, არ ცოცხლობ - გაუსწორა
ჯიბებში ხელბეჩანყობილმა დაცვის უფროსმა,
რომელიც ეკრანზე პლასტელინის ფერმას ყურა-
დლებით ათვალიერებდა.

- არა-არა, „თუ არ უბერავ“, უნდა იყოს. - თა-
ვი გააქინა მირომ და ფანჯარაში გაიხედა. - იმი-
ტომ რომ სუნთქვით შეიძლება ხელოვნურზეც
იყო. ჰაერს უნდა აკაჩავებდე შენთვითონ, შენთ-
ვითონ უნდა უბერავდე. თუ არ უბერავ, არ ცო-
ცხლობ.

ჯონ აპდაიკი

ჭორი

ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიაძე



ფრენკი და შერონ ვიტიერები ცინცინატიდან ჩამოვიდნენ. ქალის მემკვიდრეობითა და კაცის მამისგან ნასესხები ფულით, ვესტში, ორმოცდამეჩვიდმეტე ქუჩაზე, ვინრო შენობის მეოთხე სართულზე, პატარა სამხატვრო გალერეა გახსნეს. ისინი ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობდნენ - მათი ოჯახები ცინცინატიში ერთი კლუბის წევრები იყვნენ. 1971 წელს ექორწინეს, როცა ფრენკს ობერლინი ახალი დამთავრებული ჰქონდა, ცხრამეტი წლის შერონი კი სოფომორში ცეკვას სწავლობდა. როცა ექვსი წლის შემდეგ ნიუ-ორკში ვადმოვიდნენ, უკვე ორი პატარა ჰყავდათ. მესამე შვილის დაბადებამ წყვილს ბინისა და ქალაქის ყოველდღიური ბრძოლების დათმობა და პასტინგში, დაბლა, ფართო-სახურავიან სახლში გადასვლა გადაიწყვეტილა, საიდანაც მასიურ წიფლებს შორის, ეზოს ბოლოში, მდორედ მოლივლივე რუხი ჰადსონი მოჩანდა. ეჭვი არაა, თავს ბედნიერად გრძნობდნენ. მშრალი, შუადასავლური გემოვნება ჰქონდათ, იმპრესიონისტი მხატვრებისა და აბსტრაქციონისტ მოქანდაკეთა ერთგულები დარჩნენ და ოთხმოციანი წლების სიმბახინჯეს თავი აარიდეს - არ მოსწონდათ **faux graffiti**, ნეო-გერმანული ესპრესიონიზმი, ეკოლოგიური საპროტესტო თრუმ ხელოვნება, - და ძნელდებობის ფაშს მეოთხე სართულის ოთახებში საკუთარი, სადა, მაგრამ დახეიწილი, ოთხმოცდაათიანების ეკლექტიკური ოაზისი შექმნეს. საქვე კარგად წაუვიდათ. მათი ბიზნესი ყვაოდა, უმცროსი უკვე თორმეტის ხდებოდა, ხოლო უფროსი კოლეჯის საბუთებს აგროვებდა, როცა შერონმა გაიგო ჭორი, რომლის მიხედვითაც, ფრენკმა ის ერთი ახალგაზრდა ჰომოსექსუალის გამო, რომელთანაც მგზნებარე სასიყვარულო

ურთიერთობა ჰქონდა, მიატოვა. ქალმა გულიანად გააღიქვისა - მიტოვება ცოტა ხმამაღალი ნათქვამი იყო, რადგან ფრენკი მასთან ერთად კაბინეტში იჯდა და ჟურნალს ფურცლავდა.

„რალაც არა მგონია, ვეის, „უპასუხა გრაფიკოსს ტელეფონის მეორე მხარეს. „ფრენკი ახლა აქაა, ჩემს გვერდით, თუ გინდა, დაელაპარაკე“. შერონისთვის ჭორის ასე ერთი ხელის მოსმით უარყოფა განსაკუთრებით ტკბელი იყო, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ამ რამდენიმე წლის წინ (როგორც თავად ვარაუდობდა), ხანმოკლე რომანტიკული ურთიერთობა გაიბა მის ქმარსა და ახლა მასთან დამრეკს შორის, რომელსაც წითელი თმა, ამოზნექილი ღანვები და წინწამოწეული ნიკაბი დრამატულ იერს აძლევდა. ვეისი აპროპრიაციონისტების მეორე ტალღას წარმოადგენდა, ის ხელოვნების სახელმძღვანელოებიდან შედევრების ფერად ასლებს იღებდა და შემდეგ მათზე თავის ხელმოწერას ტოვებდა მელნით, რომელიც საკუთარ სისხლსა და შარდს ურევედა. როგორ შეიძლება მან, ვინც ფრენკთან წოლიდა, ასეთი გროტესკული რამ წარმოადგინოს?

ხმამ ტელეფონში თითქოს შევებისა და სიამოვნებისგან ამოისუნთქა. „ვიცი, აბსურდია, თანაც ზღვარგადასული, მაგრამ უკვე ორი ადამიანისგან გავივე, და ორივე ერთსა და იმავე ამბობს“.

„ვინაა ის ორი ადამიანი?“
„ეჭვი მეპარება, სურდეთ, რომ შენ მათი სახელები გაიგო, მაგრამ ერთი ედ ჯეფრია, და კიდევ ის ბიჭი, ვოლტონ ფორნეისთან ერთად რომ ცხოვრობს... რას ამბობს, რა შექვიო? აი, ის, მადონას მგაგასი - ჰო, ჯოჯო“.

ხედავს



„კარგი, თუ ასეა“, დაიწყო შერონმა. „და სხვებიც იმევეს იმეორებენ“, თავისას არ იძლია და ევისი. „მთელი ქალაქი ლაბარაკობს - პაერში ტრიალებს, ხომ გესმის. არ შეიძლება, შენ და ფრენკმა რამენაირად წერტილი დაუსვიათ ამ ქორებს, თუ, რა თქმა უნდა, ეს სიმარლოდ არაა?“

„თუ?“ შერონს მოთმინების ფილა ავესო. როცა ყურმილი დაკიდა, ფრენკს მიუბრუნდა. „ევისი ამბობს, რომ შენს ჰომოსექსუალ საყვარელთან ერთად გაიქეცი.“

„არანაირი ჰომოსექსუალი საყვარელი არ მყავს“, თქვა ფრენკმა მეტისმეტად მშვიდად, და ჟურნალიდან აუქციონის რეკლამა ამოხია.

„როგორც ევისი აღბეჭკვებს, ეს ამბავი უკვე მთელ ნიუ-იორკს მიუღო.“

„თუ ასეა, შენ რას დაუფერებ, მთელს ნიუ-იორკს თუ საკუთარ თვალებს? ვერ ხედავ, აქ ვზივარ, თავსაც არ ვიძმარებ, აბსოლუტურად გულწრფელი ვარ, თუ როგორც ამბობენ, სულ ორი დღის წინ ერთად არ ვინექით?“

ქალისთვის ალბათ საშხილი უნდა ყოფილიყო, რომ ფრენკს მათი სასიყვარულო აქტი ასე ზუსტად ახსოვდა, თითქოს პეტეროსექსუალური ქცევები მისი ქმრისთვის მოვალეობად ქვეყნდებოდა და მათ შესწორებას თავისთვის საკურატული უნდა ინიშნავდა. აგერ უკვე ოცდახუთი წელია, რაც შერონი ფრენკს იცნობდა, და ის არ იცვლებოდა: ის იყო თბელი, ქერა მამაკაცი, თითქმის ექვსი ფუტის სიმაღლის, წერილი თავით, თმას ყოველთვის მოკლედ იჭრიდა, იმ წლებშიც კი, როცა მოდამი გრძელი თმა შემოვიდა; რძესავით მქრქალი ცისფერი თვალის სლავურ თუ ნორვეგიულ იერს აძლევდა. პირი მულამ კუმტად ჰქონდა შეკრული, რომ წვეტიანი, ყვითელი კბილები დაემალა. ღიმილი არ უყვარდა, თითქოს, რაღაცის გაცემას ერიდებოდა, თავს ხერხემალზე აკრული მუცლით იწინებდა და ლამაზი აღნაგობით. ყოველ დილით სააბაზანოში სასწორზე თავის ნონას ამორწყობდა, და თუ ერთი ფუტით ზემდგომ აღმოჩნდებოდა, ვიდრე წინა დღეს, ლანჩს არ მიირთმევდა. სა-

კუთარი თავის მიმართ გაფაცვიცებელი ყურადღება ლამის ფანატრიზმში გადასდებოდა - და ეს პირველად დაინახა ასე თვალნათლივ მან - ქალმა. „კარგად იცი, ის, რაც ამ ბიზნესში არასოდეს მომწონდა, ცისფერებია“. განაგრძო კაცმა. „უბრალოდ, მივეჩვიე და ახლა, აღარც კი ვფიქრობ, ვინაა გეი და ვინ არა.“

„ევისი კარგად გაერთო“, თქვა შერონმა. „ასეთი რამ როგორ იფიქრა?“

ფრენკს ერთი წამი დასჭირდა, რომ ამ შეკითხვაზე დაფიქრებულიყო და გაეაზრებინა, რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა მის პასუხს ქალისთვის. გალიზიანება შეეტყო. „რას უცდი, ჰკითხე, როგორ იფიქრა“, თქვა მან. „თუ რეალურად ჩემი და ევისის უაზრო და მოკლე ურთიერთობა განიტყვებს, ამას რაღაცნაირად გადავიგებ, მაგრამ რაც მაოცებს და წერვებს მიშლის, თუ ამას ასე დავაგრძელებ, ისაა, რომ სულელური ჭორი ასე სერიოზულად მიიღე.“

„მე არა, ფრენკ“, დაიწყო ქალმა, - „მაგრამ, რატომ მოდო ეს ხმები ქვეყანას? იქნებ საფუძველი არსებობს? და რადგან ეს თემა ნამოიჭრა, გეტყვი, რომ ისე ახლოს აღარ ვართ ერთმანეთთან, როგორც ადრე, ჩავთვალთ, რომ ეს ბუნებრივია, მაგრამ დაფიქრდი, თუ მე არ შემძლია ხოლმე შენთან ერთად ქალაქში წამოსვლა, მთელი თექვსმეტი საათით ივარგებო...“

„კი, მაგრამ, შერონ - თქვა კაცმა, ისე, როგორც მასწავლებელი ამბობს ხოლმე, როცა კლასში დისციპლინის აღდგენას ცდილობს, თან წუშისებური, ლამის უფერო წამწამებიანი თვალებიდან საკითხავი სათვალავი მოიხსნა. „ხომ მიცნობ? ხომ მას შემდეგ მიცნობ, რაც ტბასთან ვიცეკვეთ, როცა თექვსმეტი წლის იყავი.“

ქალს გახსენებაც არ უნდოდა. მათი ადრეული სექსი მისთვის მარტივი არ იყო. ფრენკის ნებას არა იმდენად იდეალისტური, არამედ უფრო სოციალური მიმზიდველობის გამო დაჰყვია. გრძობდა, რომ მხოლოდ ერთად ეყოფოდნენ ძალია, ცინცინატიდან გამოვლნიათ, ხოლო მორატო, ან სხვებზე დაკორინების შემთხვევაში, ამ შანსს ორივე დაკარგავდა. „კარგი“, თქვა ქალმა. მიუხედავად იმ მიწვევებისა და უსიამოვნო მოგონებებისა, რაც ამ ქორმა მასში გამოიწვია, სიამოვნებდა, რომ შესაძლებლობა მიეცა ჩვეულებრივ უფრო მეტად ჩაღრმავებოდა ქმართან ურთიერთობას. „იცნობს კი ადამიანი საკუთარ მუცელს? ხალხი მუდმივად ტყუვდება. მაგალითად, პეგი ჯაქსონი ავიღო, როცა ჰენრი თავის ფიზიოთერაპევტთან გაიქცა, პეგის არ სჯეროდა, მაშინაც კი, როცა ფაქტები ცხვირში ეწყო.“

„საშინოდ შეურაცხყოფას მაყენებ“. - გაანაცხებინა ფრენკმა, პირი მოკუმული ჰქონდა, ასე მამინ იცოდა ხოლმე, როცა ზუმრობდა და კბილების გამოჩენა კი არ უნდოდა. „ჩემს მამაკაცობას აყენებ შეურაცხყოფას“. თუმცა, ბრაზს ხელი არ შეუშლის მისთვის, რომ უფრანკისთვის კიდევ ერთხელ დაეხება; ხელი რეკლამისკენ წაიღო, თითქოს უნდოდა, კიდევ ამოეჭრა რაღაც, რაც მათ ბიზნესს წაადგებოდა. ინტიმურ საკითხებს ის ყოველთვის გამოჰყავდა მდგომარეობიდან. ქალი დანებებს არ აპირებდა და უიმედოდ განაგრძო „ევისმა მითხრა, რომ ამას ორი სხვადასხვა ადამიანი იმეორებს.“

„პაინკვინ?“
როცა ცოლმა სახელები დაუსახელა, კაცმა ქალის პასუხი გაიმეორა. „კარგი, თუ ასეა“ და დამატა „მშვენიერად იცი, როგორები არიან ცისფერები. ღვარძლიანები. მავნებლები. ფული და დრო მათ ხელშია.“

„ისე ლაპარაკობ, თითქოს გშურს მათი“. როცა შე-
რონი ხედვდა, თუ როგორ ეკამათებოდა ქმარი, ეჭვი
უნდებოდა, რომ თუმცა ეს ქორი აღმამფთოთელელი იყო -
რაც სრული სიმართლაა, ეს ხმები მართლაც დამამ-
ცირებელი იყო ფრენკისთვის, - მასში მინც იმალებო-
და სიმართლის მარცვალი.

მომღვერი დღეებში, შურონი ჰაერში ამ ჭორის არ-
სებობას გრძობდა და ის ყველგან ეჩვენებოდა - მათი
თანამშრომლების მშვიდ სახეებზე, მხატვართა აგენ-
ტების დელიკატურ ტონში, მუდმივი კლიენტების გუ-
ლითად საუბარში, თვით მხატვრების უხეშ, ეგოცენტრ-
ულ და აბღაუბრებდა მონოლოგებშიც კი. ეჩვენებოდა,
რომ ხალხს მათ ერთად დახვებაზე თავზარი ეცემოდა:
გალერეაში ადმინისტრატორი და მცველი დილის ტრა-
დიციულ კინკლაობას წყვეტდნენ, რესტორანში, ორ-
მოცდამცემრამეტზე, სადაც ავერ უუკე რა ხანია და-
დიოდნენ, მიტანები განსაკუთრებული რუდუნებით
ეპყრობოდნენ. ადამიანები ხელს ჩვეულებრივზე დიდ-
ხანს ართმევდნენ, ქალები კოცინდნენ და გულმხურვა-
ლედ ეხუტებოდნენ; შურონი გრძობდა, როგორ ეხვე-
ოდა მღუმარე სიმბრუნლის სიფრიფანა ბადეში.

ფრენკი მის უხერხულობას ხედავდა და ამით უც-
ნაურ ბორბლ სიამოვნებას იღებდა. თვითონ თავის უმ-
ნიკელობას ამტკიცებდა, ცდილობდა, თავი ხელში აეყ-
ვანა და გულგრილი დარწმუნოვარე ვაგრეცლებული ხმე-
ბის მიმართ. მის ირგვლივ შექმნილ აბსურდულ გარე-
მოში თავი ღირსეულად ეჭირა, - სხვა რა გზა ჰქონდა,
თუ ხელგრილი პატივმოყვარე სამყარო გრძობსკულ
ამბებს გააფთრებული თხზავდა, - მთელი გულისყური
საქმეზე გადაიტანა და უფრო მომთხოვნი გახდა ნამუ-
შევრების მიმართ, ბოლომდე მიენდო საკუთარ გემო-
ვნებას. სწორედ მისი დახვეწილი გემოვნების დამსახუ-
რება იყო, რომ მათი ვალერეა ვადარუნა მოდის ცვლი-
ლებებს, ხელოვნების სხვადასხვა ტალღებს, გემოვნე-
ბის, რომელიც ისეთი გამძლე აღმოჩნდა, რომ ნებისმი-
ერ ცეცხლს გაუძლებდა, რომლის გამოც ვერ იტანა
ნახევრად სამბრუნული, კომფორტული, თვითკმაყო-
ფილი, პურიტანული ცინიზატი და აქ, საბედისწერო
თავისუფლების მეტროპოლისში გამოიქცა. ჭორმა გა-
ამხიარულა, ისიც ართობდა, რომ სასონარკვეთილი ცო-
ლი აკვირდებოდა, ის თვალს ახლა ახალგაზრდა კაც-
ებს ხომ არ აყოლებდა, როგორც ჩვეულებრივსამბრ, გო-
გონებს აყოლებდა ხოლმე. ქალი ქმრის მოძრაობებსაც
ნეტის თვალთი უყურებდა - მუდამ ვადაჭარბებულად
დახვთი და მანერული ეჩვენებოდა - და მის ხმებშიც ფა-
რულ კოდს ეძებდა, რაიმე ნიშანს, რაც სქესის უხილავ
ცვლილებაზე მიანიშნებდა.

ქალის პანანინა ნაწილს უნდოდა კიდევ ჭორი გა-
მართლებულიყო, და ამით ნარსულში მათ შორის მომხ-
დარი თვალ რიგი უსამოვნებების მიზეზი ეთქვა. ფრენ-
კი მათს ვერ იკავებდა და მის ნერვებზე თამაშობდა.
დახინებით უყურებდა ცოლს, თუ, ვთქვათ, სექსუალურ
ნიმუშანი გოგონა ემსახურებოდათ, სახლშიც, საძი-
ნებშიც, ახლა, როცა ქალს მის მიმართ გულგრილობ-
ას ატყობდა, უფრო უხეშად ეძალებოდა, ვიდრე საერ-
თოდ ჩვეოდა. არაერთხელ, სულ მარტო, ნიუ-იორკის
საზოგადოების უამრავი ცნობისმოყვარე თვალისგან
მალვოდა, სახლში, შუადანსავლური ფართოდგამოდილი
ცაცხვების ჩრდილქვეშ, შარონი ცრემლებად დაღვრი-
ლა და ქმარს ვაბუტყია, უფრო სწორად, მის გასაცო-
ფებულ, შეუვალ, აქარა უღანამაულობას. კაცი გვა-
და ფოტოგრაფიული სიზუსტით დახატულ მიშველ სხე-

ულს, უხადო ნამუშევარს, რომელსაც, მიუხედავად
სრულყოფილებისა, როცა უყურებ, მინც გვეფლებდა
განცდა, რომ ის უტიფრად იმეტიას ნამდვილობას, თუ-
შქა იცხ, რომ ის რეალური ადამიანი არაა და არც მისი
ფოტოა. „ჩემგან შორს ხარ“, ადანამაულებდა ქმარს.
„ყოველთვის ასე იყო“.

„უბრალოდ ასე მოხდა, თავადაც არ მინდოდა. შენ
კი ეს არასოდეს განუხებდა, ბუნებრივად იღებდი“.

„შე ერთი თინეიჯერი გოგო ვიყავი. შენზე მინდო-
ბილი და დამოკიდებულები“.

„ვერაფერს ვიხამთ, ახლა ყველაფერი ისეა, როგო-
რცაა“, შენიშნა ფრენკმა გულგატეხილი ხმით და ხე-
ლები ასწია, თითქოს უარს ამბობდა მის გარშემო ყვე-
ლაფერზე, - მათ თიახზე, მათ ძვირადღირებულ სახლ-
ზე, საერთო კარიერაზე, ბიზნესზე. „შენ რა განაღლე-
ებს, შურონ? გემინია, არ დამეპარვო? თუ ქალური პატი-
ვმოყვარეობა შეგებლავა? ის ხალხი, ვინც ეს ამბავი
გამოიგონა, ქალს საერთოდ არ ალიარებს. ქალი მათი-
ვის მხოლოდ ხმაურია უკანა პლანზე“.

„და მინც, ეს ამბავი სასაცილო არაა - რომც იყოს,
რატომ არ წყვდება მითქმა-მოთქმა, იძისად მიუხედა-
ვად, რომ ყველგან ერთად ეჩნდებიო?“

იმისთხრა, რომ ცოლი დაგნყარუნებდა, და ჭორისთ-
ვისაც საფუძველი გამოეცალა, ფრენკმა მარტო სია-
რული შეწყვიტა და ქალი სულ თან დაწყავდა, არ დაეც-
დებოდა, თუ ზოგჯერ ბავშვები სახლში უშეთვალყურ-
ოდ რჩებოდნენ.

ფრენკმა ცოლს შეკითხვა უბასუხა. „და ვინ ლა-
პარაკობს? მე არასოდეს გამოიგონია, არც ერთხელ, მი-
თხარი, ვინმე უხსენებია აბ ზოლი დროს?“

„არავის“.

„ჰოდა, რაღას დარდობ“. ფრენკს სახეზე ღიმილი
გადაეშალა, ტუჩები ფართოდ გახსნა და დაგრებილი
პილები გამოაჩინა, თახვივით ყვითელი პილები.

„ნაბიჭვარო!“ ამოხეთქა შურონმა. „რალაც საშინე-
ლი საიდუმლო გაქვს!“

„არაფერიც არ მაქვს“, უმფრთველად, სანახევრო
იტყუებოდა ფრენკი.

**ამ ჭორს არანაირი რეალური საფუძველი არ გა-
ანდა.** ფრენკი საკუთარ თავს ეკითხებოდა, ამ ჭორში
რალაც ქეშმარიტება ხომ არ არისო, არა ფაქტობრივი
სიმართლე, არამედ უფრო მაღალი, შინაგანი? მას, თხე-
ლი აღნაგობის, ხელოვნებით დანიტრესებულ მამაკ-
აცს, ხომ არ ჰქონდა აკვირებულები შიში, რომ შიშისე-
ქსუალად ჩათვლიდნენ? ბარებსა და გასახდლებში,
შომოსესქუალურ უვერტიკურებს ვადაჭარბებული სი-
ფრთხილითა და ანტეპათიით ხომ არ პასუხობდა? მისი
ადრეული ჭორინება და ათი წლის შემდეგ დაწყებუ-
ლი თავამებულები შექლთანეობა ხომ არ იყო გაქცევა
რალაც უფრო უსაფრთხო, საზოგადოებისთვის მისა-
ცეს ღნეუბნი? როცა სექსუალურ ფანტაზიებში ვადა-
იჭრებოდა, ან შორნი ფილმს უყურებდა, მამაკაცის
ორგანი ხომ არ ხდებოდა მისთვის მთავარი გმირი, ყო-
ველი სქესის მთავარი ფიგურა? ხომ არ შურდა ქალებ-
ის, ფალოს დაუფრავად რომ ეთაყვანებოდნენ? თუ-
შქა, გულწრფელად რომ ვთქვათ, ან საკითხის ორივე
მხრიდან თუ შევხებოდა, ნუთუ შესაძლებელია, რომ
შომოსესქუალური ურთიერთობა სრულიად თავისუ-
ფალი იყოს პეტროსექსუალურისგან? ისიც სხეულის
ავტორიტეტის გუნების, კამკაშა ოცნების, პირველსანაის
საშომი დაბრუნების მცდელობის ვარდისფერი ნაგავი
ხომ არ არის?

ფრენკს ეცხვებოდა ღრწინდა, ამ საკითხის უფრო ფართოდ გაშლას (ცდილობდა და თავისთვის მსჯელობდა: ხომ სიმართლეა, რომ მამასთან უფრო მოხერხებულად გრძობდა თავს, ვიდრე დედასთან? თავისთავად ეს ფაქტი ხომ არ წარმოადგენდა ავისმომასწავლებელ ბიოლოგიურ ცვლილებებს? იქ, ოპიოის მაღლობზე, მამამისი მაღალი საზოგადოების დახვეწილი წარმომადგენელი გახლდათ, პროფესიით ადვოკატი, შოთხივე ქუჩაზე მუშაობდა, მისი კლიენტებიც იმავე საზოგადოებას მიეკუთვნებოდნენ, იმავე ცხოვრებისეული აქცენტებით, ვინორ ინტერესებითა თუ მისწრაფებებით. მამა უფრო შვედრემანი იყო, ისეთივე გრძელი კბილები და მუღმივად კუჭტად შეკრული პირი ჰქონდა, რაც მთავარია, მას ადვოკატისთვის აუცილებელი, - დუმილის ნიჭი და კეთილგონიერული თავმჯივანების უნარი დაჰყვა. თუ მისი ვაჟის შესიერებაში გავანტვიღო ისეთი ქრონიკებს დაუფურცებო, როგორცაა ქალაქის ცენტრში ფრენკსთვის პირველი კოსტიუმის საყიდლად ტრავპიტი ნასვლედი, ყოველ წაფხულს ერთი ან ორი ექსკურსია, ძველ Crosley Field მოედანზე Reds-ის თამაშზე დასწრება, - მამა თითქმის არ ლაპარაკობდა. მისი დაძაბულობა თავმჯივანზე, რის გამოც პატარა ფრენკს ძალიან ბევრი რამ უთქმელი და გაუცნობიერებელი რჩებოდა, ერთგვარი შეება იყო დედამისის ყოველდღიური, მისკენ უწყვეტი საკადად მიმართული სიტყვებისა და რჩევების ფონზე. როცა ნამოიზარდა, როგორც ახლა იხსენებს, სტრიკური ტიპის კაცები მოსწონდა, მასზე მალელები, თვალბში გამოუთქმელი სევიანი; კოლეჯში მიხი უახლოესი მეგობარი შვედნიერი ტიპი იყო, ხოლო ჰესტინგში, ჩოგბურთის მენეჯერისთან და იმ ხელოვანებთან მეგობრობდა, რომლებიც განსაკუთრებით მოსდობდა თბილისი და ხელსაც უწყობდა; ესენი იყვნენ მხატვრული, ხროლი, გვალვიან პეიზაჟებს რომ ხატავდნენ და პირდაპირი მნიშვნელობით, გაუნათლებელი სკულპტორები - თავით ფეხებამდე თავიანთ პროფესიაში და ჯოტუ აკეთებებში ჩაფლული ადამიანები. ასეთი კაცების გარემოცვაში მოხვედრილი ფრენკი მათზე ლამის ცოლითი ზრუნავდა და ზედ ისე ეფიფრებოდა, რომ შერონი ძლივდა ცნობდა.

ფრენკს დედა, ლუისივლი ერთ დროს ცნობილი პრანჭია, თვალში მოსახვედრი, დაუდგრობელი, გესლიანი, მერყევი, მომთხვიანი, ნუნუნა და მოსიყვარული ქალი იყო. მისგან ფრენკს „არტისტიული“ თვისებები დაჰყვა, და ასევე, მშვენიერი ქერა თმა, თუმცა ამის გამო ის დედას დიდად არ ემადლიერებოდა. როგორც ერთი ცნობილი ფორმულა გავანავლის, რომელზეც მას წარმოადგენდაც არ ჰქონდა ბავშვობაში - ნაკლები შეიძლება იყოს შეტი. დედამ ქალის შესახებ კომპლექსური აზრი ჩამოუყალიბა: რთული, მორთული-მოკაშული, ამზიხველი, მაგრამ მუხანათი, მის ხელში ნახი ყვავილის ფურცელი ნაშში შეიძლება ბასრ დანად დადაიქცეს. ფრენკის ყურადღება შერონის სევიანმა ფრმობის დროს და უიმედო თვალზემა მიიყვანა, მაგრამ მალე მისი მარტოსული სამყაროს ბრწყინვალეობის ბიბლი უკვალოდ გაქრა და მერე იგივე ნიშნები ფრენკს შერონს აქორთავდა. სხვა ქალებზე უფრო მაღალი მოთხოვნები ჰქონდათ, ვიდრე მას შეეძლო დაეკმაყოფილებინა. ამისათვის მათ ჰყავდათ სხვა, მასზე დიდი, მასზე გულთბილი კაცები, და ეს ფრენკმა კარგად იცოდა. შერონისთვის ის მისი მხსნელი პრინცი იყო, რომელმაც დაგვრებილი ოპიოის ბოროტი ურჩხული დაამარცხა. რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამ ქორის უფრო უტყუარი, და უფრო დამანგრეველი მტკიცებულება, ვიდრე ცოლის სუ-

რვილი, ეს ამბავი მართალი აღმოჩნილიყო? ის ხომ ფრენკს ყველაზე კარგად იცნობდა და მისგან ყველაზე მეტად იყო დაგალებული. ქალს ინსტინქტურად სჯეროდა ვეისის, მოუხედავად შიდას, რომ ქმარი გვერდით ეჯდა, თვალნინ, და როგორ მოხდებოდა, ვილაც ბიჭთან ერთად გაქცევაზე ყოფილიყო ლაპარაკი?

ფრენკს შერონი არასწორად აღიქვამდა, არარეალურადაც კი. საბოლოოდ მიეცაგაცრუებული ფრენკი ამ დასაკნამდე დიდი გულისტკივლით მივიდა. როგორც კი ქორის აჩრდილი თავს წამოადგათ, ამდენი წლის ერთგული თანაცხოვრება, ამდენი სასიყვარულო ღამე, სახლის საქმეებში მუხლწაუხრელად გატარებული ამდენი დღე აი, ასე უმადურად შთაინთქა, უცებ ყველაფერს ხაზი გადაესვა. მეორე მხრივ კი, რაც ეს მიიქცემოთქმა დაიწყო, ფრენკი ყრისთვის, გალერეის დაცვის სამსახურის ამ ახალფუნქციონარ, ელვანტური თანამშრომლისთვის უფრო რეალური გახდა. ის უწინდებურად დაუდგვრად აღარ ესალმებოდა, მის დაწახვებზე ბიჭს შავ თვალბში ინვაჯირი ჭინკები უწინდებურად და დასამებულსა და დამსამქმებელს შორის აუცილებელი თავაზიანობით მისწერებოდა. ჯენიფერიც, სამოციანი წლების ვარცხნილობის, შარფებისა და კაშკაშა ფერების მოყვარული თვალნარმეტაკი ადმინისტრატორი, ახლა მას გაცილებით თავისუფლად ექცეოდა, შეიძლება ითქვას, უცერემონიოდ. მან ფრენკთან სასიყვარულო ურთი ულეკონიცი კი შემოიშავა - „ბოსი აქ იყო, მაგრამ ახლა „მერჯორდში“ გავიდა, რაღაცის გასაცემად“. ისე ეტყეოდა, თითქმის ორივე „ბოსის“ უმოწყალო ტყვეობაში ტანჯვებოდნენ. თავიდან ფრენკი ინსტინქტურად რჩებოდა შერონის ერთგული, ის მისთვის ერთადერთი ქალი იყო, მაგრამ შემდეგ მეტისმეტად მომეხა, თითქმის მისი ილუზორული კაცი-საყვარელი და არაფერისმთქმელი, ხელდაღლური ცხოვრება, რომლითაც ის ვითომ ამ ბოლო დროს ფემენებულ ბინამ ცხოვრობდა, ის ვლილო იყო, რომელიც ამ ქალაქისგან თითხმეტე წლის წინ ჩამოსულ, მუშაობით ქანცანყვეტილ, ბავშვებით დახუნძლულ წყვილს ერგო - გლამურის ერთგვარი შარავანდენი.

ჰასტინგში, ნუველზე, სადაც ფრენკი და შერონი მიიხვეს, არც ისე სახარბილო სურათი დიხატა. ფრენკს ისეთი განცდა ჰქონდა, რომ სხვა წყვილები მათ ერთად დანახვაზე მოფთავდნენ და ერთობ დახვეწილ მესცქეროდნენ. მამაკაცები გაუბრობდნენ, ხოლო ქალები ძალ-ღონეს არ იმუერდნენ, ზემდინენით სერიოზულად დაეკვირათ თავი და ბავშვების კოლეჯში ჩაბარების პროცედურების, ადგილობრივი გეოგრაფიული ზონებისა თუ კლი სართილზე საშუალო ადგილების შემცირების შესახებ ყოველად უაზრო საუბარს იწყებდნენ. შერონის მიმართ სუსტი სქვის წარმომადგენლები, როგორც ფრენკი ხედავდა, ცხოვლის ინსტინქტური მოძრაობებით შემოიფარგლებოდნენ, მასთან ახლოს მიდიოდნენ და მკლავზე თუ მხარზე ეხებოდნენ, რითაც სოლიდარობასა და თანავრობას გამოხატავდნენ, და ამასთან ერთად, თითქმის დაცვაზეც სთავაზობდნენ.

ფრენკს უეს რობერტსონი, ჩოგბურთში მისი მენეჯერი მოუახლოვდა და ბუზღუნითი ჰკითხა:

„როგორ მიდის საქმეები?“
 „მშვენიერად“, უსასუხა ფრენკმა და უესს მიაჩერდა, თან იმედი ჰქონდა, რომ თვალში ზედმეტად არ უბრწყინავდა. უესს, რომელსაც ახლახან მუხურულდა ორმოცდაათი წელი, ავარიდან დარჩენილი ნაიარევი ეტყობოდა ნიკაზე, ეს იყო პატარა ვარდისფერი პიგ-

მენტური ლაქა, მამაკაცისთვის დამახასიათებელი, საკუთარი თავის მიმართ დაუდევარი დამოკიდებულების ერთგვარი ნიშანი.

ფრენკმა პასუხი გააგრძელა, თუმცა დარწმუნებულად არ იყო, რომ უესს აინტერესებდა. „ბიზნესში პრობლემები გვაქვს, ალბათ ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანას. თუმცა, იაპონელები ასე თუ ისე უმკლავდებიან. მე თუ მკითხავ, იაპონელების პრობლემა, ჩემი, პატარა ვალერის მფლობელის გადმოსახედიდან, ისაა, რომ რისკი აკლიათ, დიდ მოგებაზე მუშაობენ, ძვირფას ნივთებზე გიჟდებიან, გარანტიებს ითხოვენ, ხელოვნებაში არაფერი გაეგებათ, ინტუიცია საერთოდ არ აქვთ, არ ესმით, რომ ხელოვნებაში ფასი ვარკვეული თვალსაზრისით სუბიექტურია და რომ ეს ასეც უნდა იყოს. დაუკვირდი, მათთან ყველაფერი სტანდარტზე უფლია. ვინზე არჩევს ერთმანეთისგან პირობივებსა და პოქუსანს? იცი რას ნიშნავს? მთელი მათი საზოგადოება, პროგრესი, მხოლოდ ერთმანეთის მსგავსებაზე აგებული, ისეთი რამ უნდა შექმნას, რაც ყველას მოეწონება, ხელოვნება, როგორც ბრძოლა, აზარტი, ეგზისტენციალური პრობლემების დინამიკური გამოხატვა, მათთვის მიუღებელია“. ფრენკი გრძობდა, რომ ძალიან ბევრს ლაპარაკობდა, მაგრამ თავს ველარ იკავებდა. უესის ნაღვლიანი, ნიაბრევი სახე, ალკოჰოლიკის უხეში სხეული, რომელსაც ჩოგბურთის წოგნის მოხდენილად მოქნივის უნარი ისევ შესწევდა, რაღაცნაირად ღრის უღვიძებდა და ფლორიდაობის სურვილს უღვივებდა.


უესს სახე დაეფლანა და ფრენკი პირქუშად შეათვალურა. „კვირას მოხვალ თამაშზე?“

„აინტერესებდა, ისევე მათთან იყო თუ არა. რა თქმა უნდა, რატომაც არა? ფრენკი შეეცადა მხნეობა არ დაეკარგა და ლაპარაკიც შეწყვიტა. სახეზე ალმური იგრძნო და ენის ბორძიკით ამოთქვა „როგორც ყოველთვის, თერთმეტს რომ თხოვთმეტი აკლია, არა?“

უესსმა თავი დაუქნია. „ჰო, ეგრე“. ფრენკმა ისევე დაიწყო: „ჰოდი, მესხეთე მოედანი ავიღით, აი, იმ ტიპებმა, მეორე მოედანზე რომ ვარჯიშობდნენ, იმ დღეს ქუიდან გადამიყვანეს. მთელი დრო მათი ბურთის დევნაში ვაივდა. და თან ენა არ გაუჭერებიათ, სისულელეებს ბოღავდნენ“.

უესსს ნინა თამაშის შესახებ სიტყვა არ დაუძრავს, უნინდებურად მელანქოლიურად აქნევდა თავს. უცებ ფრენკი მიხვდა: აი, ის იყო, რაც ასე ძლიერ მოხსონდა კაცებში - მინიმალური თვალთვითობაში, გენდერზე და მყარებული ცნობიერება, რომ ცხოვრების კარადა, ხატტონად რომ ვთქვათ, თითქმის ცარიელია. არხად ქაქანებდა ის დაუღალავი, მოსაბურებელი, იმედით თავლებანთებული ქალი, მუდმივად რომ გეპირფერება.

ერთობდნენ, ნლევის ნინ, ბრძმუდადი, გოლფის ტურნირზე, ის და უესი ერთ თოთახში აღმოჩნდნენ. თოთახში ორი საწლიო იდგა, როგორც კი დაწვა, უესსმა მამსინევე ხვრინვა ამოუშვა და საწვალ ფრენკს მთელი დამე ძილი დაუფრთხო. მთვარით განათებულ საწოლზე მძინარე მამაკაცის სხეულის თვალთვითობისას ფრენკს თვალში ეცა მისი ფორმების ტრავიზში, თითქმის საფლავზე ქვის რანდი იფშვნებო - ნაცრისფერი სილუეტტი, მგვრინავი პროფილი, მასიური მეომრის ურავი სხეული ისეთივე უმწყო ეწვენებოდა, როგორც მისი სუნთქვა, რომელიც ძილის ფაზიდან ფაზამდე, ღრმა ძილიდან თითქმის ლევილამდე იბრძოდა და შიგადაშიგ, სინუსის ორიოდ კურხივული წუთი მოჰქონდა. მეორე დილას უესსმა აუხსნა ფრენკს, რომ, როგორც კი ხვრინვა შეაწუნე-



ბდა, მძინარე კარგად უნდა შეეხვლიდა, როგორც ამას მისი ცოლი აკეთებდა. მაგრამ მე ხომ შეხი ცოლი არ ვარ, ვაიფიქრა მამის ფრენკმა, თუმცა იმ ღამით საკუთარი გულის უცნაური მოძრაობები იგრძნო, მათ შორის ფრთხილიც, მისმა გულმა მთელი ის გზა გაიარა, რასაც ქალის გული გადის, როცა მღვდრი მამრის ჩამოქუფრულ ნაცრისფერს გადალახავს და წყიმის შემდეგ გაწენილ ცისარტყელას, ანუ სიყვარულს მისწვდება.

ნენ ფორმშიაერის გამოფენის გახსნაზე. ფორმშიაერი, მორცხვი, ხეპრე, ჯიუტნი და უკვე არც ისე ახალგაზრდა მხატვარი, რომელიც ძირითადად კონექტიკუტის ჩაის ფერად პეინაჟებს ხატავდა, ფრენკის ნებინრა გახლდათ. მართალია, კვირვის იტყოდა, რომ ის მონადმი იყო, მაგრამ მის ტილოებზე მოთხრობა მისც მალალი რწებოდა. იმ საღამოს ვოლტონ ფორნის გარდა ფრენკთან საუბრის სურვილი არავის გახსენია. ის თეთრი ღვინითა და უცნაური, ჩაქურბული თვითკმაყოფილებით განათებული მრგვალი სახით მიუახლოვდა. „მისმინე, ფრენკ, ძმარ, მგონი ბოლდში უნდა მოგიხადო. ჩარლი ვითვლიდი ხომ იცი, ის ტიპი, მერვე ქუჩაზე ჩარჩოების მალაზია რომ აქვს, მეს კი არა, ბჭის გამო ცოლი მან მიატოვა; ბიჭები მექსიკაში გაიტყვნენ, როგორც მერე აღმოჩნდა, ჩარლის მთელი ქონება დაუგირავებია და ახობით ტილო ჩარჩოში ჩასასმელი დაუტყვებია. ალბათ იმან დამაბნა, რომ ჩარლი ოპიაოდანაა, კოლუმბუსიდან თუ კლექელენდთან, ზუსტად არ მახსოვს. ეს იყო ჩემი, რას ექსპონა? ფროიდისტული ნამოცდენა, აი, როცა რაღაცას გაუცნობიერებლად ნამორიშვებ, ალბათ გასაგებია, ერთმანეთში რატომაც ამერიეთს. ევის ვაერმწმნა მითინა, შტონსმა ეს ჭორი არადა ჩაავდია, და მეს კი ალბათ აზრზეც კი ვერ მოხვედო, რა ხდებოდა“.

„ამ ხმებისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია“, თქვა ფრენკმა უფრო მტკიცე ხმით, ვიდრე საერთოდ ჰქონდა. „ამაზე მალდა დავდევით“. ვოლტონი რამდენიმე იწმით დაბალი იყო ფრენკზე, თუმცა უფრო დიდი თავი ჰქონდა. მზხინავ, თხელკანის სახეზე ლოყები ღანვე-

ზიდან ეწყობდა, პრილა ქვედა ტუჩი ლამის ნიკაპზე ეკიდა, ფრენკს თავისი ახლომხედველი თვალებით უყურებდა და ცდილობდა, სახეზე მის მიერ მიყენებული ზიანი და ფრენკს უკმაყოფილების დონე ამოეკითხა, „mea culpa, mea culpa, miau, მაგრამ მე არ დამივალე-ბია იმ ჯოჯოხთვის და შხამიანი ედ ჯეფრისთვის, რომ ეს ამბავი მთელი ქვეყნისთვის მოეცოთ“.

„მადლობელი ვარ, რომ მითხარი, ვოლი“. ფრენკი ახლა საკუთარ თავს ათლექტურ, ბრვე და წარმოსადგე კაცად ხედავდა, მაგრამ თუ ისეთი კაცის გვერდით იდგა, როგორც უესია, მაშინ თავს გამხდარ და დამფრთხალ ადამიანად გრძნობდა. როცა დარბაზს ჩურჩულმა გადაუარა, შერონმა სისხლის სუნი იგრძნო და მაშინვე მათთან გაჩნდა. ფრენკი ვილსონს საიმეოვნებას ვერ მიაჩივებდა, და ამიტომ სასწრაფოდ აცნობა ცოლს, „ვოლიმ ამ წუთას აღიარა, რომ ის ჭორი მან გაავრცელა, რადგან ჩარლი ვითვლილში ავერიე, აღმოჩნდა, რომ ჩარლიც ოპიოდან ყოფილა, მგონი ტოლეროდან, როგორც მახსოვს. რეალურად, ჩარლი გაქცეულა თავის შეყვარებულ ბიჭთან ერთად“.

„ის ჭორი?“ იკითხა შერონმა და თითქოს წანწამები ერთმანეთზე მიეწებო, თვალები ძლივს დაახამხამა, „ალარც კი მახსოვდა. ისედაც, ამას ფრენკზე ვინ დაიჯერებდა?“

„როგორც ჩანს, ყველა“. მიუფო ფრენკმა. თუ ქალების უცნაურ ბუნებას გავითვალისწინებთ, შესაძლოა, შერონმა მართლაც დაივიწყა და მართლა აღარც კი ახსოვდა მაშინ, როცა ფრენკი ტვისს იჭყუტებდა ამ ჭორის შესაძლო ძირულ სიმართლეზე. ამ ხმების გაქრობა - და ვოლტონი კი აუცილებლად მოუყვებოდა ყველას ამბავს თავისი ფორიდული წამოროშვის შესახებ, როგორც კიდევ ერთ კურიოზს საკუთარ თავზე, რომ საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩენილიყო, და ყველა გაიგებდა, რომ ის მოთქმა-მოთქმა რეალობას მოკლებული იყო, - ფრენკს ბოლომდე გაანადგურებდა, ის დაეკარგავდა იმ პატარა, სადისტურ ძალას, რითაც ის ცოლს აიძულებდა დაეკვირვებოდა, როგორ უყურებდა მიმტანებს რესტორანში, და თან გაჰყოლოდა ყველგან, როგორც მისი მხლებელი. მისთვის კასტრაციის ტოლფასი იქნებოდა, თუ შერონი აღარ იფიქრებდა, რომ მას რაღაც საშინელი საიდუმლო აქვს. იმავე საღამოს, მასთან ვოლტონ ფორენის ბიჭი, ჯოჯო მივიდა. ის, აბაზანის ონკანის საკეტის ზომის საყურისა და გაუფრულებული თმის ყვითელი ზოლის მიუხედავად, ფრენკისთვის მოულოდნელად, თავმდაბალი და ინტელიგენტი ადამიანი აღმოჩნდა, რომელმაც პატიება სიტყვაძუნად სთხოვა და ვასაყიდა გამოფენილი ჩაის ფერი პეიზაჟები შეაქო. „ფიქრობ, ჩემი ნახატები უფრო ტრადიციული ხომ არ გვგახდო. აბსტრაქციამ მგონი ჩიხში შემიყვანა“. ბიჭს თხელ, მწუხარე სახეზე, თვალის ქვეშ, მოვერცხლისფრო ნაირევი ეტყობოდა, თითქოს თავის თავში დარწმუნებული არ არისო, ჩქარ-ჩქარა ბუბუტებდა, გეგონება, მის ცხოვრებაში ის წუთი დამდგარიყო, როდესაც მიმართულებების მითითება სჭირდებოდა. იმ გასიებულ უტყინო ფორენის ნამდვილად არ შეეძლო მისთვის სწორი რჩევის მიცემა, და ფრენკს რატომღაც სიამოვნებდა იმაზე ფიქრი, რომ ჯოჯო ამას უკვე ხედებოდა.

როცა ის და შერონი შადსონში მიმავალ გზას დაადგნენ, ერთმანეთთან ძველებური სიახლოვე იგრძნეს. მანქანაში გამათობელი მთელი ძალით უბრავედა. „თავიდან თითქმის დაიჯერე“. შეახსენა კაცმა ცოლს. „ვეისი ისე დამაჯერებლად ლაპარაკობდა... მაგრამ

შენ დამარწმუნე, რომ სისულელეა“. **ან ჩილე**
 „როგორ?“
 შერონმა ხელი წელზე დაადო და თითები შარვალში ჩაუყო „შენ თვითონ იცი“, თქვა მან ხმადახლა, სურდა ხმისთვის მეტი ხეუსუსალოვნობა მიენიჭებინა, მაგრამ გამათობლის სმაურში თითქმის არაფერი ისმოდა. „ამას ვერ ენდობი“. უთხრა კაცმა, „სულ ამით ტყუილებიან ქალები“.

„უგ ვინ გითხრა?“
 „ყველა ამას ამბობს, ნიგნები, პრუსტი. ადამიანი ასეთი მარტივიც არაა“.

„ადამიანი საკმოდ მარტივი“. თქვა შერონმა, ნეიტრალური, თუმცა თავდაცვითი ტონით, და ხელი მოაშორა.

„რადგან შენ ასე ამბობ“, უბასუხა ფრენკმა სწრაფად, გონებით კი სხვაგან ქროდა. ის მოვერცხლისფრო ნაირევი ჯოჯოს მარცხენა თვალის ქვეშ... თეთრი კანის ქვეშ დაბურთული კუნთები... მანსარდები... პალენიკის სტიპენდია, სავარჯიშო დარბაზი... არაორაზროვანი საუბრები... თანაწროთა შორის მარტივი ვარიეტები... შესაძლოა ის ჭორი სამყაროში უკვე მოკვდა, მაგრამ მაშინ ახლა გაცოცხლდა.



ელის მანრო

სახე

ინგლისურიდან თარგმნა ალექსანდრე ჭელიძემ

მე მჯერა, მამაჩემმა მხოლოდ ერთხელ შემომხედა, ნამდვილად დამინახა და უმადო მიხვდა, თუ რასთან პქონდა საქმე.

იმხანად მამებისთვის აკრძალული იყო კაშკაშა შუქით განათებულ სამშობიარო ოთახში შესვლა, მათ ასევე უკრძალავდნენ ფეხმძიმეთათვის განკუთვნილ მოსაცდელში ყოფნას, სადაც მომავალი დედები ცდილობდნენ მშობიარობის ტკივილებს გამკლავებოდნენ - ზოგი გმინავდა, ზოგიც თავს იკავებდა. მამებს მხოლოდ მაშინ შეეძლოთ დედების ხილვა, როცა მათ ცნობაზე მოიყვანდნენ და მოახსენიებდნენ. ისინი საერთო, ან განცალკევებულ პალატებში ინვენ პასტილისფერებიან საბნებში გახვეულები. დედაჩემს ცალკე ოთახი გამოუყვეს, როგორც მის საზოგადოებრივ მცომარეობას შეეფერებოდა, და საერთოდ, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც საქირო იყო.

არ ვიცი, იხახულა თუ არა მამაჩემმა დედა მანამ, სანამ ბავშვების ოთახის ფანჯარაში პირველად მომკრავდა თვალს. ვფიქრობ, რომ ეს მერე მოხდა, დედას მისმა ნაბიჯებმა აგრძობინა, რომ რალაც ვერ იყო რიგზე, ბრაზიც მოერია, თუმცა ამის მიზეზი ვერ არ იცოდა. ბოლოს და ბოლოს, ვაჟიშვილი გააჩინა, პატარა ამბავი ხომ არ იყო, - სავარაუდოდ, ყველა მამისთვის სასიხარულო და სასურველი ამბავი.

მე ვიცი, თუ რა თქვა მამამ მაშინ. ყოველ შემთხვევაში, დედა ასე მომიყვა.

„დაკეპილი ღვიძლის ნაჭერს გავს“ - მერე კი დაამატა - „არც იფიქრო ამის სახლში მოყვანა“.

ჩემის სახის ნაწილი, ისევე როგორც ახლა, მამინაც ბუნებრივად გამოიყურებოდა. და მთელი ჩემი სხეული, თავით ფეხებამდე, არაფრით იყო გამოორჩეული. ჩემი სიმაღლე ოცდაერთი ინჩი იყო, წონა რვა ფუნტი და ხუთი უნცია. ჯანმრთელი, თეთრკანიანი ბიჭუნა ვახლდით... თუმცა ამქვეყნად ახლადმოვლენილი ვიყავი და შეიძლება ჯერ კიდევ მონითალო ფერი დამკრავდა.

ჩემი ტყირბი უფრო მენამული იყო, ვიდრე ნითელი. ჩვილობისას და ყრმობისას საკმაოდ მკვეთრად ჩანდა, შემდგომ კი, როცა გავიზარდე, გაფერმკრთალდა, თუმცა ისე არა, რომ უცხო ადამიანებს არ შეემჩნიათ, არ შემფთებულებიყვნენ. ვინც კი მარცხნიდან მომიახლოვდებოდა, ასე ემართებოდა. მენამული ლაქა იყო პირველი, რასაც სხეუმი ჩემს გარეგნობაში ამჩნევდნენ. ისე გამოიყურებოდა თითქოს ვიღაცამ ყურძნის წვენი გადაამასხა სახეზე, დიდი ლაქა, რომელიც პატარა წვეთებდა ჩაუყვება კისერს. ცხვირს არ შეხებია, თვალის მარცხენა ქუთუთო კი სრულიად დაფარა.

„სამაგიეროდ, შეხედე, როგორი ლამაზი და კრიოლა თვალი გაქვს?!“ - ეს ერთ-ერთი სულელური ნათქვამი და საპატიებელი რამ იყო, რასაც დედაჩემი მეტყვდა ხოლმე, იმ იმედით, რომ საკუთარი



თავით აღფრთოვანდებოდი. და მოხდა საოცარი რამ. სანამ დედაჩემი მშფარველობდა, თითქმის მჯეროდა მისი.

რა თქმა უნდა მამაჩემმა ვერაფრით შეუშალა ხელი ჩემს სახლში მოსვლას. და რა თქმა უნდა, ჩემმა ყოფნამ, არსებობამ საშინელი უფსკრული წარმოშვა ჩემს შობილებს შორის. თუმცა არ მჯერა, რომ მათ შორის მანამდე ყველაფერი რიგზე იყო - არ არსებობდა რაიმე უთანხმოება, ან სულ მცირე, იმედგაცრუება მაინც.

მამაჩემი ერთი გაუნათლებელი კაცის შვილი იყო, რომელიც ჯერ ტყვიის გადამამუშავებელ ქარხანას ფლობდა, ხოლო შემდეგ ხელთათმანების ფაბრიკას. ჟამთა სვლამ მისი წარმატებები წარსულს ჩააბარა, ბოლო დროს საქმეები არც თუ ისე კარგად მისდიოდა, თუმცა ოჯახმა შეინარჩუნა ბაბუაჩემის მიერ ამუნიციული დიდი სახლი, მზარეულიცა და მებძალეც. მამაჩემმა კოლეჯში ჩააბარა, განეწიანდა სტუდენტთა საძმოში, ცხოვრობდა ძველი დროების სულისკვეთებით, შემდგომ კი, როცა ხელთათმანების ფაბრიკა გაკოტრდა, სადაზღვევო ბიზნესი წამოიწყო (მე დამაზინყდა მეხსენებინა, რომ ჩვენ პურონის ტბაზე, კლდის პირას აშენებულ ვიქტორიანული სტილის სა-

ხლმო ვცხოვრობდით, საიდანაც შესანიშნავად ჩანდა მზის ჩასვლა.)

სახლში, მამაჩემის ყველაზე მეტად გამოხატული თვისება ზიზლი და სიძულელი გახლდათ - უფრო ხშირად კი - ორივე ერთად. მას სძულდა რომელიღაც საძეგლი, რომელიღაც ავტომობილის მარკა, განსაზღვრული მუსიკა, მეტყველების მანერა, ჩაცმის სტილი, რადიო-კომიკონები, ხოლო შემდგომ სატელევიზიო პროგრამების ნამყვანები, ასევე განსაზღვრული რასის და საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენლები, რომელთა მიმართ სიძულელიც იმხანად ჩვეულებრივი მოვლენა იყო (თუმცა, შეიძლება, ისე ყოველსომიძველი არა, როგორცაც მამა ამჟღავნებდა). ფაქტობრივად, მის აზრს ცოტა ვინმე თუ შეენი-ნააღმდეგებოდა ჩვენს ქალაქში, მისი ამხანაგები, ვისთან ერთადაც ზღვასწოვას მისდევდა, ანდა სტუდენტური საძმოს წევრები, დღემდე ამჯობინებდნენ. მისი პიროვნული სიძლიერე, რომელიც ბევრს ხშირად ამოუთავებდა, ზოგში, არც თუ იშვიათად, აღფრთოვანებასაც იწვევდა.

ყველაფერს თავის სახელს არქმევსო - ასე ამბობდნენ მამაზე.

რა თქმა უნდა, ჩემისთანა ბავშვის დაბადება მისთვის შურადი(ცხმო)ფული იყო, და ამ განცდას ყოველ ცისმარე დღეს უნდა გამკლავებოდა, როცა კი სახლის კარს შემოაღებდა. მარტო საუზმობდა და ლანჩოსთვის სახლში არ ბრუნდებოდა. ლანჩისა და ვახშმის ნაწილს დედა ჩემთან ერთად შექცევდა, ნაწილს მხოლოდ მამასთან ერთად. ვფიქრობ, ბოლოს მათ ამაზე ჩხუბი მოუვიდათ, რის შემდეგაც დედა მთავალურედ იჯდა ხოლმე ჩემს გვერდით, სანამ ვამაზდებულ კერძს მოვათავებდი, ჭამით კი მამასთან ერთად ჭამდა.

ნათელია, რომ მათ თანაცხოვრებას ვერაფერი სასიკეთო შეემატე.

მაგრამ, ისიც საკითხავია, საერთოდ როგორ შეხედნენ ერთმანეთს. დედას კოლეჯში არ უსწავლია, ფულით სესხება დასჭირდა, რომ მასხანაველებელთა მოსამზადებელ სკოლაში ევლი. მას უძინოდა ღია ზღვაში ნაოსნობის, მოუხერხებლად თამაშობდა გოლფს, და თუკი ლამაზი ეთქმოდა, როგორც ახას სხეუმი მიმტკიცებდნენ (რთულია, საკუთარი დედის გარეგნობა შეაფასო), ის არ მიეკუთვნებოდა ქალთა იმ კატეგორიას, მანა ალტაცებამი რომ მოჰყავდათ. მამა ზოგერთს ქალს "ტურფას" ეძახდა, ხოლო შემდგომში, ხანში რომ შევიდა - "კუკლას". დედა ტურის საცხს არ ხმარობდა, საკმაოდ მოკრძალებულ ბიუსპალტერს ატარებდა და თმას გვირგვინად იწნავდა თავზე, რაც მის ფართო, თეთრ მუხვს მოხდენილად აჩენდა. დედაჩემის ჩაცმულობას მოდურს ნამდვილად ვერ დარქმევდა კაცი, მისი საბოხი უფორმის გავდა, მაგრამ ამავე დროს რალაცნარიად დიდებული იყო; კარვად რომ წარმოიდგინოთ, დედა იმ ქალთა რიცხვს ეკუთვნებოდა, ვისაც მარგალიტის დახვეწილი ყელსაბაზი უხდებდა. თუმცა, ვფიქრობ, მას მსგავსი სამკაული ყელზე არასდროს შეუხნებია.

როგორც ჩანს, მშობლებს შორის არსებული მუდმივი ჩხუბის და უთანხმოების საბაზი გავხდი, გადუქურფელი პრობლემა - რაც მათ პიროვნულ განსხვავებულობას სულ უფრო თვალსაჩინოებს ხდოდა და რაც, გამორიცხული არაა, ღვთიურ მადლადაც კი მოვევლინათ. ალბათ თავს ასე უფრო მოხერხებულად

და მშვიდად გრძნობდნენ. მე პირადად, მშობლიურ ქალაქში განქორწინების არცერთი შემთხვევა არ მახსოვს. სასყები თუ შესაძლებელია, რომ იყვნენ სხვა წყვილებიც, რომლებიც ერთ ჭკრქვეშ განსხვავებული ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ქალები და კაცები, რომლებმაც აღიარეს, რომ ჩაიდინეს (ან თქვეს), ისეთ რამ, რისი პატივაც შეუძლებელია და რომ არსებობს ბარიერები, რომელთა გადალახვაც ვერასდროს შეძლებენ.

მამაჩემი ბევრს სვამდა და ეწვია, რაც მსგავს შემთხვევაში სრულებით არაა გასაკვირი, მით უფრო რომ მისი მეგობრებიც ბევრს სვამდნენ და ეწვოდნენ, განურჩევლად მათი მდგომარეობისა. ჯერ სამოცი წლისააც არ იყო, როცა ტინიში სისხლი ჩაქცა, ლოგინად ჩავარდა და რამდენიმე თვეში გარდაიცვალა. რალა თქმა უნდა, დედაჩემი მას მთელი ამ ხნის განმავლობაში უვლიდა. მამა, იმის მაგივრად რომ სინაზე და მადლიერება გამოემჟღავნებინა, უკანასკნელი სიტყვებით ავინებდა დედას. მარცხულის გასაგებად ვერ ანაწევრებდა, თუმცა დედა ყოველთვის ხედეშობდა მის ნათქვამს და ეს მამას დიდ სიამოვნებას გვრიდა.

დაკრძალვაზე ერთმა ჭკარათიმიანმა ქალმა მითხრა, "დედაშენი წინდანი". მე ეს მაშინვე შემძულდა. უკვე მთავრე წელი იყო, რაც კოლეჯში ვსწავლობდი. მე სტუდენტურ სამოში არ შევსულვარ, რომლის წვერი ერთ დროს მამაჩემიც იყო. სიმართლე გითხრათ, არც არავის მიგუნვევია იქ. ჩემს მეგობრებს სურდათ მწერილად და მსახიობები გამოსულიყვნენ, მაგრამ ჯერ მხოლოდ ენამახვილობდნენ, დროს უაზროდ ულანგავდნენ, თავგანთლებით აკრიტიკებდნენ სოციალურ სისტემას და არ სწამდათ ღმერთის. მე პატივს არ ვცემდი ისეთ ხალხს, ვინც დედობად, მინიჭებით მოქცეულიყო. და გულწრფელად რომ ვთქვა, არც დედაჩემს ჰქონია მსგავსი განზრახვა. ის რელიგიური წარმოდგენებისა იმდენად შორს იყო, რომ ერთხელაც არ უთხოვია ჩემთვის, ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ სახლში დარუნებული, შესულიყავი მამის ოთახში და რაიმე მეთქვა ან მომემოქმედა შესაროგებლად.

დედად თავი მომიძღვნა (ეს სიტყვა არცერთს არ გვიხსენებია, მაგრამ ვფიქრობ, დედად სწორედ რომ მე მომიძღვნა თავისი (ცხოვრება). სანამ ცხრა წელი შემისრულდებოდა, სახლში ყვავი და თავად მასწავლიდა. შემდეგ სკოლაში გამავაზვნა, რაც თითქოს უფლებურების მომასწავლებლად ჟღერს. წარმოიდგინეთ, დედის მიერ განბიერებული მონათლო სახის ბიჭუნა, მარტო რომ დარჩა პატარა ველურებს შორის, რომლებიც მზად არიან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე თავს დაესხან და შეურაცხციონ. მაგრამ, მართალია რომ გითხრათ, სკოლაში გატარებული დრო ცუდად არ მახსოვს. დღესაც არ ვიცი ზუსტად, რა იყო ამის მიზეზი. ასაკის ველობაზე საკმაოდ მაღალი და ძლიერი ვიყავი, რაც უფოლდ დამეხმარა. გარდა ამისა, მგონია, რომ მშობლიური სახლის დამთრგუნველმა ატმოსფეროდ და იმ ზიზმა, ლამის უჩინნაჩინი მამა ყოველდღიურად რომ აფრქვევდა, ყველა სხვა ადგილი ჩემთვის ასატანი გახდა, ასატანი დასამართლიანი. სკოლაში მეტსახელი შემარქვეს - თავყურძენა. მაგრამ იქ თითქმის ყველას ქონდა დამამცირებელი მეტსახელი; მახსოვს, ერთ ბიჭს, რომელსაც ფეხზე საშინელი სუნი ასდიოდა და არც დაბნა შევლოდა

და არც არაფერი - მყარად შეარქვეს. მოკლედ, ყველაფერს როგორღაც თავს ვაბამდი. დედას ხუმრობის კილოთი ვწერდი და ისიც შესაბამისად მპასუხობდა, ცოტა დამცინავდაც კი მიყვებოდა ქალაქისა და ეკლესიის ამბებს. მახსოვს, ერთხელ მომწერა, მე და მამამ ვიჩხუბეთ, ვერ მოვირგდით, ჩაიზე მისაყოლებლად სენდვიჩები როგორ დაგვეჭრა. დედა ცდილობდა, თავის წერილში გულისწყრომა არ გამოემჟღავნებინა და ხუმრობით „მის ბრწყინვალეზადაც“ კი მოიხსენია მამა.

ამ მონაცხლით, მამაჩემი ალაბათ მონსტრად გეჩვენებთ, ხოლო დედა - ჩემს მხსნელად და დამცველად. მჯერა, რომ ეს მართლაც ასე იყო. თუმცა, სანამ სკოლაში წავიდოდი, ისინი ერთადერთები არ იყვნენ ჩემს ცხოვრებაში და არც მხოლოდ მშობლიური სახლის ატმოსფერო შემიცვლიდა. ჩემი ცხოვრების დიდ დრამაში სხვა ადამიანიც გამოჩნდა.

დიდი დრამა-თქო. მრცხვენია კიდევ, ამას რომ ვწერ. იქნებ ეს მხოლოდ იაფფასიანი სატირა ან საკუთარი თავის განდიდების მცდელობა. მაგრამ ფიქრობ, სწორედ ამგვარად უნდა მოგიყვებოდა ჩემს წარსულზე, რათა ნათლად გაგაგებინოთ, როგორ მოვიხვეწე შემდგომში ჩემი ცხოვრება.

მე მსახიობი გავხდი. გაგიკვირდათ? კოლეჯში სწავლის პერიოდში, რა თქმა უნდა, სტუდენტთა იმ წრეში ვტრიალებდი, თუგანთან რომ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ და სწავლის ბოლო წელს პიესაც დავდეგი. იმხანად ერთი ხუმრობა იყო გაერცვლებული, რო-

მელიც თავად გამოვიგონე: თუ როგორ უნდა ვმდგარიყავი პროფილით მაყურებელთა წინაშე, ტყირპი რომ არ შეემჩნიათ. თუ საჭირო იქნებოდა, სცენაზე აუდიტორიისგან ზურგშექცევილთაც უნდა მეცნო. თუმცა ასეთი ენერჯული მანევრები აღარ დამჭირდა.

მაშინ საზოგადოებრივ არხზე მუდმივად დგამდნენ რადიოსპექტაკლებს, და ყოველკვირეული ამბიციური გადაცემებიც არ იყო იშვიათობა. რომანების ადაპტაციები. შექსპირი. იბსენი. ჩემი ხმა ბუნებრივად რბილი იყო და ცოტაოდენი ვარჯიშის შემდგომ უფრო დაიხვეწა. თავდაპირველად მხოლოდ მცირე როლებს მადღვედნენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ტელევიზიამ რადიო თანდათანობით ჩაანაცვლა, უკვე თითქმის ყოველ კვირა მქონდა სამუშაო და ჩემი სახელი მსმენელთა მცირე, მაგრამ ერთგული წრისთვის ცნობილი გახდა.

როდესაც სამსახიობო კარიერა დავასრულე, ჯერ ვინაიეგში, ხოლო შემდეგ კვლავ ტორონტოში ამიყვანეს დიქტორად - ჩემმა ხმამ აქაც კარგი სამსახური გამიწია. ბოლო ოცი წელი მუსიკალური გადაცემის ნამყვანად ვმუშაობდი, რომელიც უქმეების გარდა, ყოველ ნაშუადღევს გადიოდა პირდაპირ ეთერში. ხალხს კი ეგონა, მაგრამ სიმღერებს თავად არ ვარჩევდი, რადგან მუსიკის საკითხებში არც თუ კარგად ვიყავი გაცნობიერებული. ამის მიუხედავად, მოვახერხე და შევიქმენი რადიონამყვანის სასიამოვნო, თუმცა ცოტა უცნაური იმიჯი. გადაცემას ფართო გამოხმალურება მოჰყვა და ბევრი წერილი შემომავდი-





ოდა. ჩვენ გვისმენდნენ მოხუცთა ან უსინათლოთა სახლებში, გვისმენდნენ ადამიანები, რომელთაც სამუშაოს გამო მუდმივად უწყვდათ მანქანით დამღეული მგზავრობა, ასევე დაისახლებები, რომლებსაც ნაშუადღევს ან საუთოთო ქონდათ, ან სამზარეულოში საქმიანობდნენ. კიდევ ფერმერები, მთელი დღის მანძილზე რომ ხსაყუნენ ან ფარცხავდნენ აკრობით მინას. გვისმენდნენ ქვეყნის მასშტაბით, ყველა მხარეში.

როცა რადიოდან ნამოყვდი, მსმენელებმა გულსამაჩუყებლად გამოხატეს თავიანთი გრძობები. ამბობდნენ, რომ მათ ახლი შეგობარი ან ოჯახის წევრი დაეკარგეს. ალბათ გულსამბობდნენ, რომ მათი ცხოვრების გარკვეული ნაწილი, კვირამი ხუთი დღის მანძილზე, რამდენიმე საათით საიმყოფო იყო შევსებული. თავს მიტოვებულად აღარ ვგრძნობდით, და ამის გამო გულწრფელად, მორიდებულად გამოხატავდნენ მადლიერებას. ჩემდა გასაკვირად, მათმა განცდებმა ჩემზეც იმოქმედეს. როცა პირდაპირ ეთერში მსმენელთა წერილებს ვკითხულობდი, ყელში ბურთივით მომანვა რაღაც და ძალისხმევა დამჭირდა, რომ არ გაეჩერებულაყო.

და მაინც, რადიოგადაცემა სულ მალე დაიწყებდას მიეცა. მეც დადივნიყვას. მსმენელებს ახალი კომირები გამოუჩნდათ. რადიოსთან კავშირი საერთოდ გავწყვიტე, ნოსტალგიური გამოსახულებისგან თავს ვიკავებდი და საკვლამოქმედი დინისძიებების გაძღოლას ზეც უარს ვამბობდი. დედა სულ რამდენიმე წლის წინ ზრუნვითიხუცებული გარდაეცვალა, მაგრამ მშობლოური სახლი არ გამაყიდა, მხოლოდ გავაქირავე. ახლა მე მისი ვაჟივდა ვადავწყვიტე და მდგმურებსაც ვაცნობე ამის შესახებ. მანდადა, ცოტა ხანი მე თვითონ მეცხოვრა სახლში და ყველაფერი, განსაკუთრებით კი პაილი, წესრიგში მომიყვანა.

ახალგაზრდობაში არ ვიყავი მარტო. მსმენელებს ახრდა მეყავა მეყოფობები. მეყავა ქალებიც. ზოგი ქალი ხომ იმ კატეგორიის მამაკაცებზე მონადირეა, მათივე წარმოდგენით, ცოტა გამოაცოცხლებდა, ცოტა შეჯახვლარება რომ სჭირდებოდა. ასეთები თავის ნადვანს ყველას საიამაით ანახებენ ხოლმე, ვითომ ან, როგორი არაჩვეულებრივი უმჯრელობა და ლმობიერება გამოვალენიყო. ასეთი ქალებისგან თავი შორს მეჭირა. ის წლებში ძალან დაეკუახლოვდი რკინიგზის სადგურის მოლარეს, რომელიც არაჩვეულებრივად რბილი, გრძნობიარე პიროვნება იყო. ის ოთხ შეილთან ერთად ქმარმა მათაოვა სრულიად ბედის ანაზარა. ვითომ ერთად ვადავწყვიტე ცხოვრება, მხოლოდ მას მერე, რაც ყველაზე უმცროსი ნამოიზრდებოდა. მაგრამ ყველაზე უმცროსი გოგონა იყო, რომელმაც მოახერხა და თავად გაამჩნა ბავშვი. სახლიდან არც წასულა. თავისთავად მოხდა, ჩვენი ურთიერთობა და მილოდინები წელ-წელა გაქრა. მას მერე, რაც სამსახურიდან ნამოყვდი და მშობლოურ სახლში დავბრუნდი, ერთხელ ტელეფონითაც ვისაუბრეთ. ჩემთან დავაპატიყ. მან კი უცებ გამომიცხადა, რომ თხოვრებოდა და ირლანდიაში აპირებდა გადასვლას. ისე შემძრა ამ ამბავს, რომ ვეღარც ვეითხე, უმცროსი ქალიშვილიც ხომ არ აპირებდა, ბავშვთან ერთად ირლანდიაში გამოეყვცა-მეთქი.

ბალი ძალზე მოწყნარებელი იყო. მრავალწლოვან ნარეკებს შორის სარეკელა ბალახი ამოსულიყო. სამოცი-სამოცდაათი წლის შეღახული რევანდი-

ის ძირიც იქცევედა ყურადღებას, რომელსაც ქოლგისხელა ფოთლები ჰქონდა. რამდენიმე ვაშლის ხეც დარჩენილიყო, ჭიანი, წვრილი ნაყოფი რომ ესხა. ზოგიერთის სახელი ზუსტად აღარც მახსოვს. ბილიკების გასუფთავებაზე დიდი ჯავა არ დამდგომია, მაგრამ სარეკელა ბალახს და ნავის უზარმაზარი გროვა კი დახვევდა, რომელიც ჩემი ხარჯებით უნდა გაეკეთა ეზოდან, რადგან ქალაქში ცეცხლის დანთობა ნებადართული აღარ იყო.

ყველაფერ ამას ადრე მებეღე პიტი უფლიდა. მისი გვარი აღარ მახსოვს. სააზროლისას ერთ ფეხს ითრევედა და თავი მუდმივად ცალ მხარეს ჰქონდა გადახრილი. შესაძლოა, რამიე უბედურება დაემართა, ანდა გულმა უმჯრუნა თავის დროზე - ზუსტად არ ვიცი. ის წელა, მაგრამ ბეჯითად მუშაობდა და მეტნაკლებად ყოველთვის ცუდ ხასიათზე იყო. მასთან საუბრისას, დედა მუდამ ამჟღავნებდა პატივისცემას და სინაზეს, თუმცა პიტი ნაკლებ ითვალისწინებდა დედის სურვილებს ყვევილნართან დაკავშირებით. პიტს არ ვუყვარდი, რადგან ჩემს სამშობლიან ველოსიპედს ყოველთვის იქ დავტარებდი, სადაც არ უნდა მეტარებინა. თანაც ვაგონილი ჰქონდა ალბათ, რომ ზურგსუკან მშობრა პიტს ვეძახდი. არ ვიცი, საიდან მოვიფიქრე ეს სახელი, რომელიმე კომიქსში თუ ამოვიკითხე.

სხვა შესაძლო მიზეზი, მებეღე პიტის ჩემდამი მტრული დამოკიდებულებისა, ახლახან მომივიდა თავი. საოცარი, ასეთი რამ ადრე როგორ არ მომეფიქრდა. მაგრამ ორივეს ფიზიური ნაკლი გვექონდა, ორივეს არ გავვიმართლა ცხოვრებაში. თქვენი იფიქრებით, რომ ასეთმა ადამიანებმა შესაძლოა უფრო გამოჩახონ ერთმანეთთან რამიე საერთოდ, მაგრამ ხშირად ასე არ ხდება. ერთმანეთს უნებურად შეიძლება ისეთი რამ გაახსენონ, რაც, კარგა ხანია, დავიწყებული აქეთ, რომ შესახებაც ფიქრი არ სურთ.

მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ჩემს შემთხვევაშიც ამგვარად იყო საქმე. დედამ ყველაფერი ისე მოახყო, რომ დროის უმეტესი ნაწილი ჩემს ნამდვილ მდგომარეობას ვერ ვაცნობიერებდი. ის მარწმუნებდა, თითქოს სკოლაში იმითობ არ დაეყვადე, რომ ბრინჯილური დაავადება მქონდა და მიკრობებისგან დაცვა მჭირდებოდა. ხოლო რაც შეეხება მამაჩემის მტრულ დამოკიდებულებას, რითიც ოჯახური ურთიერთობები ესოდენ გაუკრებული იყო, ვფიქრობ, ერთადერთი არ ვიყავი, ვინც ამას ვინაცდიდა.

აკ საფრთხის წინაშე ვავაჯარ, რომ იგივე არ ვაინიქორო, თუმცა ეს მაინც უნდა ვთქვა. მაინც ყოველწუთს იყო მოსალოდნელი, უცაბედად დამიყვდომოდა თავს სასტიკი დევნა და დაცვისასა და ჩემს ნაკლებ ყურადღების გამახვილებას ვერხვდა ვავეციოდ, რადგან ჯერ საკმაოდ პატარა ვიყავი ამისათვის. ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა, დღეს ჩემისთანა ბავშვი გარეყვლად და მურყნცხოცილად არ იგრძნობდა თავს, პირიქით, მის მიმართ მზრუნველობას გამომაჟღავნებდნენ, ხოლო მის მტანჯველებს სათანადოდ ვაკიცხავდნენ. იმხანად კი ცხოვრება სხვანაირად იყო მოწყობილი: მახვილგონიერება, ფოლკლორი, მზიარეულება ხშირად უზნობეახს და სისასტიკეს ერწყმოდა.

რამდენიმე ათწლეულის - პიტივდა მეტის წინ ჩვენს მფლობელობაში კიდევ ერთი შენობა იყო, პატარა კოტეჯი, სადაც პიტი თავის ხელსაწყობას ინა-

ხავდა, და სადაც ასევე გამოუყენებელ ძველ ნივთებს ვანაობდით, სანამ გადავწყვეტდით, მათთვის რა მოგვეზრებინათ. კოტეჯი მაშინ დავანაგრიეთ, რაც პიტი ახალგაზრდა ენერგიულმა წყვილმა, ჯინიმ და ფრანცმა ჩაანაცვლა, მათ ახალი ხელსაწყოები მოიხანეს თავიანთი სატვირთო მანქანით. შემდგომში მებაღეობის და მონეული ნაყოფის ბაზარზე გაყიდვებში მიჰყავს ხელი, მაგრამ იმ დროისთვის შვილები წამოუხრადელ და უკვე ისინი უფლიდნენ გაზონს. დედაც მეტს აღარაფერს მოითხოვდა მათგან.

მაგრამ, მოდი, ისევე იმ შენობას დაუბრუნდეთ (თითქოს ძალიან ადელეგებულ ვარ და ცვდილობ ამ თემის გვერდს აუფარო). სანამ კოტეჯს საწყობად გადავაკეთებდით, იქ ხალხი ცხოვრობდა. პირველი ბელზების ოჯახი იყო, ქალბატონი ბელზი თინამოსამასახურისა და მზარეულის მოვალეობის თანაცემბა, ხოლო მისი ქმარი მებაღე და პაპაჩემის მძღოლი იყო. ბაბუას პაკარდი ყავდა, რომლის ტარებაც ვერაფრით ისწავლა. იმხანად როცა მე მოვეკლინე ქვეყანას, პაკარდი წარულს ჩაბარდა და ცოლქმარიც დავითხოვეთ, მაგრამ შენობამ მაინც შეინარჩუნა ბელზების კოტეჯის სახელი.

ჩემს ბავშვობაში, რამდენიმე წლის მანძილზე კოტეჯი შერონ სათლზმა და მისმა ქალიშვილმა ნენსიმ დაიკავეს. შერონი ქალაქში ქმართან ერთად ჩამოვიდა, რომელიც ექიმი იყო და თავისი პრაქტიკის დაწყებას სწორედ აქ გვეგმავდა, თუმცა ერთ წელსინადეში სისხლის მონამვლით გარდაიცვალა. ახალგაზრდა ქალი ბავშვთან ერთად ქალაქში მართო, სულშიადა უსახსროდ დარჩა და როგორც თვითონ ამბობდა, „კაცოშვილი არ ყავდა“, ალბათ იმ დამიანებს გული-სხმობდა ვინც თავისთან შეიფარებდა. შერონმა მამაჩემის სადაზღვევო კომპანიამ დაინყო მუშაობა და ბელზების კოტეჯში გადავიდა საცხოვრებლად - ზუსტად არ ვიცი როდის. რამდენი წლის იყო ნენსი, როდესაც გავიცანი? საკარგოდოთს. ის ნახევარი წლით უმცროსი იყო ჩემზე. მაგრამ ვერ ვიხსენებ, თუ როდის შესახლდა დედა-შვილი კოტეჯში და ის დროც არ შემომჩნა მახსიერებაში, როცა იქ აღარავინ ცხოვრობდა. კოტეჯი სათლზისფრად იყო შეღებული, მაშინ მგონა, ასე მისის ხატლზმა მოინდომა, თითქოს მას არ შეეძლო სხვა ფერად შეღებულ სახლში ცხოვრება.

შერონს მისის სათლზს ვეძახდი, თუმცა მისი სახელიც ვიცოდი, რაც სხვა შემთხვევაში ნაკლებად მაინტერესებდა ხოლმე. იმ დროს შერონი არ იყო გაერცვლებული სახელი, თანაც საკვირო სკოლაში ნაწნავლ ჰიმნსაც მაგონებდა. დედა არ მიშლიდა საკვირო სკოლაში სიარულს, რადგან იქ ყველაფერს მკაცრად აკონტროლებდნენ და თან გაკვეთილებს შორის შესვენებები არ გვეკონდა. ჩვენ ვმვრდობთ ჰიმნს, რომლის სიტყვებაც დიდ ეკრანზე ჩნდებოდა. ჩემი აზრით, მრავალმა ჩვენგანმა გარკვეულწილად ლექსის მნიშვნელობა და ფორმა იქამდე გაიგო, ვიდრე კითხვას ისწავლიდა.

სილოამის გრილ წყაროსთან ლამაზი შრომანი ჰყვავის შერონის ცვრიანი ვარდისც საამო სანახავი არის.

ახლაც არ ვიცი ზუსტად, ეკრანის კუთხეში ვარდი მართლა ჩნდებოდა თუ არა. თუმცა მე მას ვხედავდი - ახლაც ვხედავ მკრთალ ვარდისფერს და ეს ატ-

მოსვერო კვლავ შერონის სახელს მახსენებს.

ვერ ვიტყვი, რომ შერონ სათლზი მიყვარდა. თუმცა რაც ცოტა ნამოვიზარდე, ჩვენი მოახლე ბესი შემიყვარდა, რომელიც ბიჭს უფრო გავდა და პარკში სერიოზობის შემდეგ საქსენლახზე ისე მარნებდა ხოლმე, ლამისაა ამოვიყარავებულყავი. მოგვიანებით დედამეტი მეგობარი მომწონდა, რომელსაც ხავერდის საყულო ემატა პიჯაკზე და ხმაც ხავერდოვანი ქონდა. შერონს სათლზი არ იყო ის ქალი, ვისაც ისე უბრალოდ შეიყვარებდით. მის ხმასაც ვერ დაარქმევდი ხავერდოვანს, თან მცირედლ სურვილიც არ გამოუმილავებია - ჩემთვის რამეთი მაინც ესიაბოვებინა. ის მალალი და ძალიან გამბდარი იყო - დელობა არ ეტყობოდა. მას ირისისფერი თმა ქონდა, მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი მოკლედ შეკრეჭილი, თმის ბოლოები - მოუჭროსოვლი. სავე ტუჩები ნითლად შეელება, იმ კინოვარსკვლავების მსგავსად, აფიშებზე რომ მენახა. სახლში ყოფნისას, ჩვეულებრივ კიმონის ატარებდა, რომელზეც თეთრი ფრინველები იყო გამოსახული, - იქნებ წეროები? მათი ფეხები შერონისას მაგონებდა. ის ეწეოდა და დიდ დროს ატარებდა ტახტზე წამოწოლილი და ხანდახან საკუთარი თავის, თუ ჩვენ შესაქცევად ვერ იყო, მეგრე მეორე ფეხს პაერში გააქნევდა და ჩუსტებს გვერდზე მოისროდა. მაშინაც კი, როცა ჩვენზე არ ბრაზობდა, ხრინულიან ხმაში უკმაყოფილება ეტყობოდა, არამეგობრულიაო ვერ იტყვიო, თუმცა მისი ხმა არც სინახეს და არც დიდ გონიერებას ამჟღავნებდა, არც გულშიჩამწევდომ სედასა, რასაც ზოგადად დედისგან მოველოდი.

„თქვე სულელებო, ჩერჩებტო“ - ასე გვეძახდა. „აქედან დიკარგეთ და მშვიდად მამყოფეთ, დამასვენეთ, რამ გავაშტო!“


ტახტზე წამოწოლილი უკვე საფერფლე ედო მუცელზე და ეწეოდა, მაშინ როცა ჩვენ ნენსის სათამაშო მანქანას დეაქროლებდით იატაკზე. რომელ სიმშვიდეზე იყო ლაპარაკი?

ის და ნენსი თავისებურად იკვებებოდნენ - განსხვავებულ დროს, ისე არა, როგორც ჩვეულებრივ იყო მიღებული. შერონს შეიძლება თავისთვის წაენხმსა, თუმცა ჩვენთვის არასდროს გამოუტანია სამზარეულოდან კაკაო ან კრეკერები. სამაგიეროდ, ნენსის არ ეკრძალებოდა, პირდაპირ ქილიდან შეეჭამა ბოსტნეულის სუპი, ან ყუთიდან პაეროვანი ბრინჯი („არას კრისპი“) მუჭით ამოელო.

იყო თუ არა შერონი მამაჩემის საყვარელი? მას ხომ მამაჩემის კომპანიამ მიცეს სამსახური და ვარდისფერი კოტეჯისთვისაც არასდროს გადაუხდია ქირა.

დედას ცუდდ არასდროს უთქვამს მასზე, არც თუ იშვიათად ასენებდა ხოლმე შერონის ტრავმდას, ახალგაზრდა ქრის გარდაცვალებით რომ დაატყდა თავს. დედა მასთან მოსამსახურეს ატანდა ხოლმე ახლადამოღებულ კარტოფილს, ყოლის თუ გამომოცრეულ ბარდას, ბაღში რომ მოგვყავდა. განსაკუთრებით, ყველაზე მეტად ბარდა დამამსახურდა. ახლაც თვალწინ მიდგას, ტახტზე წამოწოლილმა შერონმა როგორ აისროლა ბარდის მარცვალი საყვანელებლი თითოთი პაერში და თქვა: „ამას რაღა უყვან?“

„შეგიძლიათ წყალში ჩაყაროთ, ლუმელზე შემოდგათ და ისე მოხარშოთ“ - ზრდილობიანად მივუვცე. „მართლა?“



რაც შეეხება მამას, ის შერონთან ერთად არასდროს მინახავს. მამა გვიან მიდიოდა სამსახურში და ადრე რჩებოდა ხოლმე საშუალოს, სპორტული ამბებითვის ხელი რომ არავიყოს შექმალა.

რალა თქმა უნდა, ხდებოდა ისეც, რომ ნენსის დედა თავისი განუყრელი კომანთი ტახტზე არ იყო ნამოწილი. იყო დღეები, როცა შერონი სახლიდან გადიოდა და, სავარაუდოდ, სივარტის მონჯვისა და დასვენების ნაცვლად, მამაჩემის ოფისში მუშაობდა - იმ ლეგენდარულ ადგილას, არასდროს რომ მინახავს და არც არასდროს ყყოფილვარ იქ სასურველი სტუმარი.

ასეთ დროს კოტჯეჯის სამზარეულოს ბუზლუნა ქალბატონი, სახელად მისის კიდა დეპატრონებოდა ხოლმე - ის ყველაფერს ქაიდა რაც ხელით მოხვდებოდა და თან საპნის ოპერებს უსმენდა, რადიოთი რომ გადასცემდნენ. არასდროს მომსვლია თავში, სანამ მე და ნენსი ერთად ვატარებდით დროს, დედას შეეძლო, რომ თავად მიეჭკია ყურადღება ჩვეთვის, ანდა მოსამსახურისთვის ეთხოვა ამის გაკეთება. მაშინ მისის კიდის დაქირავება აღარ გახდებოდა საჭირო.

ახლა მგონია, რომ ჩვენს სულ ერთად ვთამაშობდით, როცა კი არ გვექნის. ნენსის ხუთი წლიდან დაუყახლოვდი, ჩვენსმა მეგობრობამ იქამდე გასტანა, სანამ ცხრა წელი შექონდავდებოდა. უმეტესწილად, ვარეთ ვთამაშობდით, და სავარაუდოდ, წვიმდა ხოლმე, როცა ვარდისფერ კოტჯეჯში გადავინაცვლებდით და ნენსის დედას თავს ვაბუზრებდით. ჩვენ გვეტიმალეობდა ბოსტნულის ბაღში თამაში და ყვავილების გადათელვა, სამაგიეროდ კენკროვანში და ვაშლის ხეებზე ვატარებდით უმეტეს დროს - გაველურებულ ადგილას კოტჯეჯის უკან, სადაც გერმანულების საპაირო თევდასმებისაგან დასაცავად თავშესაფრებს ვამქნებდით.

ჩვენი ქალაქის წრდილოეთით მართლაც იყო სა-

წვრთნელი ბაზა, და ნამდვილი თვითმფრინავები მუდმივად ტრიალებდნენ ცაში. ეს ყველაფერი ომს გვახსენებდა, და გადავწყვიტეთ პიტის არა უზრალო მტრად, არამედ ნაცისტად, ხოლო მისი გაზონის საკრეჭი მანქანა ტანკად წარმოგვესახა. ხანდახან პიტს ვაშლის ხიდან, ჩვენს ბანაკს რომ იცავდა, ვაშლებს ვესროდით. ერთხელ ამის გამო დედასთანაც კი დიდიჩილა, რაც სანაპიროზე გასეირნებდა დაგვიჯდა.

დედას სანაპიროზე ჩემთან ერთად ხშირად მოჰყავდა ხოლმე ნენსი. ოღონდ იმ პლაჟზე არა, ჩვენი სახლიდანაც რომ შეიძლებოდა ჩასვლა, თუკი კლდე დაღმა დაუყევბოდი. ცოტა მოშორებით უფრო პატარა სანაპირო იყო, სადაც ხმაურიანი მოცურავეებს თუ სერფერებს ვერ შეხვდებოდი და არც წყლის ატრაქციონები იყო გამართული. სამაგიეროდ იქამდე მანქანით გვიწევდა მისვლა. დედა ორივეს ცურვას გვასწავლიდა. ნენსი უფრო უშუაპირი იყო და არ ფრთხილობდა, რაც მე მალიზიანებდა. ერთხელ პირდაპირ ტალღაში შევაგდე და თავზე მოვექექე, მან ფეხი გამჭრა, სუნთქვა შეიკავა და თავი გაითავისუფლა ჩემგან.

„ნენსი პატარა გოგოა“, გამეციხვა დედამ. „ის პატარა გოგოა და ისე უნდა მოეპყრა, როგორც უმცროსი“.

ასე ვუპყრობოდი კიდევ. არ ვფიქრობდი, რომ ის ჩემზე უსუსტი იყო - ტანით პატარა იყო, თუმცა ზოგ შემთხვევაში ეს უპირატესობას ანიჭებდა, რადგან ხის წვრილ ტოტებზე, მე რომ ვერაფრით დამიკავებდნენ, შეეძლო, მაიმურობით ამჭვრალიყო. ერთხელ, ჩხუბის დროს, ხელი დამიჭირა და ისე მიკიბნა, რომ სისხლი ნამომივიდა. დაახლოებით ერთი კვირით დავმორდი, ფანჯრიდან ბრაზიან მჭერას თუ ვესროდით ხოლმე ერთმანეთს, თუმცა ეს ყველაფერი ერთად ყოფნის მძაფრმა სურვილმა გადანონა, ერთმანეთს ვაპატიეთ და მალევე დაგზავიდა.

ზამთრობით მივლს ეზოში გვაძლებდნენ ხეტიალის უფლებას. ჩვენ ვამენებით თოვლის ციხისმადგრეებს, ვიმარაგებდით ფიჩხსა და თოვლის გუნდები მისელ არსენალს, რომ ყველას, ვინც კი ჩვენს ქუჩაზე გამოვივლიდა თოვლის უფნდით გავგაპინძლებოდი. თუმცა ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა, რადგან ჩიხში ვცხოვრობდით. საბოლოოდ თოვლის ბაზუის გაკეთება გვიწევდა, რომ მერე მუშტები დაგვემინა მისთვის.

რაც შეეხება სექსუალურ თამაშებს, გაგიკვირდებათ და, ესეც იყო. შაფულის ერთ ცხრელ დღეს თვალს მოვეჭრეთ და ზეგნულიულებუ, სწორად რომ კოტჯეჯის უკან გაშლილ (წარმოდგენა არ მაქვს რატომ) კარავში გავმართოვდი. განზრახული გვექონდა ერთმანეთი შეგვესწავლა. ბრეზენტიც თითქო ერთტაკული, მაგრამ მაინც ბავშვური სუნით იყო გაუღენილი, ჩვენივე საცვლების მსგავსად, მაშინვე რომ გაიძიქრეთ. ბევრჯერ შევხვით ერთმანეთს, რამაც კურ აღგვაგზნა, მერე კი გავგალიზიანა და მალე უფრ მთლად გავოლოლები და დარცხენილები გამოვქვერით კარვიდან. რალაც განგვახსნავებდა ერთმანეთისგან - ამას ვგრძობდით და ერთმანეთთან უფრო მეტად ვფრთხილობდით, ვიდრე ჩვეულებრივ. აღარ მახსოვს, მსგავსი რამ იმავე შედეგით განმწორდა თუ არა, თუმცა არ გამიკვირდებოდა, ასე კვლავ რომ მომხდარიყო.

ნენსის სახე ისე გამოუკვეითდა დამახსოვს, რო-

გორც დედამისისა. მისმა ღია თამა, რომელიც კიდევ უფრო გალიავდა მზეზე ხანგრძლივად ყოფნის გამო, საბოლოოდ ალბათ უფრო მუქი შეფერილობა მიიღო. ნენსი იმ დროს დედას ჰგავდა. ვარდისფერი, მწიქლავა ცოტა მონითალო კანი. დიხს. თვალნი წარმოიდგება მისი ნითელი, თითქო ფერადი ფანქრით მოხატული ლოყები. ესეც იმის ბრალი იყო, ვარეთ დიდ დროს რომ ვატარებდით, და კიდევ ალბათ მისი დაუფრომელი ხასიათისაც.

უთქმელადაც ნათელია, რომ სახლში ჩვენთვის განკუთვნილი ოთახების ვარდა სხვაგან შესვლა გვეკრძალებოდა. ზედა სართულზე ასვლაზე მხოლოდ ოცნება თუ შეგვეძლო, არ გვიშვებდნენ ასევე სამზარეულოსა და სასტუმრო ოთახში. ვარდისფერ კოტეჯში კი ყველაფერი ნებადართული იყო და სარდავი შესანიშნავ ადგილს წარმოადგენდა, სიცხეგან გათავისუფლებს და დალიოლებს თავი რომ შეგეფარებინა. ჩვენ სარდაფში ჩასასვლელ უმოაჯირო კიბიდან პირდაპირ ბინძურ, მყარ იატაკზე ვხტებოდით. ეს თამაში თანდათან უფრო და უფრო სახიფათო ხდებოდა. როცა მოგვწყინდებოდა, ძველ საბავშვო ეტლში გადავიხანაცვლებდით, ზედ ხტუნავს ვინწყებდით და წარმოხანავით, არარსებულ ცხენს ხანდახან ნეკელასაც გადავკრავდით ხოლმე. ერთხელ ნენსის დედას კოლოფიდან სიგარეტი მოუპარეთ და მონვეა ვცავდით. (ერთზე მეტის აღება ვერ ვავებდეთ.) ნენსის უკეთ გამოუვიდა, ეტყობა, მეტი გამოცდილება ჰქონდა.

სარდაფში კიდევ ხის ძველი ბუფეტო იყო, სადაც საღებავმეხმარი ქილები, ფუნჯები, საღებავის მოსარევად განკუთვნილი ჯოხები და დედა ენყო, რომელზეც სავარაუდოდ ფერია შეხამება და დასერილი ფუნჯების განმენდაც შეიძლებოდა. რამდენიმე ქილას ვერ კიდევ მჭიდროდ ეხურა თავსახური, ძლიერძლივით, ნვალბებით მოვსენით და შიგ თხევადი საღებავი აღმოვაჩინეთ, ცოტაოდენი მორევა რომ სჭირდებოდა გასასქებლავად. შემდეგ შევეცადეთ ფუნჯებზეც გამოვნიშინა, ამისათვის ისინი საღებავის ქილაში ამოვურიეთ და ბუფეტის ხის კედლებს დავკვართ, ვარშემო ყველაფერი დავსვარეთ. მაინც ვერაფერს ვავხდით. ერთ-ერთ ქილაში სავარაუდოდ ტერპენტინი ესხა და იმან იმოქმედა - როგორც იქნა ფუნჯები ვავალღვეთ და ხატვა დაივწყეთ. მაშინ რვა წლის ვიყავი და დედაჩემის წყალობით, ვარკვეულწინად წერა-კითხვა უკვე შეუძლო. ნენსისაც შეუძლო, რადგან უკვე მეორე კლასი ჰქონდა დამთავრებული.

„სანამ არ მოვრჩები ხატვას, იცოდე, არ მოიხედო“, ვუთხარი ნენსის და მსუბუქი ხელის კვრით გზიდან ჩამოვიშორე. უნდა მომეფიქრებინა, რა დამეხატა. ნენსი მაინც თავისთვის იყო ვართული - საკუთარ ფუნჯს ნითელი საღებავის ქილაში ღონივრად ურევდა.

მე დავწერე, „ამ სარდაფში იყო ნაცისტი“. „ახლა მოიხედე“, ვუთხარი ნენსის. ჩემგან ზურვით იყო მტკრიალებული და სხეულზე რაღაცას იხატავდა. „დაკავებული ვარ“, მომიგო. როცა მოტრიალდა, მთელი სახე ნითელი საღებავით ჰქონდა დათხანონილი. „ახლა ხომ გავარ?“ ლამის დაიკვილა ნენსიმ, თან საღებავში ამოვლებულ ფუნჯს კვლავ სახეზე

ისვამდა. „მითხარი, ახლა ხომ გავარ?“ ეტყობოდა, თავის ძალიან ბედნიერად გრძობდა, თითქოს რაიმე მაგიური და ყოვლად წარმოუდგენელი გაქიდინა - საოცარი მეტამორფოზა. შეიძლება ვაფიქრობ, რომ ამ წამს ნენსი მთელი ცხოვრება ელოდა.

ახლა უნდა მოგიყვიე, თუ რა მოხდა შემდეგი რამდენიმე წუთის განმავლობაში. პირველყოფილი, ვიფიქრე, რომ ის საშინლად გამოიყურებოდა.

არ მჯეროდა, რომ სახის რომლიმე ნაწილი ნითლად მიჩანდა. და ფაქტობრივად, ასე არც იყო. სახეზე ჩვეულებრივი, მუქი მონითალო ტყირპი მქონდა. მაგრამ ჩემი წარმოდგენით ყველაფერი სხვაგვარად გამოიყურებოდა. მჯეროდა, რომ ლაქა ღია, მოყავისფრო ფერისა იყო.

დედაფრომ ნამდვილად არ ვახლდით ისეთი სულელი, რომ მთელ სახლში სარკეები ჩამოესხნა - ასეთი საბედისწერო შეცდომა მას არ დაუშვია. მაგრამ იქნებ სარკეები საკმაროდ მალა ეკიდა, იმისთვის რომ ბავშვს შიგ საკუთარი სახის დანახვა შესძლებოდა. ასე იყო მაგალითად საბაზანოში. ერთადერთი სარკე, სადაც საკუთარი ანარეკლის დანახვა მემძლმო, შოლის მოპირდაპირე მხარეს ეკიდა, სადაც დღისით მზის მუქი მკრთალად აღნეგდა, ხოლო ღამე თთახი სუსტად იყო განათებული. შეიძლება სწორედ ამის გამო ავიკვირებ, რომ ჩემი სახის ნაწილი შედარებით ღია ფერის იყო, როგორც მკრთალი ჩრდილი, თითქმის თავისი ბუნვის მაგვარი.

ასე ვფიქრობდი და სწორედ ამიტომ აღვშფოთდი ასე ნენსის ნახატზე, მის ბოროტ ზუმობაზე. მთელი ძალით მივანარცხე ხის ბუფეტს და კიბეზე ავირბინე. ვფიქრობ, მაშინ მსურდა მეპოვა სარკე, ან თუნდაც ვინმე შემეხედროდა და დაეკონფუნებინე, რომ ნენსი ცდებოდა. და როგორც კი ეჭვი გამიქარწყნდებოდა, მას მთელი არსებით შევიძულედი. მასზე შურის ვიძიებდი, სასტიკად დავსჯდი. მერე გადავწყვეტიდი თუ როგორ და რა გზით, იმწუთას დრო არ მქონდა ამაზე მეფიქრე.

მთელი კოტეჯი ვავირბინე - ნენსის დედას ვერსად მოვკარი თვალი, მოუხედავად იმისა, რომ შაბათი დღე იყო. ვერ ხრემშობიროდი, ხოლო შემდგომ ფილავით მოპირკეთებულ ბოლის ვავუყვიე სირბილით გლავდილოუსების მწკრივში. თვალი მოვკარი, დედა შუშაბანდში იჯდა, დავინახე, როგორ დაანება თავი კითხვას და დაწნული სკამიდან წამოვდა.

„ნითელი არ ვარ“, მთელი ხმით ვყვიროდი და გულამოვარდნის ცრემლი მაზრობდა. „ნითელი არ ვარ“. დედა შემინებელი დაუყვა კიბეს, ვერ ვერ ვიხი, რა ხდებოდა. მერე ნენსი გამომყვა კოტეჯიდან, მკვეთრ ნითელ ფერში ამოსერილი და ვაოცებული. დედა მიხვდა.

„შე, საზიზღარო, პატარა მზეცო“, ისე დაუყვირა ნენსის, რომ მსვაცხე დედისგან არ მსმენია - ძლიერი, მითრილვარე ხმით დაუყვირა. დედა ვანრისხებული იყო.

„ახლოს არ ვავეკარო, არც კი ვაბედი. საზიზღარო ბავშვო. ადამიანური სიკეთისა გცხია საერთოდ რამე? არავის უსწავლბოდა და ვეცოდინება“. ამ დროს კოტეჯიდან ნენსის დედა გამოვიდა, აჩეჩილი, სველი თმა ქონდა. ხელში პირსახოცი ეჭირა. „უშმაკმა წავიღოთ, როგორია, თმის დაბანასაც არავინ ვაცდის ნესიერად“.

დედამ ახლა მას დაუყვირა.

„არ გაბედო და მასე არც მე და არც ჩემს შვილს, აღარ დაველაპარაკო!“

„კარგი ერთი,“ ნენსის დედამ მაშინვე მიაყოლა. „ნეტა შენი თავისთვის მოგასმენინა, ისე ყვირი, ყუ-რები ნამჭამე“.

დედამ ღრმად ჩაისუნთქა.

„სულაც არ ვყვირი. უბრალოდ ერთს გეტყვი: შენს სასტიკ ბავშვს სახლში აღარასდროს შემოვუშვებ. ის სასტიკი და ავია. ჩემს შვილს დასციინის ბუნების შეცდომის გამო, რაშიც თავად მას არანაირი ბრალი არ მიუძღვის. ვერ აღგიზრდია კარგად შენი გოგო. ამდენი ხანია სანაპიროზე დამყავს და ერთხელაც კი არ უთქვამს ჩემთვის მადლობა - ალბათ მადლობის და გითყვავს თქმაც არ გისწავლებია მისთვის. არც გამიგონებდა შენსაირი დედისგან, მთელი დღე პენუარმოსხმული რომ დადიხარ წინ და უკან“.

დედამ ეს ყველაფერი გადმოანთხია, თითქოს ტკივილის და ბზაზის დაუცხრომელ ნაკადს ვერაფერი შეაჩერებდა. მე უკვე პაბის ბოლოს ვეძებო: „არ გინდა, დედა, გაჩერდი“.

მერე უფრო ცუდი რამ მოხდა. დედას ცრემლი ახრჩოდა, სიტყვებს გარკვევით ველარ წარმოთქვამდა, ბოლოს საერთოდ კანკალი დაწყებინა.

შერონს თმები გადაეწინა თვალებიდან. ის ყველაფერს აკვირდებოდა.

„ერთ რამეს გეტყვი,“ თქვა მან, „თუ ასე გააგრძელე, იცოდე, სავიფეთი დაგამწყვდევენ. მე რა გიმეველო, როცა ქმარს სძულხარ, თან კიდევ ასეთი მახინჯი ბავშვი გააჩინე?“

დედაჩემმა თავი ხელებში ჩარგო. ატირდა, „ოჰ, ღმერთო“, თითქოს აუტანელმა ტკივილმა დაუარა მთელს ტანში.

ამ დროს ვერანდაზე ველმა გამოვიდა, რომელიც იმხანად ჩვენი მოსამსახურე იყო. ის შეეცადა დედა დემშვიდებინა. „კარგი რა, მისის, გეყოფათ“. მერე შერონზე აიძალა ხმა. „შენ კი ნადი აქედან! შენს სახლში შეეთრიე!“

„შენ ნუ დღვავ, ასეც მოვიქცევი. თავი ვინ გგონია, ამ ტონით რომ მელაპარაკებ? და საერთოდ, ამ ბებერ კულანთანა როგორი ძღვე, ვერ ხედავ სულ მთლად გარეკა?“ მერე ნენსის მიუბრუნდა. „ღმერთო ჩემო, ერთი მითხარი, როგორ მოგამორო ეს სახიდან?“ შემდეგ ხმას უფრო აუწინა, აშკარად სურდა მისი ნათქვამი გამეგო. „მუხებე ერთი, ალბათ ჯერი ისევე ძუძუს ჭამს, როგორ ეფარება დედის კალთას. აღარასდროს დაგინახო მასთან სათამაშოდ წასული. ლამისა თავის ბებერ დედისკო ს შეერეეს“.

მთელი ეს დრო ნენსი გახვეებული იდგა და სიტყვა არ უთქვამდა.

ცალკე მე, ცალკე ველმა, ვცდილობდი, დედა დაგვეწყნარებინა და სახლში შეგვეყვანა. დედა აღარ იზრავდა. თავს ძალა დაატანა და ვითომ ხასიათზე მოსულმა, ისე რომ მისი ხმა კოტეჯშიც გაეგოთ, სოსხვა ველმას: „ჩემი ბაღის მაკრატელი მომიტანე, სანამ აქ ვარ გლადიოლუსებს მინდა მივხედო. ზოგიერთი მათგანი დამჭენარია“.

როცა საქმეს მორჩა, ყველა გლადიოლუსი ბილიკზე ყვარა, აღარცერთი შეარჩინა, არც დამჭენარი, არც აყვავილებული.

ეს ყველაფერი შაბათს უნდა მომხდარიყო, რადგან ნენსის დედა და ველმაც სახლში იყვნენ, ველმა

კვირაობით არ მოდიოდა ჩვენთან. ორშაბათისთვის და შეიძლება კიდევ უფრო ადრეც, კოტეჯი დაცარიელდა. შეიძლება ველმამ მამაჩემი კლუბში, მდელიოზე, ან სადღე სხვაგან მოძებნა. მამა სახლში პირგამხეებული დამბრუნდა, თავიდან უხეშობდა, თუმცა ბოლოს ბედს შეურთავდა, დაჰყავ დედის ნებას, რაც იმაში გამომიხატა, რომ ნენსი და შერონი კოტეჯიდან გადავიდნენ. მაგონი, არც შერონს აუტეხია ხმაური ამის გამო.

თანდათან გავაცნობიერე, რომ ნენსის ველარასდროს ვნახავდი. თავიდან არ მენაცვლებოდა, რადგან გამბრუნებული ვიყავი. შემდგომ, როცა ნენსიზე ვეკითხებოდი, დედა გაურკვეველ პასუხს მამძღვდა, ალბათ არ სურდა, რომ ჩემთვის და ალბათ მისთვისაც მტკივნეული მოგონება კვლავ გაეცოცხლებინა. იმ დროს დედა უკვე სერიოზულად ფიქრობდა, სადღემე სკოლაში გავეგზავნე და შესაფერის ადგილს ეძებდა. შესაძლოა, ვარაუდობდა, რომ ვაჟთა სკოლა დამავინებდა ჩემს ბავშვობის მეგობარს, რომ ნელ-ნელა ჩემი მოგონება გავერმკრთალდებოდა და ბოლოს საერთოდ გაქრებოდა, ეს ამბავი მომავალში სასაცილოდ აღარ მეყოფოდა.

ერთ დღეს, მამაჩემის დაკრძალვის შემდეგ, დედამ გამაკვირა, როცა მთხვა, რომ ტბის პირას სადმე რესტორანში სასადლოდ წამეყვანა (თუმცა, რასაკვირველია, თავად მპატივებდა).

„ამ სახლში საშუალოდ დამწყვეტულად ვგრძნობ თავს“. მითხრა მან. „ჰაერზე გავლა მჭირდება“.

რესტორანში სიფრთხილით მიმოიხედა გარშემო და მითხრა, რომ იქ არავის იცნობდა.

„დალევ ჩემთან ერთად ჭიკა ღვინოს?“ - მკითხა მან.

ნუთუ მთელი ეს გზა მხოლოდ იმისთვის გამოვიტარე, რომ მას ხალხში ღვინო დაეღია?

როცა ღვინო მოგვიტანეს და შეკვეთაც მივეცით, მითხრა, - არის რაღაც, რაც ვფიქრობ, უნდა იცოდეთ.

ეს სიტყვები ალბათ ყველაზე უსიამოვნოა, რისი გაგონებაც ადამიანს შეიძლება ცხოვრებაში მოუწიოს. მოსაძინდელია, ახალი ამბავი თქვენთვის მიმიტყირთავდა გადაიქცეს, და როცა ამას გაუზნებინა, მიგანიშნებენ, რომ სხვები უკვე ეზიდებოდნენ ამ ტვირთს მაშინ, როცა თქვენ არანაირი საზრუნავი არ გქონდათ.

„მამაჩემი ჩემი ნამდვილი მამა არაა?“ - ვთქვი მე. „ღმერთო ჩემო“.

„ნუ სულელიობ. დახსილე ნენსი, შენი პატარა მგობარი?“

სიმაართლე გითხრათ, ნუთით დავფიქრდი და ვერ მოვიგონე. შემდეგ ვუთხარი, „ბუნდოვნა“.

დედასთან საუბრის დროს ხერხს მივმართე. თავი უდაბლად, გულგრილ ღუმარად წარმოვაჩინე. მის ხმაში სევედა იგრძნობოდა, სახეზეც სევედა მკრთალი კვალი აღბეჭდვოდა. დედას არასდროს დაუჩივლია თავის მდგომარეობაზე, მაგრამ მისი მონათხრობიდან მსმენია უმარცო ადამიანებზე, ცუდად, უსამართლოდ რომ მოეპყრნენ, და ასეთი საუბრების მერე, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, ჩემს ჩვეულ ცხოვრებას და მეგობრებს გულდამძიმებული ვუბრუნდებოდი ხოლმე.

დედას საუბარში არ აყვევი. თუმცა შესაძლებელია მას მხოლოდ სურდა სიმპათია, ანდა სინავა გა-

მომემულანებინა, ამას კი არ ვაპირებდი. ის დახვე-
ნილი ქალი იყო, წლებს ჯერ კიდევ ვერაფერი დაეკ-
ლო მისთვის. მაგრამ მე გავურბოდი დედას, თითქოს
რალაც გადაიღებოდა დაავადება სჭირდა. ჩემს ფიზიკ-
ურ ნაკლებ საუბრისგან, დედა ასე მზრუნველობით
რომ ეკიდებოდა, განსაკუთრებით შორს დავიჭირდი
ხოლმე თავს - ამ ბორკილისგან გათავისუფლება შე-
უძლებელი იყო. ეს მე დაბადებიდან დამეცა და დე-
დასთან ამან დამაკავშირა.

„სახლში რომ ყოფილიყავი, ალბათ გაიგებდი ამ
აბბავს.“ მითხრა მან. „თუმცა ეს მას მერე მოხდა,
რაც სკოლაში გაგვზავნით“.

ნენსი და დედამისი სწორედ იმ ბინაში გადავიდნ-
ენ საცხოვრებლად, მამაჩემს რომ ეკუთვნოდა. იქ,
შემოდგომის ერთ ნათელ დღეს შერონმა თავის ქა-
ლოშვილს სამართლებრივ ხელში წაასწრო - ნენსი ლო-
ყას ისევ ავდა. ის მთლად გასისხლიანებული იყო,
იატაკიც და ნიუარაც სისხლით იყო მოსვრილი. მაგ-
რამ წამითაც არ აპირებდა გაჩერებას და ტკივილის-
გან ერთიც არ დაუყვირია.

საიდან შეიტყო დედაჩემმა ამის შესახებ? შეიძ-
ლება მხოლოდ ვივარაუდო, რომ ამ სისხლიანმა დრა-
მამ მთელი ქალაქის ყურადღება მიიქცია. ხალხმა და-
წერილებით გამოძიდა, რა მოხდა.

ნენსის დედამისმა პირსახოცი შემოახვია და რო-
გორღაც მიიყვანა საავადმყოფომდე. იმხანად ჩვენს
ქალაქში სასწრაფო დახმარების მანქანები არ იყო.
შესაძლოა, შერონს გზაზე მანქანის გააჩერება მოუ-
წინა. რატომ არ დაურეკა მან მამას? მნიშვნელობა არ
აქვს - რატომ. ნენსის ჩრილობები ღრმა არ იყო. არც
ბერევი სისხლი დაუკარგავს, არც სიცოცხლისთვის
მნიშვნელოვანი არტერია დაუზიანებია. შერონი არ
წყვეტდა ბავშვის ლანძღვას, ეკითხებოდა ჭკუიდან
ხომ არ ვადახვედიო. „გამართლებაც ამას ჰქვია“, ამ-
ბობდა იგი. „შემოილი ბავშვი“.

„მამინ რომ სოციალური მუშაკები ყოფილიყვნენ
სადმე“, თქვა დედამ, „საბრალოს ალბათ მამინვე წა-
იყვანდნენ“.

„ნენსიმ სწორედ ის ლოყა გაიჭრა“, თქვა მან, „შენ
რომ ხალი გაქვს“.

შვეცადე სიჩუმე შემენარჩუნებინა, თითქოს ვერ
ვხვდებოდი, თუ რაზე საუბრობდა დედა. მაგრამ რა-
ღაც აუცილებლად უნდა მეთქვა.

„მამინ მთელი სახე მოიხატა“ - ვთქვი.

„ჰო, მაგრამ მეორე ჯერზე უფრო გულდასმით
მოეკიდა საქმეს, მხოლოდ ერთი ლოყა გაიჭრა. ძლი-
ან ეცადა, რომ ბოლომდე დაგმსგავსებოდა“.

ამჯერად შევეძელი სიჩუმე შემენარჩუნებინა.

„ბიჭებისთვის ყველაფერი სხვანაირადაა“, თქვა

დედამ. „მაგრამ წარმოიდგინე, რა საშინელებაა, რო-
ცა ეს გოგოს ემართება“.

„უღასტიკური ქირურგია დღეს სასწაულებს ახ-
დენს“.

„ჰო, ალბათ“.

ცოტა ხნის შემდეგ კი დაამატა. „როგორი ღრმა
განცდები აქვთ ბავშვებს“.

„მათ ეს გაუვლით ხოლმე“.

მითხრა, რომ არ იცოდა, თუ როგორ მოენყო შემ-
დგომში დედა-შვილის ცხოვრება. უხაროდა, რომ არ-
ასდროს მიკითხავს მათ შესახებ, რადგან სანამ ჯერ
კიდევ პატარა ვიყავი, ძალიან გაუჭირდებოდა ჩემთ-
ვის ამ საწმუნუარო ამბის მოყოლა.

არ ვიცი ამას რა კავშირი აქვს ყველაფერთან, მა-
გრამ უნდა ვთქვა, რომ დედა სრულიად გამოიცვალა
სიბერეში - უხანასი და ახირებული ვახდა. ის ორნმუ-
ნებოდა, რომ მამაჩემი შესანიშნავი საყვარელი იყო,
ხოლო თავად - „ცუდი გოგონა“. მან გამომიცხადა,
მე „ის გოგო უნდა შემერთო ცოლად, სახე რომ დაი-
სახირა“, იმიტომ რომ ვერცერთი ჩვენგანი დაღმ-
რებაზედა, ამით კეთილი საქმე ჩავიდინეო. დედამ
ჩაიხიბითია - ორივე ერთნაირი სულები იქნებო-
დით.

რამდენიმე დღის წინ, როცა ბებერი ხის ძირს და-
შვალე ვაშლებიდან ვასუფთავებდი, თვალზე კრა-
ზანამ მიკინა, ისე რომ ქუთუთო დამისივდა და საე-
რთოდ ვეღარ ვახვლდი. საავადმყოფომდე მანქანით
მივედი, სალი თვალით ვუყურებდი გზას (ნაკბენი სა-
ხის „ჩვეულებრივ“ ნახევარზე მქონდა). გაკვირვებუ-
ლი დავჩრქი, როცა საავადმყოფოში ღამით დარჩენა
მომთხოვეს. საქმე იმაში იყო, რომ ინექციის გაკეთე-
ბის მერე სახე შემიხვიეს, რათა ჯანსაღი თვალი არ
გადამლოდა.

მთელი ღამე, რასაც ქვია, ვერ მოვისვენე, ხშირ-
ად ვიღვიძებდი. რა თქმა უნდა, საავადმყოფოში არა-
სდროსა სწენყარ, თან თვალმუხეულის სმენა გან-
საკუთრებით გამომახვლდა. როცა ჩემს ოთახში წა-
ბიჯების ხმა გავიგე, მივხვდი რომ ვიღაც ქალი შემო-
ვიდა, თუმცა ვიგრძენი - ეს მედდა არ უნდა ყოფილი-
ყო.

„თქვენ ალბათ გღვიძავთ“. თქვა მან. „იმისთვის
მოვედი, რომ წავიკითხოთ“. ვიფიქრე, სიცხის ან პუ-
ლოსის გაზომვას აპირებს-მეთქი და ხელი გავინვდინე
მისკენ.

„არა, არა“, მითხრა წვრილი, დაჭინებული ხმით.
„მე მოვედი, რომ წინგან წავიკითხოთ, ადამიანებს ხა-
ნდახან ბეზრდებთ ასე ნოლა, როცა თვალები აქვთ
ახვეული“.

„წინგნებს თქვენ იჩრეთ, თუ ისინი?“

„ისინი. მთელი შეკვრა დამაქვს ხოლმე თან“.

„მე პოეზია მიყვარს“, ვუთხარი.

„რალაცა, აღფრთოვანებული არ ჩანხართ“.

მივხვდი, რომ სიმართლეს ამბობდა და ვიცი რა-
ტომაც. რადიოში პოეზიის მხატვრული კითხვის გა-
რკვეული გამოცდილება მქონდა. და სხვისი დაყენე-
ბული ხნის მოსმენა ზოგჯერ მსიამოვნებდა, ზოგჯ-
ერ კი მეზამუშებოდა.

„მამინ მოდი, ვითამაშოთ“, თქვა მან, თითქოს მი-
მიხვდა რასაც ვფიქრობდი. „მე ლექსის რამდენიმე
ბნკარს წავიკითხავთ შემდეგ გაჩერდები და თქვენ
დაასრულებთ. კარგი?“

თავში გამიელვა, რომ იგი შეიძლება საკმაოდ ახ-



აღგაზრდა ყოფილიყო. ალბათ მსმენელი სჭირდებოდა, რომ თავის საქმეში უფრო განაფულებოდა.

მე დათიხანმდი, მხოლოდ ვთხოვე, ძველი ინგლისურით ნურაფერს ნაიკითხავ-მეთქი.

„მეფე ზის ქალაქ დაბეგრალისში“, დაიწყო მან, ახლა უკვე ჩემგან მოელდება პასუხს.

„და სისხლისფერ ღვინოს უნაფება“, ავეყვი მეც, და ასე ხუმრობის კიდელი გავაგრძელებდი. ის საქმეოდ კარგად, თუმცა ბავშვურად ჩქარა კითხულობდა. მე მსიაომოვნებდა ჩემი ხმის ტემბრის მოსმენა, მერე თანდათან როლში შევიჭერი და მსახიობური ინტონაციებითაც შევაძვე.

„კარგია“, თქვა მან.

„მე გაჩვენებ, თუ შროშანები როგორ ჰყვებიან, / მდინარის პირას იტალიაში“.

„ხუსტად როგორაა, იზრდებიან თუ ყვებიან?“ - მკითხა. „მართალი რომ ვითხრათ, ნივინ არ მაქვს თან, თუმცა წესით, უნდა მახსოვდეს. არა უშავს, მანინც კარგია. ყოველთვის მსიაომოვნებდა რადიოთი თქვენი ხმის მოსმენა“.

„მართლა მისმენდით?“

„რა თქმა უნდა. ბევრი გისმენდათ“.

მას მეტი აღარაფერი ნაუკითხავს და სრული თავისუფლებამ მომცა. წარმოიფიქრინე - „დუფერის სანაპირო“, „კუბლა ხანი“, „დასავლეთის ქარი“, „ველური გედები“ და „განწირული ახალგაზრდობა“. შეიძლება, ყველა მათგანი არ ნამიკითხავს, ან ზოგიერთის კითხვისას ბოლომდე არც ჩავსულვარ.

„თქვენ ძლივს სუნთქავთ“, მითხრა მან და უცებ თავისი პატარა ხელი პირზე დაამოდა. მერე კი სახით, ან სახის მხოლოდ ნახევრით მოეყრდნო ჩემსას. „ახლა უნდა ნაიდე. მაგრამ სანამ ნავალ კიდევ ერთს გეტყვით, ოღონდ ცოტა უფრო გაეართულებ და მუიდან დაიწყებ: „არავინ შენზე დიდხანს არ იგლოვებს / აღარც ილოცებს, არც მოგიხატრებს / შენი ადგილი დაცარიელდა““.

„არასდროს მსმენია“, ვუთხარი.

„ნამდვილად?“

„ნამდვილად. შენ მოიგე“.

რალაც ვიეჭვე, დაბნეული ჩანდა, ალბათ ცოტა ნაწყინიც. გავიგონე, იხებოდა როგორ გაეხმინან ერთმანეთს და საავადმყოფოს გადაუფერინეს. წელიწადის ამ დროს ისინი შორი ფრენისთვის ემზადებიან და ერთ დღესაც საერთოდ ტოვებენ აქაურობას. მერე კი გაკვირვებულს და გულნაკლულს გამეღვინა, ისე ცხადი იყო სიზმარი. მინდოდა კვლავ განმეცადა მისი სახის შეხება, უკან დავბრუნებულიყვი, მაგრამ სიზმარში ყველაფერი შენს ნებაზე როდი ხდება.

როცა უკვე მხედველობა აღმიდგა და სახლში დავბრუნდი, დიდხანს ვეძებდი იმ სიტყვებს, გოგონამ რომ მითხრა სიზმარში და გამშორდა. რამდენიმე ანთოლოგია გადავხედე, თუმცა მსგავსი ვერაფერი აღმოვაჩინე. ეჭვი გამიჩნდა, რომ ეს სტროფი შეიძლება არცერთ ლექსს არ მიეკუთვნებოდეს, რომ ის უბრალოდ სიზმარში ჩემს დასაბნევედ შეიქმნა.

მაგრამ ვინ შექმნა?

უფრო მოგვიანებით, გვიან შემოდგომაზე, რამდენიმე ძველი ნივინ საქველმოქმედო ბაზრისთვის შესანიშნავად გადავხადე. რომელიღაცადან ძველი მოყავისფრო ფურცელი გამომვალა. ზედ ფანქრით ეწერა ლექსი. დედაჩემის ხელნერას ვერ მივამსგავ-

სე, ისიც ნაკლებ სარწმუნოა, რომ მამაჩემისა ყოფილიყო. მამუსი? ამაზე პასუხი არ მაქვს. უცნობს ფურცლის ბოლოს ლექსის ავტორის სახელი მინერა: ვალტერ დე ლა მარი. უსათაურო. ამ პოეტს ნაკლებად ვიცნობდი, თუმცა, სავარაუდოდ, ეს ლექსი ნამიკითხავს, ოღონდ არა ამ ეგზემპლარში, არამედ უფრო სახელმძღვანელოში. ლექსის სიტყვები ჩემი გონების ბნელ ხვეულებში ჩაემარხე, კი მაგრამ რისთვის? სიზმარში გოგონას ფანტომურ ჩვენებას რომ გვეჯაფრებინე?

არ არსებობს დარდი რასაც დრო ვერ კურნავს არც რამ დანაკარგი, ან ღალატი ავი. სულს ბალზამად ედებდა, თუმც სიკვდილი გაჰყოფს საყვარელს საყვარლისგან, სიცოცხლეს - სამარისგან. ნახე, მზე ანათებს, წვიმამ გადაილო, ყვავილები ყვავიან, საოცარი დარია. ნუ იდარდებ ძალზე ჩავლილ სიყვარულზე. ძველი მეგობრები, დაიწყებულები, დაგიცდიან სანამ, სიკვდილი არ შეგვრიოთ. არავინ შენზე დიდხანს არ იგლოვებს აღარც ილოცებს, არც მოგიხატრებს შენი ადგილი დაცარიელდა აღარ ხარ უკვე.

ლექსს არ დავუთრგუნვივარ, თუმცა თავისებურად იმოქმედა და გადანყვეტილება გამიძიყარა, რომელიც იმ დროისთვის უკვე მიღებული მქონდა - სახლი კი არ გამეყიდა, არამედ აქ საბოლოოდ დავემკვიდრებულყვი.

აქ რალაც მოხდა. ადამიანის ცხოვრებაში ალბათ რამდენიმე, ამ მხოლოდ ერთი ადგილია, სადაც ნამდვილად ხდება რალაც. ხოლო სხვა ადგილები - უბრალოდ სხვა ადგილებია.

დარწმუნებული ვარ, წლების შემდეგ ნენსი სადმე, მაგალითად ტორინტოს მინისქვეშა გადასასვლელში რომ შემხვედროდა - ჩვენ ხომ ორივეს ადვილდასწობი ნიშანი ვაძეკვს - დარცხვენელით ალბათ უაზრო საუბარს ნამოვიწყებდით, სწრაფად ჩამოვთვლიდით ბიოგრაფიულ ფაქტებს. მე შეიძლება აღმეჩინნა მისი ნაოპერაციები, ჩვეულებრივისგან თითქმის არაფრით განსხვავებული ლოყა, ანდა ჯერ კიდევ შესამჩნევი ნაირფევი. მაგრამ საუბრისას ამაზე დიდხანს არ დავყოვნებდობდი. ჩვენ ვილაპარაკებდით შვილებზე. არაა გამორიცხული რომ პლასტიკურ ოპერაციებზე ჩამოგვევლო სიტყვა, ვისაუბრებდით შვილიშვილებზე, სამუშაოზე. შეიძლება ჩემს შესახებ არაფრის მოყოლა არ დამჭირებოდა. ჩვენი შეხვედრა ამაღლებელი და მეგობრული იქნებოდა, თუმცა საკუთარი გზით ნასვლას ორივე ვიჩქარებდით.

ფიქრობთ, ეს რამეს შეცვლიდა? გვიასულებთ: რა თქმა უნდა. გარკვეული ხნით. ვერასდროს.

ჯაბა ზარქუა

მკითხველი უნდა მოკვდეს

მინდა გესაუბროთ ბატონზე, რომელიც ადგენს წესებს და რომელსაც მორჩილებთ. მინდა გელაპარაკოთ ჰეგემონზე, რომელსაც ყოველ დღით ხედავთ სარკეში. მინდა გესაუბროთ მომხმარებელ ადამიანზე.

გაიხედავ, გამოიხედავ და ყველგან მას ეჩეხები თავისი მუდამ უკმაყოფილო სახით, დაღვრემილი გამომეტყველებით და მიმიკებში ჩაკირული და ართქმული პათოსით - ფული მაქვს გადახდილი, სად არის შეკვეთილი პროდუქტი?! ის იმდენად დიდია, ძლიერია და ყველგანმავალია, რომ ერთი შეხედვით ვერსად გაექცევი, ვერსად დაემალები, ვერანაირად შეენინალებდე. თუ გაბედავ მისთვის ზურგის შექცევას - მოკვდები, შიშლით სული ამოგხდება და არავინ იდარდება შენზე. სხვა არაფერი დაგრჩენია, უნდა დანებდე, საფულედან კუბიურები დააძვინო და შენი წილი მოთხოვნები წამოაყენო. უნდა შეუერთდე მას. დროა ისწავლო გადარჩენა.

მომხმარებელი ადამიანები განვსაზღვრავთ აბსოლუტურად ყველაფერს დედამიწაზე. მავანი კონსპიროლოგების აზრით, ჩვენი სურვილები სხვა არაფერია თუ არა ექსცენტრული მარკეტოლოგების კრეატიული შრომის ნაყოფი. მაგრამ ისინი სცდებიან, რადგან ეს ექსცენტრული მარკეტოლოგებიც ჩვენი შექმნილები არიან, რათა ჩვენი მოთხოვნები უფრო სქემატიზებული, დალაგებული და სისტემატიზებული გახადონ. მათ სულ ტყუილად ჰგონიათ, რომ ეს გახეხილი ყველის შესანახი კონტინერი არ გვჭირდება და მათი კრეატიულობა და აგრესიული რეკლამების გამო ვყიდულობთ, რა სისულელეა! ყველაფერი გვჭირდება, ყველაფერი გვინდა, ყველაფერს შევიძენთ, რადგან ეს ყველაფერი ისევ და ისევ ჩვენი გამოგონილია იმისთვის, რომ მოვიხმაროთ, ვიარსებოთ, შთანვთქვათ, შევიძინოთ.

მომხმარებელი ადამიანის დიქტატი და ძალაუფლება ალბათ ისეთი ძლიერი არასდროს ყოფილა, როგორც დღესაა ან უბრალოდ ასე გვეჩვენება განვითარებული კომუნიკაციებისა და ტექნოლოგიების ხანაში. იყენენ, როგორ არ იყენენ მომხმარებლები პრესტიჟულ ეპოქაშიც, თუმცა დიდი ალბათობით ამ ყოველივეს ვერ აცნობიერებდნენ და ინსტინქტურად მიჰყევოდნენ დინებას. დღეს კი ძალიანაც კარგად ვაცნობიერებთ ყოველივეს და სწორედ ამიტომაც ბლუზი, რომელიც ახალი „iPhone“-ს შექმნის სურვილს ეძღვნება, ლაიტმოტივად გასდევს ჩვენს არსებობას.

ამ წერილში მომხმარებელ ადამიანზე, როგორც ზოგად ცნებაზე სსაუბროდ არ მოგაცდენთ და მინდა უფრო კონკრეტულად ქართველ კონსუმერისტებზე და კერძოდ კი ქართველი კონსუმე-



რისტიკების ლიტერატურულ მოთხოვნებსა თუ დაკვეთებზე ვესაუბროთ, რომელსაც ქართველი მწერლები დიდი სიამოვნებით ასრულებენ.

ყველაფერს დავარქვათ თავისი სახელი - ქართული თანამედროვე პროზა იმართება მომხმარებლების მკაცრი მოთხოვნებით და ამში არაფერია არც სასიხარულო და არც სამწუხარო, მშრალი ფაქტია. მომხმარებლები უკეთესად მუსიკას, კინოს, ლექსებს და რომანებს. ვინც არ დაემორჩილება მათ მოთხოვნებს, უბრალოდ ვერ იარსებებს, იმიტომ, რომ არ ექნება ფული და სახელი.

ამ გადმოსახედიდან რომ შევხედოთ, მკითხველი მომხმარებლების რამდენიმე სეგმენტია, რომლებსაც შესაბამისად აკმაყოფილებს რამდენიმე კატეგორიის ავტორი. ყველაზე თვალშისაცემი და კარგი განსახილველი ვახლავთ ე.წ. youtube-პოეტები, რომლებსაც მრავლად წააწყდებით თუ საძიებო სისტემაში ჩაწერთ შემდეგ სიტყვებს: „ლექსი“, „პოეტი“, „ქართველი პოეტი“, „ჩოხიანი ბიჭები ქორნოში ამბობენ ლექსს“ და ა.შ. ეს სეგმენტი მომხმარებელს სთავაზობს ძირითადად მდარე ხარისხის პროდუქტს, რომელიც განკუთვნილია მდარე ლიტერატურული გემოვნების დასაკმაყოფილებლად. ისინი გაჭირვებული ვაჭარები ჰგვანან ერთმანეთს, დანებდებიან თავად ლექსის წყობიდან თუ რითმებიდან, დამთავრებული ჩაცმულობა-ანტირაფ-ინტრონაციით. ისინი დაახლოებით იგივე როლს ასრულებენ ქართულ ლიტერატურაში, როგორსაც ნინო ჩხეიძე - ქართულ მუსიკაში. ქმნიან ცნობილი ქართული პოეტური თემების იაფფასიან კომპილაციებს, ცვლიან უმნიშვნელო დეტალებს და აწვდიან მომხმარებლებს, რომლებიც დიდი სიამოვნებით ენაფებიან აღნიშნულ პროდუქტს, რადგან ეს პროდუქტი მათ რაღაცს ავსონებს. როგორც ზემოთ აღნიშნული მომხმარებლის სიმბოლოები ავონებს მსმენელს ცნობილ ქართულ თემებს და სწორედ ეს განაპირობებს ამ პრიმიტიული პროდუქტის პოპულარობას, ასევე youtube-პოეტები ავონებენ მომხმარებელს ლადო ასათიანსა თუ გულაკტიონს, რომელთა ერთი ლექსი მაინც ვგახსოვს ყველას სკოლის პერიოდებიდან. ეს ასოციაციები მომხმარებელს უქმნიან შეგრძნებას, რომ საქმე აქვე რაღაც დიდთან და შესანიშნავთან, როგორც სკოლაში ასწავლიდნენ და ამიტომაც მოსწონს ის.

რა თქმა უნდა, მხოლოდ ამით არ ამოიწურება მკითხველ მომხმარებელთა და მიმწოდებელთა სეგმენტაცია. ზემოთ აღწერილი კონსუმერისტიკებისგან განსხვავებით, სხვა ტიპის კონსუმერისტიკებიც არსებობენ, რომლებსაც აქვე პრეტენზია მაღალ გემოვნებაზე, არიან ბევრად ნაკლები, ვიდრე უკვე ხსენებული მომხმარებლები და შესაბამისად უკეთესად უფრო ხარისხიან პროდუქტს, ვიდრე ე.წ. youtube-პოეზია. ისინი ცხადია, რიცხოვნობით მკვეთრად ჩამორჩებიან მდარე ხარისხის პროდუქტის დამკვეთებს (და თითქოს უფრო ჭრელადაც გამოიყურებიან), თუმცა იმდენნი კი არიან, რომ მათი მოთხოვნები ბაზარზე ფასობდ-

ეს და შესაბამისი პროდუქტის გაჩენაც გამოიწვიოს. ვუღალა, პროდუქტიც ჩნდება! თანამედროვე ქართულ პროზაზე დაკვირვებით, ძალიან მარტივად შეგიძლიათ იმ ნაწარმოებების ამოცნობა, რომლებიც ბაზრის ამ მოთხოვნას დიდი სიზუსტით შესაბამებიან და სრულად აკმაყოფილებენ მას. ცხადია, უფრო დიდ ოსტატობას მოითხოვს ისეთი მომხმარებლის ინტერესის დაკმაყოფილება, რომელსაც მოსწონს ფრანგული ახალი ტალღის კინემატოგრაფი თუ მილან კუნდერა. არ არის მარტივი საქმე, რადგან ასეთი მომხმარებელი კრიკიტა და მიდრეკილია დეტალიზაციისადმი. მათ აქვთ პრეტენზია, რომ საკითხს იცნობენ სიღრმისეულად და ითხოვენ ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც საკითხის სიღრმისეული ამოცნობის ილუზიას შეუქმნით. ასეთი ნაწარმოებები გაჭირვებული ვაჭარებისთვის ჰგვანან ერთმანეთს და ძირითადად შემდეგი თვისებებით გამოირჩევიან - დუნე, უინტერესო სიუჟეტით, ბევრი მეტაფორით, გმირების ეპორეალური სამყაროს გადაჭარბებული აღწერის სურვილით, სტერილური, თუმცა მგრძნობიარე ენითა და რაც მთავარია - დეტალიზაციით. ეს უკანასკნელი უმნიშვნელოვანესია მომხმარებლის სურვილების დასაკმაყოფილებლად, რადგან მას აქვს პრეტენზია მახვილი თვალის ფლობაზე. მკითხველს სურს დაიჭიროს ავტორის ისეთი, თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ სინამდვილეში მნიშვნელოვანი შტრიხები, რომელსაც სხვა, უბრალო მკითხველი ვერ დაიჭერს. მას უნდა იგრძნოს თავი განცალკევებულად, განსაკუთრებულად. შესაბამისად, მსგავსი ტიპის ნაწარმოებებში უხვად რეგულირებული ისეთ „უმნიშვნელო“ დეტალებს, მოგვცა მაგალითად ვახუშტის ალერსის დროს, მოსალოდნელი სექსის ნინ ქალის ერთნაირი ჩახედვა სარკეში, თვითტკბობის აღმნიშვნელი თავდაჯერებული ღიმილი და ამის შემდგომ ალერსის გაგრძელება გაორკეცებული მამაკაცი. ამ მომენტი მკითხველს აუცილებლად გაახსენდება კადრი ფასბინდერის ფილმიდან „ბოლვიზური“ და ესიამოვნება. ან თუ არ გაახსენდება, რაიმე მსგავს ესთატიკას მაინც იგრძნობს და მაინც ესიამოვნება. მოკლედ, ბენვის ხიდზე უნეეს ავტორს სიარული, რათა მსგავსი პრეტენზიული მკითხველის გემოვნება დააკმაყოფილოს, მაგრამ შრომა ამაღლორს, რამეთუ ასეთი მკითხველის სიყვარული, როგორც ნესი, მარადიულია და უფრო სანდოა, ვიდრე ამის ნინ აღწერილი მკითხველ-მსმენელების სიყვარული.

არის კიდევ ერთი სეგმენტი მწერლებისა, რომლებსაც სურთ მინიმალური შრომის სანაცვლოდ მიიღონ მაქსიმალური შედეგი - სახელი. საქმე ისაა, რომ მომხმარებლებს სურთ პირადად იცნობდნენ და ემეგობრებოდნენ ისეთ ავტორებს, რომლებსაც ექნებათ აღნიშნული სახელი მომავალში, რათა მოსაყალი ჰქონდეთ შვილებთან და შვილიშვილებთან, როგორც ჩვენი ნინაპრები გვიყვებოდნენ ეპიზოდებს დუქანში გოვლასთან თუ ქუჩაში ცხენზე ამხედრებულ კონიასთან შეხვედრის შესახებ.

თან ამ მომხმარებლებს დიდად კითხვაც ეზარებათ, მაქსიმუმ „ფეისბუქის“ სტატუსებს შეავლონ თვალი. ჰოდა, სადაც სურვილია, იქაც პროფაქტი - არამწერალ მწერლებზე მოგახსენებთ, უბრალოდ შარლატანებზე, რომლებსაც ეზარებათ შრომა, ეზარებათ წერა ან საერთოდაც არ გამოხდით ეს ყოველივე, თუმცა მწერლის სტატუსი კი აქვთ დაპყვიდრებული ვიწრო თუ ფართო სოციალურ სფეროში. თუ რომელიმე მათგანს ერთი წიგნი მაინც აქვს გამოცემული საკუთარი პროფესიის ფაქტებით გასამყარებლად, ხომ მთლად უკეთესი. აღნიშნული ისევემეტყვი ძირითადად დაკავებულია სოციალურ ქსელებში საკუთარი იმიჯის განმტკიცებით, სხვადასხვა სოციალურად აქტიური განცხადებების კეთებით და მკვეთრი „მწერლური“ პოზიციის დაფიქსირებით მთელ რიგ საკითხებზე, რაც მომხმარებელსაც უფრო ალაგ ზნებს. ბედნიერია კონსუმერისტი არამკითხველი მკითხველი არამწერალი მწერლის არსებობით და მასთან დისტანციურით, თუმცა ამავე დროს ახლო ურთიერთობით - ძალიან მარტივია სოციალურ ქსელებში ადამიანებთან მეგობრობა და დიდ პასუხისმგებლობას არ მოითხოვს. ბენეფიტები კი იცოცხლებთ, დიდია - ნაცნობი/მეგობარი მწერალი, რომელსაც ხშირად სწერ „inbox“-ში და ულაიქებ ყველა სტატუსსა თუ აქტივობას. ყველა კმაყოფილია. მიწოდება და მოთხოვნა ისევე ერთმანეთის ადეკვატურია.


მხოლოდ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანებ, სადაც ნათლად ჩანს, რომ ლიტერატურაშიც ჭრის კანონი მოთხოვნისა და მიწოდების შესახებ, ზუსტად ისევე, როგორც, ვთქვათ, ავეჯის წარმოებაში. დანამდებლებით ვიცო, რომ ამ საკუთარი სფეროს მსგავსი საბაზრო განხილვით შეიძლება ბევრი თქვენთაგანის კრიტიკა დავიმსახურო, თუმცა მოცემულობებს თვალი უნდა გაუფხნოთ, რათა შემდეგ შეეცვალოთ ისინი.

რთული იქნება ნახვეარფაბრიკატებზე უარის თქმის პროცესი, რადგან მათი მოხმარება მარტივია და იაფი, თუმცა განვითარებისთვის ეს აუცილებელია. განვითარებისთვის აუცილებელია ინდივიდები, რომლებიც არ შეუშინდებიან მოთხოვნა-მიწოდების ციკლის გარღვევას და ახალი ტენდენციების დამკვიდრებას, რომლებსაც მერე სხვა ინდივიდები დააღწევენ თავს ნლებების შემდეგ, შესაბამისად. ხშირად მიდის საუბარი იმაზე, თუ როგორ უნდა განვითარდეს ქართული ლიტერატურა, როგორ უნდა აუნყოს ფეხი თანამედროვე მსოფლიო ტენდენციებს და ა.შ. მთელი ეს საუბრები სისულელეა, სანამ მომხმარებელ ადამიანს ამხელა ძალაუფლება ექნება. საჭიროა ავტორების ამბობება, რომელიც მოიტანს შედეგს და რეკოლუციას. რა იგულისხმება ამბობში? ქუჩებში პლაკატებით სირბილი და მთავრობის გადაყენება? არავითარ შემთხვევაში, ლიტერატურასთან ეს არაფერ შუაშია. ჩემი აზრით, ერთადერთი ამბობი, რომელსაც ექნება აზრი და რომელიც ჯერჯერობით არ ჩანს ჰორიზონტზე, იქნება აჯანყება მომხმარებელი მკითხველის წინააღმდეგ, რომელიც მჭამ-

ნვარე სახით გვიფრიალებს ცხვირწინ მოკუჭულ ლარებს და გვეუბნება, რომ ფული აქვს გადახდილი და შეკვეთას ელოდება. თუ ქართველ ახალგაზრდა ავტორებს ეყოფათ ძალა, რომ დაადგინონ ამ ნაცრისფერი და წუმი რეკოლუციის მომქანცველ გზას, მაშინ მომხმარებელი ადამიანი დაბრუნდება ერთ ბრძოლაში მაინც. ძალიან რთულია ეს პროცესი. განა რა აზრი აქვს ამბობს, რომელიც ხალხის ყურადღებას არ მიიპყრობს აქ და ახლა და რომლის წყალობითაც ერთი საპირისპირო სქესის ფანის უბრალო კონცხსაც კი ვერ დავიმსახურებთ, სექსზე რომ არაფერი ვთქვათ? განა რა აზრი აქვს ისეთ აჯანყებას, რომელიც აქ და ახლა არ ჩანს? მე კი გმონა, რომ ყველაზე მეტი აზრი სწორედ ამ გზაზე სთარულს აქვს და თუ გადახედვით დიდი ლიტერატურული მეამბოხეების ისტორიას, მიხედვით, რომ უმეტესობა მათგანს ეს გზა ჰქონდა არჩეული. დიდი ცდუნებაა წერო ის, რაც „ყველას“ მოსწონს (შენს სეგმენტში, ცხადია). მით უმეტეს, თუ გაქვს განცდა, რომ ამაში შენი პრინციპების საწინააღმდეგო არც არაფერია. დიდი ცდუნებაა შენი ხმა შეუხამო უმრავლესობის ხმას და სამწუხაროა, რომ ამ ცდუნების წინაშე ახალგაზრდა ნიჭიერი ავტორები უძღურები არიან და საკუთარ ტალანტს ფლანგავენ მომხმარებლის სურვილების ასრულებაში. ნამდვილი შემოქმედების საქმე ხომ ახალი სურვილების გაჩენაა, დაფარული სურვილებისა, რომელთა შესახებაც ჯერ წარმოგვინა არ აქვთ კატეგორიულ კონსუმერისტიებს.

ცოტათი პარადოქსულ დასკვნამდე მივდივართ - ნამდვილი მწერლები შეიძლება გახდნენ მხოლოდ ისინი, რომლებიც შეგნებულად ამბობენ უარს ყველაზე ძლიერი ტოტემის მსახურებაზე, ანუ თავად „მწერლობაზე“ და რომლებიც ცდილობენ მკითხველის, ამ აბეზარი დამკვეთის, მკვლევლობას.

ნამდვილი მწერალი შეიძლება გახდეს მხოლოდ ის, რომელიც გაბედავს და მტარვალ მკითხველს საბოლოდ ეტყვის: ტრაკში გაიკეთე შენი მოთხოვნები, ძვირფასო.





დინ ფლაუერი

უტყვ ცხოველზე იძიებ შურს, აქაბ?¹

“მოზი დიკი” ეკოლოგის თვალსაზრისით

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძე

თოვლისა და ნისლთა მეუფის საყვარელ ფრინველს უყვარდა ადამიანი, რომელმაც მოკლა ის თავისი მშვილდ-ისრით. სემუელ კოლრიჯი, “პოემა ძველი მებღვაურის შესახებ” (1798)

გვინდა, ჩვენშივე არსებული ზღვრების ნგრევა და მოშლა ვიხილოთ, სიცოცხლე, რომელიც თავაწყველით ფეთქავს იქ, სადაც ჯერ ფეხი არ დაგვიდგამს. ჯონ დევიდ თორო, “უოლდენი” (1854)

როდესაც რაიმე ელემენტს გამოვყოფთ და მის გააზრებას ცვდილობთ, ვხვდებით, რომ ის დაკავშირებულია ყოველივე დანარჩენთან სამყაროში. ჯონ მიური, “ჩემი პირველი ზაფხული სიერას მთებში” (1911)

ქიმიური იარაღი, რომელიც ისეთივე მომაკვინებელია, როგორც პირველყოფილი ადამიანის კომბალი, გამოიყენეს სიცოცხლის ქსოვილის წინააღმდეგ - ქსოვილისა, რომელიც, ერთი მხრივ, ნაზი და მყიფეა, მეორე მხრივ კი - საოცრად ხისტია და დრეკადი და შეუძლია, სრულიად მოულოდნელად, უკუდარტყმით დაგვაზარალოს. რეიჩელ კარსონი, “უტყვი გაზაფხული” (1962)

მინდა დავაკვირდე ღვთის ბუჩქს, კვარცის ნატეხს, გრიფს, ობობას და ვნახო როგორია თითოეული მათგანი თავისთავად, ისე, რომ უკუვავდო წინასწარი წარმოდგენები მათი თვისებების შესახებ... პირისპირ შევხვდე ღმერთს ან მეღვზას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს საფრთხეს შეუქმნის ყოველივე ადამიანურს ჩემში. ედვარდ ები, “უდაბნოს განდეგილი” (1968)

“მოზი დიკი” საუკეთესო წიგნია, რომელიც ოდესმე დაწერილა ბუნების შესახებ. ენი დილარდი, “ბუნება როგორც წიგნი” (1996)

თავდაპირველად ვისაუბროთ კოლრიჯის დიდებულ პოემაზე ძველი მებღვაურის შესახებ. ის შეიძლება მივიჩნიოთ მითად ჩვენი თანამედროვე გარემოს შესახებ და, ვფიქრობ, მელვილის მიერ სწორედ ამგვარად იყო ჩაფიქრებული თავისი რომანიც. ძველი მებღვაური სრულიად უმიზეზოდ კლავს ალბატროსს - „ღვთისგან მოგზავნილ“ ფრინველს, რომელსაც ეკიპაჟის წევრები კვებავდნენ, რომელმაც იხსნა ხომალდი პოლარული აისბერგებისგან და სამშვიდობოს გაიყვანა, შემდეგ კი ანძაზე ძინა. ალბატროსის მოკვლის შემდეგ ხომალდმა უნდა გაუძლოს მცხუნვარე მზეს, უქარო ამინდს, აუტანელ სიციხეს, მთვარის პირქუშ მუქს, მოჩვენებებს - ჩაძირული გემების ადევნებულ აჩრდილებს, ლორწოვან არსებებს ლორწოვანი ზღვის ზედაპირზე, „შორის აუტანელ სუნს“ და შიმშილს, სანამ ყველა არ დაიხოცება. ხომალდზე მარტო დარჩენილ მთხრობელს ეჩვენება ანძებზე ჩამომსხდარ მებღვაურთა ლანდები, რომლებიც ბრალს სადებენ მას; საბედნიეროდ, კვლავ ყოველგვარი მიზეზის

გარეშე, ის დახედავს ზღვაში გემის ჩრდილს და დინახავს წყლის გველების ჯადოსნურ, ენთაუნერულ სილამაზეს. მებღვაურის გულიდან „სიყვარულის წყარო ამოხეთქავს“ და ის „ლოცავს მათ“. წყველა ეხსნება, მაგრამ იწყება ხანგრძლივი განსაცდელისა და მონანიების პერიოდი, იმ მომენტის ჩათვლით, როდესაც ცასა და ოკეანეს შეძრავს „მტექარე, შემზარავი ხმა“ და ხომალდი „ტყვიასავით იძირება“. მთხრობელი „შვიდი დღის წინ დამხრჩველი“ გვამითი ტიტეტივებს ზღვაში და შემდეგ მესაქის ნავში აღმოჩნდება:

მორევში, სადაც დაიღუპა ხომალდი, ნავი ტრიალებდა ციბრუტიკით; შემდეგ ყველაფერი დაწყნარდა, მხოლოდ გორაკი გუგუუნებდა.

როდესაც ძველი მებღვაური ლაპარაკს იწყებს, მესაქე უეცრად ყვირის და ძირს ეცემა; ხოლო მისი შვილი გულდება. ამიტომ მებღვაურმა თვითონ უნდა მართოს ნავი. ის ფიქრობს, რომ ეშმაკს ნაავაც და შიშობს, რომ შესაძლოა, მართლაც ეშმაკია. მებღვაურს არ ძალუძს ერთდროულად უყვარდეს „ად-


გამოქვეყნდა 2013 წელს The Hudson Reviv-ში.

ამიანიც, ფრინველიც და ცხოველიც"; ვერ შეუვნიო, რომ ალბატროსის ისეთივე უფლება აქვს იცოცხლოს, როგორც თვით მას - მეზღველავი; ვერ ხედავს, რომ ალბატროსის გადაარჩენას რაიმე საერთო აქვს მის საკუთარ გადარჩენასთან, არ აღიარებს მათი სულიერი კავშირის რაიმე შესაძლებლობას.

გასაოცრებია, რამდენი მზა სახე და მოტივი გადმოაქვს მეღვივს კოლრიჯის პოემიდან „მოზი დიკი“. იუნგა, რომელიც გიჟდება, მორევი, რომელმაც იძირება ხომალდი ერთადერთი გადაარჩენილი ადამიანით, აჩრდილებით და სიკვდილით დატვირთული ხომალდი, რომელიც კარგად ვერ აცნობიერებს მოუნანიებელ დანაშაულს, სილამაზისა და შიშის, ან სიმშვიდისა და ძრწოლის ურთიერთშენაცვლება ბუნებაში, ალექსანდრიულად ასახული და იდეუმალებით აღსავსე მოგზაურობა ზღვაზე. როდესაც „პეკოლი“ ხედება ალბატროსის (42-ე თავი), უცნაური ხომალდი „თეთრი“ და „არარეალური“, თითქოს შეთრთვილული, ხოლო მისი ფერნასული ეკიპაჟი „საცოლად მდგომარეობაშია“ და ხმის ამოღების უნარი არ შესწევს. „ალბატროსის“ დაუფანგული სითეთრე და მისი უცნაური ამბავი თითქოს პირდაპირ კოლრიჯის პოემიდანაა გადმობრუნებული. ასეთივეა პიპის ზღვაში გადავარდნის ეპიზოდი: ბიჭუნა იხილავს ღმერთის ფეხს საქსოვი დაზვის შედღაზე და სურს მოჰყვეს ამის შესახებ. ის გონს მოვა, მაგრამ არ ძალუხს დაასრულოს თავისი ამბავი, არ ძალუხს აუნეროს დანარჩენებს თავისი შემზარავი ხილვა. როდესაც აქაბი მიმართავს ვეშაპის თავს „სფინქსში“ (თავი 70), ის ნამდვილად უტყვივ არსებაა. მეღვივო, როგორც ჩანს, ფიქრობდა, რომ ვე-

შაბები უტყვივი არიან, ასევე ფიქრობდა სტარბუკი, რომელიც მას უტყვე ცხოველს“ უწოდებს: „ილაპარაკე, უზარმაზარი და პატივცემული თავო [ამბოხს აქაბი]... ილაპარაკე, მძლავრო თავო და გვაუწყე შენი საიდუმლო... ო, თავო!... საკმარისად ბევრი რამ იხილე, რომ დაღწეო ზღვანეტები და თვით აბრაამსაც კი უწმუნოება შთააგონო, მაგრამ ერთ ბგერასაც კი არ წარმოთქვამ“. შუადღეს, როდესაც „უკაცრიელ გემბანზე... სიწუმე სუფევს“ და ატმოსფერო თითქოს უჩვეულო და საშიშია: „ბრინჯაოსებრი მტკიცე მდუმარება უზარმაზარი ყვითელი ლოტოსივით სულ უფრო ფართოდ მღიდა თავის უჩუმარ ვეება ფოთლებს ზღვის თავზე“. ეს პასაჟი შთაგონებულია კოლრიჯით, როდესაც მის პოემაში ხომალდი შტილში მოხედება და უმოძრაოდ გახედება მდუმარე ზღვაზე: გავარვარებულ სპილენძის ცაზე შუადღეს, ანძის თავზე სისხლიანს მზე შეჩერდა და მთვარისხელა იყო.

კოლრიჯისგან ნასესხები სახეები მეღვივოთან გადაშუაებულია, მაგრამ მისი სტიმული უეჭველად გასათვალისწინებელია. ხომ არ შეიძლება ითქვას, რომ პოემის უღრმესი შორალი - არა მარტო ის, რომ მეზღვეურს არ სურს, უყვარდეს ყველა (დიდი თუ პატარა) სულიერი; არა მარტო უაზრო სისასტიკე, რომლითაც მოკლა ალბატროსი, არამედ - ქედმიკვლობა ადამიანებისა, რომლებიც თავიანთ თავს სხვა არსებებზე მაღლა აყენებენ - სწორედ



...was Spanish
...a revival and
...at Cartagena
...centered the
...Of these
...the world, was the
...minister four-
...on occasion
...it hardly tall
...February 1797
...New York 74
...regions single-
...soon joined by
...according to
...four-deck
...four-deck
...have actually
...come up prize, etc.

მოზი დიკში გატარებული და განერცობილი მორა-
 ლია?

„უოლდენის“ ბოლოს, თავში, რომელსაც „ვაზა-
 ფხული“ ეწოდება, თორი ამბობს: „ჩვენშივე არსე-
 ბული ზღვრების მოშლა და წერევა უნდა ვიხილ-
 თო“. მთელი პასაჟი, რომელსაც აქამდე მივყავართ,
 არის ბუნების დაცვის სურვილი - ჯონ მიუირით და
 ჯონ ბეროზით (მეცხრამეტე საუკუნის მკვლევარი ნა-
 ვევი) დანახებული კიდურ თანამედროვე ეპოქამ-
 დე. ის რჩება locus classicus-ად ჩვენი ეროვნული
 პარკების სისტემისა და მისი ფილოსოფიისთვის,
 ისეთი ორგანიზაციებისთვის, როგორებიცაა „უდა-
 ნბონთა დაცვის საზოგადოება“, „ბუნების დაცვა“ და
 „სიერა-კლუბი“, ბიოლოგებისა და პოეტებისთვის,
 არსებითად, ყველასთვის, ვინც დაინტერესებულია
 ცივილიზაციის ულმობელი აგრესიისგან ცოცხალ
 არსებათა სახეობებისა და მათი საარსებო ფარემ-
 ოს - ტყეების, ქაობების, სანაპიროების, მთების გა-
 დარჩენით.

ჩვენი ველური ბუნება გეჭირდება, - დროდადრო
 უნდა ვივტილით ქაობებში, სადაც ბინადრობენ
 წყლის ბულა და ქათამურა, მივაყურადით ჩიბუხას
 ყმუყუნს და ვიყნოსით მოძრიალე ისლის სურნე-
 ლი; აქ ველური ფრინველები ბუდეებს იგებენ, ხო-
 ლა ნაულა მინაზე დაიცოცავს. ყველაფრის გამოკე-
 ლევასა და შესწავლას ვცდილობთ, მაგრამ, ამას-
 თანავე, გვსურს, რომ ყველა საგანი - მთელი ზღვა
 და ხმელეთი - იდუმალი და მიუწვდომელი იყოს.
 ბუნება არასოდეს გვეყოფის. ჩვენზე მაკოცებულ-
 ელ ზეგაველენას ახდენს ბუნების უშრეტო, უდიდესი
 ენერჯია, ზღვის სანაპირო - მისი ნანგრევებით, უდ-
 აბნო - მისი ცოცხალი და გამხმარი ხეებით, მეხის
 გრგვინვა და წვიმა, რომელიც სამი კვირის განმავ-
 ლობაში გრძელდება და წყალდიდობებს ინვესს. გვი-
 ნდა, ჩვენშივე არსებული ზღვრების წგრევა და მო-
 შლა ვიხილოთ, სიკოცხალი რომელიც თავანყვეტ-
 ით ფეთქავს იქ, სადაც ჯერ ფეხი არ დაგვიყვებო-
 ქაობში ხეტიალის, მიყურადებისა და ველური
 ბუნებით ტკობის გარდა შეიძლება - უხიფათო მან-
 ძილზე - დავაკვირდეთ ბუნების ტიტანური ძალებ-
 ის გამოვლინებებს და განვიცადოთ „მანახლების“
 გრძობას, რომელიც ჩვენში არსებულ ზღვრებში
 დეკავრირებს. თორის არასოდეს უხილავს რაიმე
 ტიტანური უოლდენის ტბაზე; ის ასევე, არ შესწრე-
 ბია არავითარ რეალურ ზღვრებსა და მოშლას. ახლა
 დავუბრუნდეთ „მოზი დიკს“, სადაც ისმავლი ფიქრ-
 ობს ზღვის „მარადიული terra incognita“-ს შესახებ
 („პლანეტონი“, თავი 58-ე):

„უსხვავარი დროიდან ზღვა სამიხელ განსაცდე-
 ლში ადგება მრავალ ათას ადამიანს; როგორც უნ-
 და ეტრანაზა ყრმა-ადამიანს თავისი ცოდნითა და
 უნარებით, და როგორც უნდა გაზრდილიყო ეს ცო-
 დნა და უნარები პირმოთნე დროის განმავლობაში,
 - მაინც ყოველთვის, განკითხვის დღემდე, ზღვა გა-
 ნადგურებს ადამიანებს და გააცამტვერებს დიდე-
 ბულ, მყარ ფრეგატებს; მოუხდევად ამისა, ადამიან-
 ის, რომელიც გამუდმებით განვიცდდა ერთსა და
 იმავე შთაბეჭდილებებს, აღარ ძრნის ზღვის ნინამე
 ისე, როგორც - უნი“.

აქ ნამდვილად შეინიშნება რღვევა და მოშლა.

ზღვის ნინამე ძრნოლის ზეგაველენით ჩვილი-აღა-
 მანი დაზარალდება და მოკვდება, მისი უბადრუკი
 მცდელობები გააცამტვერდება. ისმავლი კიდევ უფ-
 რი პირქუშ ჭამარიტებებსაც აღიარებს: ზღვა ანა-
 დგურებს არა მარტო ადამიანს, არამედ - თვით მან-
 შში მოზინადრე ძალზე მძლავრ არსებებსაც:

„როგორც მძინვარე ძუ ვეფხვი, რომელიც ჯუ-
 ნგლებში დაძრნის და შუქლია შემთხვევით გასრ-
 ოის საკუთარი ბოკვები, ზღვაც კლდეებზე გამო-
 ყრის ხოლმე ყველაზე მძლავრ ვეშაპებს და დალუ-
 პული ხომალდების ნანგრევებთან ტოვებს. ზღვის
 თვის უტყობა ლმობიერება. მისთვის არ არსებობს
 არავითარი ძალაუფლება, მისი საკუთარი ძალაუ-
 ფლების გარდა. გათვებული საბრძოლო ცხენის
 მსგავსად, რომელმაც თავისი მხედარი გადმოაგ-
 დო, თვითმპყრობელი ოკვანე ხვნიშობთა ვარუ-
 ტუნით ეხეთქება ჩვენს პლანეტას“.

იმ დროს, როდესაც დარწმუნა გაავრცელა თა-
 ვისი სამშპარი ახალი თეორიები ბუნებრივი შერჩე-
 ვის შესახებ, ხოლო ტენისონი შეძრული იყო ხილ-
 ვებით ბუნებისა, რომელსაც „სისხლიანი კილოები
 და ბრჭყალები ჰქონდა“ და გულგრილი იყო ცოცხ-
 ალ არსებათა სახეობების გადარჩენის მიმართ, მე-
 ლვილი ხედავდა „ყოველისმომცველ კანიბალიზმს
 ზღვისა, რომლის ყველა მოზინადრე ერთმანეთზე
 ნადირობს და მარადიულ ომს აწარმოებს ქვენიე-
 რების დასახისიდან“. „დაკრძალვაში“ (თავი 69-ე),
 როდესაც ზღვის მტაცებელი გრიფები სხდებიან ვე-
 შაპის ლეშზე და მძიერ ზვიგნებთან ერთად შექე-
 ცევიან მას, ისმავლი წამოიძახებს: „ო, დედამინის
 ამაზრზენო მტაცებლებო! თვით ყველაზე ძლიერი
 ვეშაპიც კი ვერ გადაურჩება მათ“. მაგრამ მეღვილი-
 ის მიზანი არაა ღმერთის გარეშე დარჩენილ ქვეყ-
 ნიერების გამოტირება. ეს უფრო ყოვლისშემძლე
 ბუნების დიდებულებისა და პირველადობის აღი-
 ანებაა, - ედმუნდ ბერკამ მას „უზენაესი“ უწონდა თა-
 ვის 1756 წელს დაწერილი ესეში - „ზღვის „საზარელ“
 ძალას ხელენიფება, დაანგრიოს და მოშალოს ჩვენი
 ეკოტიზმი, ჩვენი სიამაყე, ჩვენი ზღვარსგადასული
 რწმენა მეცივნიერებისა და საკუთარი თავისა. ვინ
 არის ჩემზე აღმატებული? - კითხულობს აქამდე,
 რაზეც რომანი პასუხობს: „თვით ბუნების ბუნება“.
 ჩვენი ყველანი, ამბობს ისმავლი, დავეფრფავებო-
 დეკარტეს გრიგალების თავზე, რომელიც სრული-
 ად გულგრილია ჩვენი გადარჩენა-არგადარჩენის
 მიმართ. დედა-ბუნება ჩვენზე არ ზრუნავს. „გაით-
 ვალიწინეთ ეს, პანთეისტებო!“

მიუხედავად ამისა, ოკვანე „მოზი დიკში“ - ბუ-
 ნება, როგორც ასეთი - მხოლოდ უზენაესი და თვი-
 თმპყრობელი მტერი როდია, არც „ყრმა-ადამიანი-
 სთვის“ და არც ლევითიანისთვის. რომანის მიხედვ-
 ეთ, ჩვენ, სხვა არსებებთან ერთად, სხვადასხვაგა-
 რად ვექვემდებარებით მას, მაგრამ ამ ურთიერთ-
 დამოკიდებულებებს ვერ ვიცნობიერებთ. სხვა ნა-
 ტყვეებით რომ ვთქვათ, ვვარაუდობ, რომ „მოზი დი-
 კი“ განტყვერებს ეკოლოგიის თანამედროვე კონცე-
 ფციას, მაშინაც კი - და განსაკუთრებით მაშინ -
 როდესაც ეს კონცეფცია ბუნების ელემენტთა ურ-
 თიერთდამოკიდებულების შესახებ ირღვევა. ჯონ
 მიუირის შენიშვნა(რომელსაც ხშირად იმონმებენ



ხოლმე) - "როდესაც რაიმე ელემენტს გამოვყოფთ და მის გააზრებას ვცდილობთ, ვხვდებით, რომ ის დაკავშირებულია ყველაზე დანარჩენთან სამყაროში", - მელილისას წააგავს, იმ გაგებით, რომ რომანში ნებისმიერმა პროზაულმა ელემენტმა - ლინიურმა თევზმა თუ მძინვარე თევზმა, პარკუნის თაგმა, ანამა, კასრიდან წყლის ამოხაზვამ შეიძლება მიგვიყვანოს პლატონამდე ან ეგვიპტურ პირამიდებამდე, ან საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე, ან კიდევ ნებისმიერი რაოდენობის მეტაფორებამდე და აბსტრაქციებამდე. ისმაელის თქმით, "ო, ბუნება, ო, ადამიანის სული! რამდენი რამ გაკავშირებთ; ბუნების მატერიის ყოველ უმცირეს ატომს თავისი ორული შყავს სულში". ჯონ მიური ფიქრობდა სიერაში მიღებული მდიდარი გამოცდილებების შესახებ, როდესაც აცხადებდა, რომ ყველაფერი დაკავშირებულია ყველაფერთან. ის იყო პირველ თანამედროვე ეკოლოგთა შორის, თუ ეკოლოგიას გავიზარებთ, როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებას და არა მარტო როგორც ბიოლოგიურ მეცნიერებათა ერთ-ერთ დარგს. ეკოლოგიის ცნება, ბერძნული სიტყვებიდან ekos - სახლი, სამყოფელი, და logos - კვლევა, მეცნიერება, 1866 წელს ერნსტ ჰეკელმა შემოიტანა, მაგრამ ის კარლ ლინეისთან (მეთვრამეტე საუკუნეში) და უფრო ადრე, ძველ ბერძნებთანაც გვხვდება. დარვის ეს, რასაკვირვებლად, ესმოდა, როდესაც 1859 წელს წერდა თავის „სახეობათა წარმოშობის“ სახელგანთქმულ დასკვნებს.

საინტერესოა დაკვირვება ცოცხალ არსებობათა რთულ ერთობლიობაზე, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სახეობის მრავალ მცენარეს, მგალობელ ფრინველებს, მწერებსა და ჭიებს და ა.შ. ეს ურთულესი აგებულების არსებობა, რომლებიც ესოდენ განსხვავდებიან ერთმანეთისგან და, ამავე დროს, დამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე, ექვემდებარებიან იმ კანონზომიერებებს, რომლებიც ახლაც მოქმედებს ჩვენ გარშემო. აი ეკოლოგიის თანამედროვე განსაზღვრა, რომელიც ედვარდ უილსონმა ჩამოაყალიბა „სიცოცხლის მომავალში“ (2002):

„ყოველი სახეობა დაკავშირებულია თავის ოჯახთან უნიკალური წესით, რომლის ძალითაც ის იკვებება სხვა არსებებით (ან თვითონ იქცევა საკვებად სხვებისთვის), კონკურენციას უწევს და, ამასთანავე, თანარსებობს მათთან... ეკოლოგი განიხილავს მთლიანობას, როგორც ენერჯისა და ნივთიერების გამოყენებულ შედინებას ოჯახში გარემომცველი ფიზიკური გარემოდან და პირუკუ, რათა შეიქმნას უწყვეტი ეკოსისტემის ციკლები, რომლებზეც დამოკიდებულია ჩვენი არსებობა“.

ახლა განვიხილოთ რამდენიმე ხატი მეღვილის რომანში, რომლებსაც სიამოვნებით გამოიყენებდა თანამედროვე ეკოლოგი. „ზღვის უნივერსალური კანიბალიზმი“ სხვა არაფერია, თუ არა ურთიერთდამოკიდებულება კვებით ჯაჭვში; „მძორის ჭამა“, უბრალოდ, ბუნების ეკონომიკაა - განა კარგი იქნება, რომ არ არსებობდნენ ყბადაღებული დამასუფთავებელი ბრიგადები - ყვაკები, ყორხები, სვაკები და კონდორები? გავითავალისწინოთ, აგრეთვე, ის ხერხი, რომლითაც ადამიანები ერთვებიან მეღვი-

ლის ეკოლოგიაში. 66-ე თავში („ზვიგენების სასაკლავო“) ვკითხულობთ, რომ ვეძაბებზე მონადირეები ხშირად იყენებენ საგანგებოდ აღეხილ ნიძებს ვეშაპების ლუმებზე მონადირე ზვიგენს დასაბრუნად. ქვიქვი ამბობს, რომ, „ხეტავ, რომელმა ღმერთმა შექმნა ზვიგენი“. მაგრამ ვის ხოცავდა ინდიელებს, ზვიგენი თუ ადამიანი? რასაკვირველია, ეს ანალოგია ვასათვლისწინებელია.


ახლა განვიხილოთ - იმავე კონტექსტში - „ზღვის კანიბალიზმი“. მეღვილი საუბრობს კამალოტის მძინვარეობის და მისი ბასრი კბილების შესახებ. მის დროს ითვლებოდა, რომ ესაა უდიდესი მტაცებელი ვეშაპი, ახლა კი ვიცით, რომ კამალოტის ყველაზე საშიში მტერი (ადამიანის გარდა) არის გვანტური კალმარი, რომელიც მასზე ნადირობს, მაგრამ ხომ არაა „პეკოდიც“ მტაცებელი ცხოველი, მისი ძველთაძველი გრძელი ბასრი კბილებით, რომელიც გამოიყენება თოკის მისამბლად, ხოლო უზარმაზარი ყმის ძვალი - რუმქვლად? „ძიელი ხომალდი ნადავლით იყო მოფენილი - ეს გახლდათ (ამბობს ისმაელი) ნამდვილი კანიბალი გემების შორის, რომელიც თავს იწონებდა მოკლული მტრების ძვლებით“ „სტაბის ვაშაშაში“ (თავი 64-ე) ანალოგია კიდევ უფრო თვალსაჩინოა, როდესაც კაპიტნის მეორე თანაშემწე მის მიერ მოკლული ვეშაპის ხორცის ბიფშექსს შეექცევა:

„მხოლოდ სტაბი როდი იტკბარუნებდა პირს იმ ღამით ვეშაპის ხორცი. მისი ყბების ჭრაჭუნს ბანს აძლევდა წკალავური ათასობით ზვიგენისა, რომლებიც მკვდარ ლევითაისს გარს ეხევიდნენ და მის ნოყიერ ხორცს ნთქავდნენ“.

ყურადღება მივაქციოთ, ვინ იმყოფება, ეკოლოგიური თვალსაზრისით, ამ კვებით ჯაჭვის სათავეში. როდესაც ადამიანები ხოცავენ ერთმანეთს საზღვაო მტაცების დროს, ფიქრობს ისმაელი, „ზვიგენები, იმ მაგიდის გარშემო შეტროვილი მშიერი ძაღლების მსგავსად, სადაც უმ ხორცს ქინარ, ყოველთვის ხარბად უთვალთვლებენ გემბანებს და მზად არიან, მყისვე შესახლდნენ ყოველი მოკლული კაცის ზღვაში გადაადებული სკაში“. მომდევნო ფსევდო-კომიკურ ეპიზოდში სტაბი უმონყალოდ დასცივის ფლისს (მოხუც მაკკინანს მზარეულს); მაგრამ ფლი ის ასკენის: „ღმერთმანი, ჯობია, ვეშაპს შეჭამოს ის, ვიდრე მან შეჭამოს ვეშაპი. მისკამ დალაზეროს, ეგ ყველა ზვიგენს აჯობებს, ემბეტონ სტაბი“. შემდეგ თავში („ვეშაპი როგორც კერძი“), მეღვილი ფიქრობს, აგრეთვე, ადამიანთა მტაცებლობის შესახებ, რისი აღიარებაც მათ არ სურთ:

„მიდიდ შაბათს ყასებთან და დატკბით სანახაობით ცოცხალ ორვესა არსებობისა, მკვდარ ოთხვესა არსებებს რომ მისჩერებთან. ამგვარი სანახაობა ხომ კანიბალიზმზე უარესია? კანიბალი? გავნა რომელი ჩვენგანი არაა კანიბალი?... შეხედით თქვენი დანის ტარს, ჩემო ცივილიზებული და განათლებული გურმანო, როდესაც როსტბოფს მირთმევთ: რისგანაა ის დამზადებული? განა იმ ხორცი ძელისგან არა, რომელიც ღვიძლი ძმა იმ ხარისა, რომელსაც ახლა შეექცევით?“

გასაოცრია ეს ტერმინები: ხარი ძმა არის, ხოლო ხორცის მჭამელი კანიბალია. ჩვენ თანამომე-



ების ხორცი თ ვიკვებებით. ისმაელი არ ამბობს, რომ ვეშაპები არ უნდა დავხოცოთ, ყოველ შემთხვევაში - ამ ეპიზოდში. მელვილის ეკოლოგიაში ჩვენ ფატალურად დაკავშირებული ვართ სხვა არსებებთან, რომლებითაც ვიკვებებით, რომლებსაც ვევიბრებთ და რომელთაგან ზოგიერთმა შეიძლება სასიკვდილო საფრთხე შეგვიქმნას - ასეთ შემთხვევაში მათ ურჩხულებს ვუწოდებთ.

თანამედროვე ეკოლოგიისთვის საინტერესო იქნება გადასვლა თეთრი ვეშაპების პასტორალური სიმშვიდიდან (58-ე თავში) («ეს ურჩხულები დინჯად მიცურავდნენ და დილაადრიან სამუშაოდ გამოსული მთიბავებს ჰგავდნენ, ნელ-ნელა რომ იკაფავენ გზას მალალ ნამიან ბალახში») გიგანტური შემზარავი რვაფეხას გამოჩენაზე (თავი 59-ე), რომელიც ზღვის სიღრმიდან ამოცურდება და თავდაპირველად მობი დიკი ჰგონიათ. რვაფეხა, რა თქმა უნდა, უზარმაზარია, უსახო, უფორმო და თეთრი, მაგრამ ის არაა ბალახის მჭამელი თინიერი არსება: «ცენტრიდან გამოდიოდა აურაცხელი გრძელი ხელი, რომლებიც ანაკონდების გორგალივით იცლანებოდა და თითქოს მზად იყო, განურჩევლად ჩაბლაუჭებოდა ყველაფერს, რასაც კი მისწვდებოდა». რა მოხდებოდა, კოლრიჯის მეზღვაურის ეს რომ დაენახა მშვენიერი პატარა წყლის გველების ნაცვლად? არავითარ შემთხვევაში არ დალოცავდა ამ გიგანტურ ანაკონდებს... თუმცა ისმაელი რვაფეხას «სიცოცხლის გამოვლინებას» უწოდებს. და არა სიკვდილისას. მომდევნო თავში («ბანარი») ის ამბობს, რომ ჩვენ დაკავშირებული და მიჯაჭვულნიც კი ვართ მასთან ნარმოსახვის მეშვეობით:

«ჰარპუნის ბანარი გარს ევლებდა ველობტს და ყველა მენიჩბეს ეხვევა თავისი ამაზრზენი კლაკნებით. გამოუცდელი მეზღვაურის მფრთხალ თვალვებს ეჩვენება, თითქოს მის წინაშე ინდოელი ფაკირები არიან, ხალხის გასართობად კიდურებზე მხამიანი გველები რომ დაუხვევიათ. ვერც ერთი შეუჩვეული მოკვდავი ვერ გაუძღვებს ბანარის უთავბო-

ლო კლაკენას, როდესაც ის მთელი ძალით აწვება ნიჩბას და ფიქრობს, ჰარპუნი შეიძლება ნებისმიერ წამს ისროლოს და მაშინ ეს საშინელი ხვეულები მყისიერად გაცოცხლდებოდნენ».

და, ამჟამად თავის დასასრულს: «ყველა ადამიანს ყელზე ამგვარი ბანარი აქვს შემოხვეული». შეიძლება მოგჩვენოთ, რომ მელვილი აზვიადებს, მაგრამ - მხოლოდ იმიტომ, რომ მას სურს გვიჩვენოს, როგორ გვახრჩობს ამაზრზენი ხვეულებით ცხოვრებისეული სირთულეები, რომლებზეც დამოკიდებულია ჩვენი ბედი - სირთულეები, რომლებიც შეგვიძლია უკუვავადოთ ან არაღ ჩავთვალოთ, მაგრამ მათ, მიუხედავად ამისა, ძალუძთ, ანაკონდების მსგავსად, მოგვახრჩონ. ყველაფერი ურთიერთდაკავშირებულია. ეკოლოგები დღეს მშვენიერად მსჯელობენ სახეობათა რაოდენობის ან ეკოსისტემების ჰარმონიისა და ბალანსის შესახებ, მაგრამ ისევე შფოთავენ, როგორც მელვილი, რადგან ამ საბედისწერო ხვეულებს ძალუძთ გავაძლიეროთ ან დაგვლუპონ.

თანამედროვე ეკოლოგიამ თავისი ყველაზე მძლავრი მხარდაჭერა მიიღო რეიჩელ კარსონის «უტყვი გაზაფხულიდან» (1962). მისი გამოქვეყნების შემდეგ ყველამ იცოდა ეს ტერმინი. კარსონმა დაინახა «ქიმიური ქარტეხილი [პესტიციდებისა], რომლებიც დაუმიზნეს სიცოცხლის ქსოვილს», და მასთან ბრძოლა დამარცხებისთვისაა განწირული. «საქმე ისაა, შეუძლია თუ არა ნებისმიერ ცივილიზაციას ანარმოს დაუნდობელი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, ისე, რომ თვითონ არ განადგურდეს, რომ ცივილიზაცია დარჩეს». ფაქტობრივად, ნებისმიერი თანამედროვე ეკოლოგი ეთანხმება კარსონისეულ ნარმოდგენას ამ ბრძოლის შესახებ და მის აპოკალიფსიზმს. ედვარდ ების წიგნში «უდაბნოს ვანდელილი» (1968) საუბარია «ინდუსტრიული ტუროზმის» შესახებ, რომელიც ანადგურებს უდაბნოს გზების გაყვანის, ავტომანქანებისა და ბრბოების მეშვეობით. უენდელ ბერი თხზულებაში «მშფო-



თვარე ამერიკელი" (1977) მსჯელობს „აგრობიზნესის“ შესახებ - უზარმაზარი მექანიზმები და კორპორაციები აპარტახებენ პატარა ფერმებს და სასოფლო თემებს, რომლებიც ესოდენ კარგად გვემსახურებოდა. ლესლი მარმონი სიკოს ნინასწარმეტყველებს რომანში „გერმონია“ (1977) და ტერი ტემპესტ ულიამსის ეკოფემინისტურ მოთხრობაში „თავმესაფარი“ (1991) საუბარია ბირთვულ იარაღზე, რომლის დანიშნულებაა - თუკი რაიმეს დავაშავებთ - ჩვენი განადგურება. იმგვარ ორგანიზაციებში, როგორებიცაა „დედამინა - პირველ ყოვლისა!“ და „გრინპისი“, მოგვიწოდებენ ვებრძოლოთ იმათ, ვინც (ამ ფაქტის უარყოფის მიუხედავად) იმებს არაღივებ დედამიწაზე.

მაგრამ არის თუ არა დედამიწის წინააღმდეგ მიმართული იმი მართებული მეტაფორა „მოში დიკთოსის“? ხომ არ განადიდებს მელვილი ვეშაპის ტყე მონადირეებსა და ვეშაპებს ნადირობას? „ადვოკატში“ (თავი 24-ე) ისმაველი ამტკიცებს, რომ ვეშაპებზე ნადირობა, უბრალოდ, ცხოველთა ხიცვა როდია; ის უფრო მეტ სიმამაცეს მოითხოვს, ვიდრე - იმი, და ვაცილებით უფრო კეთილმოხილური მიზნები აქვს:

„უკვე მრავალი წელია, რაც ვეშაპჭერი გემი პირველად პოულობს მთელს დედამიწაზე შორეულ, უცნობ ადგილებს... თუკი ამერიკული და ევროპული სამხედრო ხომალდები ახლა მშვიდობიანად შედიან ოდესღაც მტრულ ნავსადგურებში, იმი, მათ გაისროლონ ყველა თავიანთი ქვემეხიდან იმ სახეობის ვეშაპჭერის პატრისაცემად, რომელმაც მათ გზა აჩვენა ამ ნავსადგურებისკენ და პირველი თარჯიმანი იყო მათსა და ადგილობრივ ველურებს შორის“.

ისმაველი იმასაც ამტკიცებს, რომ სწორედ ვეშაპებზე მონადირეების წყალობით „განთავისუფლდნენ პერუ, ჩილე და ბოლივია ძველი ესპანეთის უღმისგან“ და „ამ ქვეყნებში მტკიცე დემოკრატიული წყობა დაამყარეს“. „ავსტრალია ევროპის მდგომარეობიდან გამოიყვანეს და ცივილიზებულ სამყაროს აზიარეს სწორედ ვეშაპებზე მონადირეებმა“. პოლინეზიის კუნძულებზე მათ გზა გაუკვლავს მისიონერებს და ვაჭრებს“, დათვით „კარნაკეტლი იაპონიაში, - აცხადებს ისმაველი - „ვეშაპებზე მონადირეებმა გადალახეს ეს ზღურბლი და სტუმართმოყვარეობა ასწავლეს ხალხს“. „რაინდებსა და მებაჭურებში“ (თავი 27-ე) ქვიქვია, თემტიგო და დეგუ - მეშარპუნეები - ჭმუშარტი რაინდები გახლავან. მელვილი პატრეს მიაცვებს მათ 1621 წლის დროინდელი არქეოლოგი ოთოფრაფიით, ხოლო დეგუ გაიკვეთულია ბიბლიურ მეფესთან და პატრიარქთან. მართლაც, ეკიპაჟი - რომელიც ახლა ერთი კილითაა გაერთიანებული - მთელ მსოფლიოს მოიცავს. ესაა „ანაკურის კლორტის დემუტაცია დედამიწის ყველა კუნძულად და ყველა კუთხიდან...“. კლორტის იყო გერმანელი კაცი, რომელმაც 1790 წელს საფრანგეთის ეროვნულ კრებაზე მიიყვანა განსხვავებული რასებისა და ეროვნებების წარმომადგენლები, რაც სიმბოლურად განასახიერებდა საფრანგეთის რევოლუციის მხარდაჭერას მთელი კაცობრიობის მიერ.

რაც შეეხება ვეშაპებზე ნადირობის მიზანშეწონილებას, მელვილი მას მიიჩნევდა არა მკვლელობად, არა უთანასწორო ბრძოლად და სასაკლადო, არამედ - ძნელ და საშიშ მეტაკებად ნადევთან, რომელიც შეიძლება გახსნატეს და თავი დაიხსნას, ან მოატყუოს, დაასახიროს, დახოცოს თავდამსხმელები. თუმცა მელვილს „არასოდეს უსროლია შარპუნი“, როგორც ერთხელ განაცხადა ბარი ლოუესმა (მიუხედავად იმისა, რომ რომანისტმა აცნობა გამოცემელს, ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მეშარპუნედ ვეშაპობდი), მაგრამ მან კარგად იცოდა, რას ნიშნავს ველბოტზე მენიჩბედ მუშაობა. ნახეთ მისული (1847 წლის) ემოხილვა ჯ. როს ბრაუნის წიგნისა „ჩანახატები ვეშაპებზე მონადირე გემით ცურვის დროს“, სადაც ის იხსენებს მენიჩბეობის საშინელ გამოცდილებას: „ვეშაპმა წყალი აქაფა. შუბები და ბანრები ტალღებში დაცურავდნენ. „ნისლი, გრუხუნი, - ბგერებისა და ხატების საშინელი ნაზავი...“. ჩვენ არ გვითხოვენ შევიბრალოთ ვეშაპი. არც აქ და არც რომინში. დაიღუბა თუ არა ის? ვერ, ამბობს ისმაველი (თავი 105), „მარადიული ვეშაპი გადარჩება, ეკვატორული ტალღის ქიმზე აცურდება და თავის აქაფებულ გამოწვევას პირდაპირ ცაში ატყორცნის“.

მაგრამ ცოტათი ქვემოთ (96-ე თავში), გულგრილად ვერ აღვიქვამთ ზუნების წინააღმდეგ წარმოებულ ომს, რომელსაც „აუკიდი“ ეწევა. ის, რაც უნინ გვეჩვენებოდა ნადირობის ეპიკურ აღწერად - ორივე მონიშნაღმდეგის მიქინვარე, სისხლისმღვრელი, უმოწყალო ბრძოლად, მაგრამ ამასთანავე, სახელოვან და ღირსეულ საქმიანობად - ინდუსტრიული ჯოჯოხეთის, ცეცხლოვანი მსხვერპლშემიწვის შემზარავ სურათად იქცევა. ვეშაპის ქონის გადაშეშავება საშინელ დაბინძურებას იწვევს:

„სამწუხაროა, რომ ვეშაპს არ ძალუძს საკუთარი კვამლის დაყნოსვა არადაც ამ კვამლის დაყნოსვა საშინელებასა და მინც, ამ კვამლით სუნთქვა გვიხდება. რა გაეწყობა! გარკვეული დროის განმავლობაში მასში იმყოფებით... ისეთი სუნი აქვს, როგორც განითხვის დღის მარცხენა ფრთას და იგი ჯოჯოხეთის არსებობას ადასტურებს.“ ეს სურათი ეხება არა მარტო ვეშაპის ქონის გადამშეშავების ტექნოლოგიას, არამედ - ზოგადად, ორთქლით მომობას, ნავთობის წვას, სასიკვდილო საფრთხის შემცველ ინდუსტრიებს, რომელთა კვამლი და ჭყარტლი მომწამვლელია. ისმაველი საჭესთან დგას და ამ ჯოჯოხეთში არც კი ახსენდება აქაბი: „ააღბულელი გემი წინ მიიწევდა, თითქოს უმოწყალო ძალა გაეგზავნა ურის საძიებლად“. ვფიქრობთ, რომ ორი მომჭირნე კომერსანტი, ვილდადი და ფალეკი, რომლებმაც ეს გემი გაგზავნეს, შურისმაძიებელი კვაკერები“ იყვნენ. მელვილი იცის, რომ ახალი ინგლისის კლვინიზმი, თავისი სიმკაცრის მიუხედავად, არ ეწინააღმდეგებოდა კაპიტალიზმის უღმობილობას: წინ, ქრისტეს მემორებო, საბრძოლველად გაემურეთ! „ქარს კვამლის პირქუში ბოლქვები მიპქონდა“, - ამბობს ისმაველი და ხცდავს ეკვლა მეზღვაურის - მამაცი მეშარპუნეების ჩათვლით - ჭყარტლითა და ოფლით დაფარულ სახეებს. ეს აპოკალიფსური ხილვაა:

„ქარი ყმობდა, ზღვა ევლავდა, ხომალდი ტალღებში ყვინთავდა და კეცესოდა, მაგრამ განუწყვეტლები მიჰქონდა წინ თავისი წითელი ჯჯოჯოხეთი ზღვისა და ღამის წყვდიადში, ადგებით ღეჭავდა თეთრ ძვალს და შრისხანედ ისროდა ხახიდან თეთრ ქაფს, - და მაშინ ცეცხლითა და დამწვარი ლეშით დაძმობიებული „პეკოლი“, რომელსაც წყვიდაის სიმავეში მიჰყავდა ველურები, თითქოს მისი შემსლილი მეთაურის სულის მატერიალური ხორცმსხმა იყო“.

ყურადღება მიაქციეთ, როგორ ენაცვლება ხომალდი ლევითანს, აგდებით ღრუნის თეთრ ძვალს - გაუმძღარი ვეშაბი, ნაცვლად პატიარა ველობრცხა - და გაბოროტებით ისჯის ხახიდან იმას, რასაც ანადგურებს. აქედან შეიძლება დავინახოთ აქაბი ინდუსტრიული და მექანიზებული სურათების თვალსაზრისით: თუჯის მოაჯარი, ხეულის ხელოვნურად დამზადებული ნახილები, ხისგან გამოთლილი ნივთები, ჩაქუჩი და სამქალაი.

ამ (96-ე) თავში ახასული წინახსარმეტყველები გარდუვალია, თანამედროვე ინდუსტრიული კაბიტობში საკუთარი უღმობიო ძალაუფლებით იკვებება. მას წარმართავს თვითგანადგურებით სკენ ლტოლვა, რომელიც ჩეკიც ვაგვანადგურებს. ყველაზე გავლენიანი ეკოლოგიური ნაშრომებიც ამჟამად ამოკალიფიური ხასიათისაა - „ბუნების დასასრული“ (მაკიკონი), „სიცოცხლის მომავალი“ (უილსონი), „მზის სრული დაბნელება“ (დილარდი), „უტყვი ბაზაფხული“ (კარსონი), „სამყაროს განსაცდელი“ (გულაი) - და ამავე მსუხუბეთი.

რა შეიძლება ითქვას თვით მობი დიკის შესახებ? შეიძლება თუ არა, რომ რეალური ცხოველი განვიხილოთ ყოვლგვარი ალექტრიკების და სიმბოლიკის, ცოლრნებისა და დემონიზების, იმ მნიშვნელობათა გარეშე, რომელთაც ადამიანის ემოციები - მავლითად, აქაბის შრისხანება - მიანერს მას? ეს პრობლემა გონივრულადაა შეჯამებული ზევის კომენტარში, „დუბლონში“ (თავი 99-ე): „ამ ჰებდავ, შენ ხედავ, ის ხედავს: ჩვენ ვხედავთ, თქვენ ხედავთ, ისინი ხედავენ“. ყოველ ადამიანს მოვლენების საკუთარი ხედავა და საკუთარი გაგება აქვს, და არ არსებობს არავითარი ობიექტური ჩემპარტიტება. მიუხედავად ამისა, რა შეიძლება გავყოთ თვით ცხოველის შესახებ? როდესაც ისეკება თხრობა მობი დიკის შესახებ (41-ე თავში), ისმაელი ხაზგასმით აღნიშნავს ცხოველის შემამარსებელ გონიერების:

„ეს ვეშაბი უჩვეულო ზომებით, საოცარი ფერით და დედორმირებული ქვედა ყბით კი არ იხვევდა შიშს, არამედ უმაგალითო, ჭკიანური ბოროტებით, რომელსაც იჩენდა ადამიანებზე თაფლასხმისას. განსაკუთრებულად საშაში იყო, როდესაც მზაკერულად უკან იხვედა. თავდაპირველად თავს ისე იკატუნებდა, თითქოს, შემინებული, თავის მოზიემ მდევარს გაურბოდა, მაგრამ შემდეგ უეცრად ბრუნდებოდა, მის შესახებდრად მოჰქროდა და ან სრულიად ანაფოტკენდა მდევართა ველობტს, ან გემისკენ მიათრევდა, რაც ეკიპაჟს პანიკაში აგდებდა“.

ვეშაბის მზაკერობა და ბოროტება კვლავ მჟღავნდება, როდესაც ვგებულობთ, რაოდენ იოლად ნა-

ავალა მან აქაბს ფეხი: „არც ერთი რიდემოხვეული ოსმალი, არც ერთი დაქირავებული მკვლელო-ვენეციელი ან მალაელი არ დაესმობდა თავს უფრო მეტი ბოროტებით“. მაგრამ ამგვარი დახასიათება ამკარად ვგვიძლებს, ვადავიანზროთ ბოროტების ცნება. შეცვალეთ ათვისის ნურტილი და ეს ნათელი გახდება. ვანა შეიძლება არ გაბოროტდეს, თუკი - წლიდან წლამდე - ბოროტი ადამიანები ნვეტიან შეუბებს გვეგრიან და ცდილობენ მოკვლან? ვანა შეიძლება, თუ გონიერი ხარ, არ ეძებო საშუალებები მტრების მოსაწყუებლად? მოკლედ, ვანა შეიძლება, არ გამოიყენო საკუთარი გონებრივი შესაძლებლობები? მეღვილი ხაზს უსვამს ამ ირონიას ფარული ალუზიით შექსპირზე, „თავს რიდემოხვეულ ოსმალზე“, რომელსაც ოტელი ახსენებს თვითმკველელობამდე:

*როცა ალებოში ოსმალი ვინმე
თავს რიდე-დგმული, სიამაყით ვულზედ მოსული
კენეციელსა სცემდა ერთსა და მის ქვეყანას
უშკერის სიტყვით ავინებდა -
მივწვი მე ყელში იმ ქოვას ძალსა
წინ-დაცკეითილსა და დავკალ ასე...*

ბოროტი მტერი - ბარბაროსი ოსმალი - მობი დიკი კი არაა, არამედ - აქაბი, რომელიც პირველად გადავიდა მტრელებზე.

სტარბუკი რომანის ერთადერთი პერსონაჟია, რომელიც (რა თქმა უნდა, სამართლიანად) ედავება აქაბს მის შურისძიებასთან დაკავშირებით, („შუა-გემბანი“, თავი 36). განვიხილოთ როგორ მსჯელობს ის მობი დიკის შესახებ:

„უტყვე ცხოველზე იძიებ შურს, აქაბ?... არსებაზე, რომელიც ბრმა ინსტინქტის კარნახით დაგებსხა თავს? რა სისულელეა! უტყვე ცხოველზე განრისხება მკრეხელობაა“.

განმეორებული უტყვე (dumb) - მეტყველების უნარის არქმუნა - თავისი მნიშვნელობით ახლოსაა „stupid“-თან ან „slow-witted“-თან. აშკარაა, რომ სტარბუკი ქედმაღლურად მოიხსენებს ცხოველს, როგორც „უგუნურ არსებას“, რომელსაც მხოლოდ „ბრმა ინსტინქტი“ ამოძრავებს. მაგრამ რომანში სხვა თვალსაზრისია წარმართიული. ისმაელი უკვე აღიარა მობი დიკის „უმავალითო“ ინტელექტი და ბოროტება 41-ე თავში; ის ამ თემას უფრო დეტალურად უბრუნდება 48-ე თავში („ფიცის დადება“), სადაც წინახსნარ განქურავს რომანის კულმინაციას. ისმაელი აცხადებს, რომ კაშალოტს „საკმარისი ძალა, საკმარისი უხარი და ავად მომართული გონიერება აქვს, რათა გასზრას შეანდროოს, ვანა-დადგროვდეს და ჩაიძროს დიდი ხომალდი...“. ის ხშირად თავს ეხსმის და მისდევს ველობტებს ხომალდამდე და ხომალდებსაც მისდევს. „თვით დაჭრილი კაშალოტიც, - ამბობს ისმაელი, - როდესაც გონს მოდის, ბრმა რისხვის ზეგავლენით კი არ მოქმედებს, არამედ გააზრებულად, ბოროტი განზრახვით და ცდილობს დაღუპოს მოსინაღამდევე; დამახასიათებელია, აგრეთვე, რომ როდესაც კაშალოტს თავს ეხსმინა, ის ხაზას აფჩენს და რამდენიმე წუთის განმავლობაში ასე გამოხატავს თავის მუქარას“.

ველური ცხოველების თანამედროვე მკვლე-



რებმა მძვინვარების ეს გამოვლინება შეიძლება წინახსნარ გათვლილ სტრატეგიად მიიჩნიონ - შეამინთ თქვენი მტერი და შეძლებთ თავიდან აიცილოთ თავდასხმა და დაზარალების რისკი. მეღვილს შენიშვნაში მოჰყავს ნანყვეტი ოუენ ჩეიზის წიგნიდან „აბაჰი ვეჰამჭყერი „ესკესისა“ (1821), რომელიც აღწერს ილია, როგორ გაანადგურა კაშალოტმა გემი: „აშკარა იყო, რომ კაშალოტი ვაზრებულად მოქმედებდა. ის ორჯერ - მოკლე პაუზებით - თავს დაესხა ხომალდს და ორივეჯერ მისი დარტყმების მიმართულება იმგვარად იყო გათვლილი, რომ ჩვენთვის შეძლებისდაგვარად მაქსიმალური ზიანი მოეყენებინა... საზარელი შესახედავი გახლდათ და ეტყობოდა, რომ გააფორებული და აღმოუბნებელი იყო. ის ჩამოშრდა თავის გუნდს, რომელსაც ცოტა ხნის წინ დაეწიეთ და საი ვეშაბს ჰარბუსი ვტყორცნეთ. თითქოს შურს იძიებდა მათი ტანჯვის გამო“.

ჩეიუს კარგად ესმის, ვინ გამოიწვია მრისხანება და რატომც ის სამართლიანი. ის იმდენად იღბლიანი არ გახლდათ, როგორც ისმავლი იყო და ვეშაბის თავდასხმის შემდეგ ნაჰში, ღია ზღვაში რამდენიმე კვირა გაატარა, ისე, რომ ველარაფრზე ველარ ფიქრობდა, ვეშაბის საშინელი გამოიმეტყველებისა და მისი შურისძიების გარდა“ - აი კიდევ ერთი ძველი მეზღვაური.

შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ვეშაბის თავის დამანგრეველი ძალა აღემატება მისი თავის ქალის მოკულობას. თანამედროვე მეცნიერება ადასტურებს იმას, რაც მეღვილმა ემპირიულად იცოდა: კაშალოტს უზარმაზარი ტვინი აქვს, დედამინის სქვიდრთა შორის ყველაზე დიდი. დაფორდით, „მოზი დიკს“ რამდენი თავი ეძღვნება ვეშაბის ტვინს, რომელიც მოიცავს მისი სხეულის მესამედს - ესაა სტინქსი, ეგვიპტური პირამიდა, პერიია, უფსკრული, რომელიც ვიძირებით და წიაღი, საიდანაც გამოვდივართ, ძვირფასი ამბრის წყარო, თვით ბუნების ტვინი. მისი შუბლის ნაოჭები ზუსტად შეესაბამება აქაბის ნარბებს. ის, ერთგვარად, მისტიკურად უპირისპირდება აქაბს, ან, უფრო ზუსტად, შეურაცხყოფს მას თავისი გასაოცარი ინტელექტითა და სრული იდუმალებით.

მაგარი დევნის უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში ისმავლს არავინ შეურაცხყოფს. ბოლოს(თავი 133-ე) ის ახლოდან ხედავს მოზი დიკს ვეშაბთან მეკარპუნეთა შეუმჩნეველი პირველი მიახლოებისას და განცვიფრებული უშფოთველი სილამაზითა და ჰარმონიით: მის ირგვლივ ყველაფერი „თვალისმომჭრელია“, „უღურტულებს“, ნაზია, ხალისიანი და ანკი. „მზიარულად და ლაღად - ძლიერი არსებობისთვის დამახასიათებელი სიზნანით, რომელიც ეღვისებრ სწრაფ მოძრაობაშიც კი იჩინდა თავს - მისრიალებდა ტალღებზე ვეშაბი“. ესაა ისმავლის მიერ აღქმული მზიარულება ცხოველისა და არა საკუთრივ მოზი დიკის მზიარულება. „ის არ იყო ზევისი, არც უზუნაესი მეუფე! მაგრამ სახელგანთქმული ღვთაებრივი თეთრი ვეშაბი არანაკლებ დიდებული იყო!“

მეღვილის ენა იმგვარია, რომ მწერალი უთუოდ უნდა მივაკუთვნოთ უდიდეს პოეტებს, რომელთაც

კი ხოტბა შეუხსამთ ბუნებისთვის. ესთეტიკური რეაქცია, აღტაცება - იქნება ის გამოხატული პოეტური ფორმით თუ არა - მთელი თანამედროვე ეკოლოგის არსებითი კომპონენტია, რომელიც მართოდენ ესთეტიზმად არ უნდა მიიჩნიოთ. ბუნებრივი მშვენიერებისკენ ღლოლვა თვითგადარჩენის ინსტიქტია, და არა მხოლოდ პოეზია. აი ორი არსებითი მაგალითი არაპოეტური სფეროდან: ოღდო ლეოპოლდი ამტკიცებს, რომ მინის გამოყენებასთან დაკავშირებული არავითარი გადაწყვეტილება არ იქნება ნარმატივული, თუკი უგულბებლავით მის ესთეტიკურ ასპექტს. ი. ო. უილსონის თქმით, ადამიანის სწრაფვა სილამაზისკენ წარმოადგენს ჩვენი დეკ-ს ნაწილს, არსებობს იმის შესაცნობად, რის მეშვეობითაც შეეძლება გადარჩება. უილსონს შემოუბნეტს ტერმინი „ბიოფილია“, მაგრამ ისმავლსა და სხვებს მისი მნიშვნელობა გაცილებით ადრე ჰქონდათ გააზრებული. მაგალითად, დარვინი, თავის დასკვნაში, რომელიც „სახეობათა წარმოშობას“ ერთვის, წერს:

„დიდებულია შეხედულება, რომლის თანახმად, სიკოცხლე მისი სხვადასხვაგვარი გამოვლინებითი საშეარის შემოქმედმა თავდამპირვლად შთაბერა ერთ ფორმას ან ფორმათა გარკვეულ რაოდენობას; და იმ ხნის განმავლობაში, რაც ჩვენი პლანეტა მზრუნავს მიზიდულობის ურყევი კანონების შესაბამისად, ამგვარი მარტივი საწყისიდან განვითარდა და ახლაც ვითარდება ურაცხელი მშვენიერი და გასაოცარი ფორმა“.

თუ ასეა, მეღვილის ვეშაბი აბსოლუტურად მშვენიერია.

მოზი დიკი, მისი დევნის პირველ დღეს სიღრმიდან ამოცურდება პირდაპირ აქაბის ნავის ქვეშ, თავისი ვეება დაფრინული ხახით. როდესაც აქაბი საფრთხისგან თავს იხსნის, მოზი დიკი... კვლავ იოტაცებს ვეშაბოტს და ისე მოიქნევის, როგორც მზაკვარი კატა - დაჭრილ თავს“. შემდეგ კი ორ ნაწილად გადაკენტება. გასაგებია? ბოლომდე ვერა. მოზი დიკი დაცურავს ნავის ნამსხვრევების ირგვლივ და კუდით აქაფებს წყლის მორევს, რომლის ცენტრს აქაბის თავი წარმოადგენს. როდესაც „მეკოდი“ მათ შორის მოექცევა, მოზი დიკი შტრიალდება და განზე გაცურვდება.

მეორე დღეს მოზი დიკი „სწრაფად ამოდის წყლის ბნელი სიღრმიდან, მთელი სხეულით ხტება მაღალ, ჰაერში, თვალისმომჭრელი ჭაფის მთელ მთას აღმართავს“. სანამ სამი ნავი თავს დაესხმება, ის თვითონ გაეკანება მათკენ და ჰარპუნების თოკებს აბურღავს. დაჭიმული თოკები ახლა ნავებს აქაფებული მორევისკენ ეზიდებინა. შემდეგ ის კვლავ ამოცურდება აქაბის გადარჩენილ ნაწილს და ქვემოდა თავს ისე არტყამს, რომ ნავი რამდენჯერმე გადატრიალდება ჰაერში, სანამ ფსკერთი კვლავ დაეცემა წყალზე. აქაბი და მეზღვაურები წყალი აღმოჩნდებიან. საინტერესოა, რომ მოზი დიკის მრისხანება ახლა უკვე ჩამცხრალია - „ის კმაყოფილია, რომ თავისი სამუშაო დაასრულა“. ვეშაბი, ზოგჯერ მისთვის დამახასიათებელი სიმშვენიერი, დინჯად მიცურავს შორს. ამკრიათ, რომ მან არც ისე რაციონალური არჩევანი გააკეთა, მაგრამ - კეთილშობილური.



მესამე დღეს - მაგრამ უკვე ვიცით, როგორ მოიქცა მობი დიკი მესამე დღეს, როდესაც გემის გვერდით ამოხტა და წყლის ზედაპირზე, თავისი „მარმარილოსებრი სხეულის ირგვლივ, რძისებრ თეთრი ნრუები დატოვა“. ის თითქმის აღწევულოდ გულგრილი იყო, როდესაც აქაბმა „საძულველ ვეშაპს თავისი უმთხილო კაუჭი და კიდევ უფრო მხარე წყველა“ ესროლა. მობი დიკი აქ რაციონალურ გადაწყვეტილებას იღებს - თავს ესხმის თვით გემს, შეანგრევს მის მარჯვენა ბორტს, - ისმავლის თქმით, „ეტყობოდა, რომ სამაგიეროს მიზღვის, სწრაფი შურისძიების სურვილი და მარადიული ბოროტება ამოძრავებდა“. კვლავ უძრავად დანვა ტალღებზე. დამშვიდა? მაგრამ როდესაც აქაბმა ვეშაპს უკანასკნელი კაუჭი და უკანასკნელი წყველა სტყორცნა, მოხუც კაპიტანს თოკის მარჯუელი კისერზე შემოეხვია და უფსკრულში ჩააოროა. გაუჩინარდა მობი დიკი. თავდამხმელთა უმთხილო ბოროტების გათვალისწინებით, ვფიქრობ, ის საკმაოდ კარგად იქცეოდა.

შეიძლება თუ არა, რაიმეხაირად განვმარტოთ აქაბის ქცევა თანამედროვე ეკოლოგიის თვალსაზრისით, ან უფრო ღრმად ჩავხედოთ ბუნებას? განვიხილოთ ედვარდ ებს არგუმენტი. ის, „უღაბნოს განდევლის“ წერისას (1968) მიზნად ისახავდა რადიკალური ექსპერიმენტის ჩატარებას.

„აქ [წვეადის უღაბნოში] ექიმოვები არა მარტო იმისთვის, რომ გავეცქერე კულტურული საზოგადოების ხმაურსა და სიბანძურეს, არამედ - იმისთვის-

აც, რომ პირისპირ წარვეუდგე - დაუყოვნებლივ და უბრალოდ, თუკი ეს შესაძლებელია - ყოფიერების მიშველ სხეულს, ელემენტარულსა და ფუნდამენტურს, საფუძველს, რომელიც ჩვენ უზრუნველგვცოფს. მინდა დავაკვირდე ღვთის ბუჩქს, კვარცის ნატებს, გრიფს, თობობს და ვახიბ როგორია თითოეული მათგანი თავისთავად, ისე, რომ უკუვაგდო წინასწარი წარმოდგენები მათი თვისებების შესახებ... პირისპირ შევხვდე ღმერთს ან მედღუზას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს საფრთხეს შეუქმნის ყოველივე ადამიანურს ჩემში“.

მას სურდა ჩასწვდომოდა ბუნებას ისევე ღრმად, როგორც მელვილი ჩასწვდა, პირისპირ წარსდგომოდა ისე, რომ სიყვარულს ან სიძულვილს არ გაეზუნდოვანებინა მისი თვალთახედვა. განურჩევლად იმისა, იხილა თუ არა ღმერთი ან მედღუზა, ის აცხადებს თავის „შზადყოფნას საფრთხე შეექმნას ყოველივე ადამიანურს ჩემში“. ეს, ჩემი აზრით, აქაბის პოზიციას წააგავს, მაგრამ ებს წყარო იყო პასაჟი „ულოდენის“ მეორე თავიდან:

„მინდოდა, ცხოვრებას ღრმად ჩავწვდომოდი და მისი გულისგული ხელში მომეგვლო, მკაცრად და სპარტანულად მეცხოვრა, რაც სიცოცხლე არ იყო, მისგან გამოშვრდებინა, თავად კი კუთხეში მიმეწყვიდა, მისი ყველაზე უშლელი არსი გამოშვრჩია, ხილი თუ ხელში რამ უზადრუკი შემრჩებოდა - მისი სრული და მულამაზებელი უაზრობისთვის თვალი გამესწორებინა, და ეს აზრგაცლილობა სამყაროსთვის მეცნობებინა; მაგრამ თუ მის სიდიადეს



მივადგებოდი, ცდით და სინჯვით შემეცნო და ჩემს სხვა ნაწერებში აღმეწერა”.

თორი არ ფიქრობდა, რომ უშლელ არსამდე დაცვანილი ადამიანის სიცოცხლე გამოერჩია, მაგრამ სურდა ემპირიულად გამოეცნა ის. თუ ექსპერიმენტი დადასტურებდა ბუნების უზადრუკობას, მაშინ ის ამას ამოელს ქვეყნიერებასაც ამცნობდა”. თუ ბუნება სრულყოფილი აღმოჩნდებოდა, როგორც თორი ფიქრობდა (ემპირიის ზეგავლენით), ამასაც გაუცხადებდა ყველას. ახლა მივუბრუნდეთ აქვს. მასაც სულს გაიაზროს, რა არის არსობრივად ჭკუმაღრიტი იდეაში ღვთიური შემოქმედების უსახებ. შუაგებმანზე ის ეუბნებდა სეარაბას, რომ ხილული საგნები ოდენ მუყაოს ნიღბებია, რომელთა მიღმა ის გრძნობს მიუწვდომელ, მაგრამ გინიერ სანყისს. მას აღიზიანებს კიდეა მიუწვდომელი გონების შესახებ. მაგრამ რაც კიდევ უფრო უარვისია, აქაბი ხედავს ამ სანყისში - სულ ერთია, რას ვუნოდებთ მას, ღმერთს, ბუნებას თუ მობი დიკს- „მრისხანე ძალას, რომელსაც იდუმალი ბოროტება სწევთა”. ამ ბოროტებას აქაბი წინ აღუდგება, იმ შემხვევაშიც კი, თუ ეს საფრთხეს შეუქმნის ყოველივე ადამიანურს მასში. 41-ე თავში ისმავლი ავივნის აქაბის სულიერ ძიებებს და დადასტურებს, რომ აღიარებს და, შესაძლოა, ინონებს კიდევ მათ მოტივებს:

„თეთრი ვეშაბი ედგა თვალწინ, როგორც ბოროტი ძალა, რომელიც სულს უღრღნის ზოგიერთ ღრმად მგრძნობიარე ადამიანს, ხანამ ნახევარი გულისა და ნახევარი ფილტვის ამარა დარჩებიან. ეს იდუმალი ბოროტება, რომელიც ოდითგან არსებობს... ყოველივე, რაც აბრუვებს და აწამბებს გონებას; რაც ამღვრავს და აბუნდოვანებს საგანთა არსს; ყველა მავნე ჭკუმაღრიტება, ყოველივე, რაც წყვეტს ძარღვებს და ახმობს ტვისს; სიცოცხლისა და აზროვნების მთელი ეს ფარული დემონიზმი; მთელი ბოროტება შემოილი ქაბის ცნობიერებაში ხილული და შურისძიებისთვის ხელმისაწვდომი ვახდა მობი დიკის სახით”.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მღელილი თორი უფრო შორს მიდის: სააშკარაზე გამოაქვს როგორც ბუნების უზადრუკობა, ისე მისი სრულყოფილება. რა იქნებოდა, თორის რომ ემოვა ჭკუმაღრიტება, რომელიც ბოროტება იქნებოდა? არის თუ არა ბოროტება ან სიკეთე ბუნებაში? რაიმეზიარო ბოროტება? რა იქნებოდა, მას რომ აეტანა იობისებრი განსაცდელი ან დაუმსახურებლად ეტანჯა, რომ არაფერი ვთქვათ შინაური და გარეული ცხოველების ხვედრის შესახებ? აქაბისთვის „ჭკუმაღრიტებას საზღვრები არა აქვს” და, შესაძლოა, ეს მოკრძალებული საყვედურიც ჭკუმაღრიტების უფრო მარტივი მასივებისთვის, მაგალითად, ებისა და თორისთვის. „მობი დიკი” არ გვარწმუნებს, რომ ბუნება მზარს დაავიჭრს, განგვეკურნავს ან გვაწუგეშებს; ამ წიგნის მიხედვით, ბუნება შეიძლება ბოროტად მოგვეჩვენოს, თუმცა მას არასოდეს არავითარი მიზანი არა აქვს. ამიტომ, შესაძლოა, „მობი დიკი” მართლაც არის, ენი დილარდის თქმით, საუკეთესო წიგნი, რომელიც კი დაწერილია ბუნების შესახებ.

ახლა დასკვნის სახით ამერიკული სიბრძნის შესახებ, რომელიც რომანის ეპილოგშია მოცემული. რა სერიოზუნი გედააქონდა ქიქიქეს ესოდენ გულმოდგინედ თავის კუბოში, რომლისც ისმავლია თავი დაისხნა? „გროტესკული ფიგურები და ნახატები”, შესაძლოა, რომელიც ან გარდაცვლილი წინასწარმეტყველისა და ნათელმხილველის” ნამუშევარი, ფიქრობს ისმავლი. შესაძლოა, ეს იყო „კოსმოგონიური თეორია”, ამოუსხნელი ამოცანა, რომლის ნაკითხვა „თვით ქიქიქესაც არ შეეძლო”. თანამედროვე ეკოლოგიას აქვს პასუხი ამ კითხვაზე, რომელიც, ჩემი აზრით, მეგელიოსთვის ვასაგები იქნებოდა. მას შემდეგ, რაც თორი 1842 წელს საუბრობდა „ინდიელთა უფრო სრულყოფილი სიბრძნის შესახებ”, ამერიკელი ბუნებისმეტყველნი მიუბრუნდნენ ალტერნატიულ ენებას და ეკრთ მოდებულ „პრომიტიულ” კულტურებს სიბრძნის მოსაძიებლად. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ უკანასკნელი ათწლეულების ორი ავტორიტეტული მოაზროვნე - ლესლი მარმონ სილკო და ნარი ლოპესი. სილკო თავის ესეებზე და მხატვრულ ნაწარმოებებში ამტიკებს, რომ თქმულებები პუებლოს ტომის ინდიელთა შესახებ აკავშირებს მათ მიწასთან და მათივე ტომის ისტორიასთან - ზმირად ძალზე ანეტიკურად, რომელიც კონკრეტულ მთასთან ან მდინარესთან, იმ ცოდნის შენახვის მეშვეობით, რომელსაც ნაყოფიერად იყენებდა მათი მრავალი თაობა. „ოცნებებში არტიკის შესახებ” ლოპესი წერს კანადელი ესკიმოსების „ადგილთან დაკავშირებულ” თქმულებებზე: „ამ მითოლოგიურ გადმოცემებს, ჩვეულებრივ, საგულდაგულოდ უფროხილდეობდენ. (შეიძლება ისე მომხდარიყო, რომ მხირობელი ბოლომდე ვერ ჩასწვდომოდა იმ ამბის სიბრძნეს, რომელმაც არაერთხელ დაამტიკა თავისი ღირებულება...)”. ახლა განვიხილოთ წყარო, რომელიც უფრო ახლავს ქიქიქეის წარმომავლობასთან: მოკენის ტომის მომთაბარე მთევრებზე საუკუნების განმავლობაში ცხოვრობდნენ კუნძულებზე ტალიანდისა და ბირმის სანაპიროებთან. 2004 წლის 26 დეკემბერს, მძლავრი ცუნამის დროს, აზრც ერთი ადგილობრივი მოკენი არ დაღუპულა. ხმელეთზე მყოფნი მყისვე მიხვდნენ, რომ უფრო მაღალი ადგილი უნდა ეპოვათ და ასეც მოიქცნენ. ზღვაში მყოფებმა დაუყოვნებლივ იცნეს უცნაური ამონაბუნკარი და უფრო ღრმა წყალში შევიდნენ თავის გახსნარჩენად. „ჩვენ დიდი ხნიდან ვყვებით ტალის ამბავს”, აუხსნა ერთ-ერთმა მათგანმა სი-ბი-ესის რეპორტიორს, თითქმის აქ არაფერიარა. „დედ ტალას დიდი ხნის განმავლობაში არაფერი უღებოდა და ახლა უნდა დახაყრდეს”. მოკენის ტომის ადამიანებიდან არც ერთს არ ენახა ცუნამი, მაგრამ თქმულებებიდან იცოდნენ, როგორ უნდა მოქცულიყვნენ. რა თქმა უნდა, ზოგიერთი ამგვარი თქმულება ამოჭრილი იყო ქიქიქეის კუბოზე, რამაც ისმავლს გადარჩენის საშუალება მისცა.

წერილი ეძღვნება ბენჯამინ პ. ფლაურის (1962-2012), საზღვაო გეოლოგისა და პალეოკოკანოლოგის ხსოვნას

ბორის კაჩკა

თომას პინჩონის ნაკვალევზე

ლონგ-აილენდიდან ვესტ-საიდამდე



მოდით, გულახდითად ვისაუბროთ. პირველ ყოვლისა, მწერლის გვარი წარმოითქმება, როგორც „Pynch-ON“. მეორეც - ეს გამოჩენილი, უცნაური და ძალზე იდუმალი მწერალი განდევილი როდია. რჩეულთა შორის ის ლალი და მომხიბვლეელია და, მიუხედავად სასაცილო კურდღლისებრი კბილებისა, ქალთა გულთამპყრობელი გახლდათ 30 წლის განმავლობაში (სანამ დაქორწინდებოდა - 1990 წელს), როდესაც სხვადასხვა ადგილას დახეტიალებდა და ხან ვის შეეხიზნებოდა, ხან კიდეც - ვის. ამჟამად ის წარმატებული პიროვნებაა (ე.წ. „იაპი“). ეს აშკარა ვახდება, თუკი პინჩონის ახალ რომანს - „სისხლმდინარე ნაწიბური“ - გამოვიყენებთ იმ კაცის ამუშაინდელი ცხოვრების გასაზრებლად, რომლის ხეტილობა აიძულა ერთი ისტებლიმენტის პირმშომ უგულვებლყო ის; პოსტმოდერნისტი ხელოვანი თავის თავს „კლასიციტს“ უწოდებს; პრომისმოყვარე კაცი ნარკომანია; ერუდიტი ტკბება უწმანური კალამბურე-

ბით; ლიტერატურულმა აუტსაიდერმა ლიტერატურული აგენტი ითხოვა ცოლად; კაპიტალიზმის ამ დაუძინებელმა მტერმა თავისი ვაჟიშვილი კერძო სკოლაში შეიყვანა და დასახლდა ომამდე აშენებულ ექვსსოთახიან (1.7 მილიონი დოლარის ღირებულების) სახლში.

სხვა ცნობილმა თანამედროვე მწერლებმა, მაგალითად, დონ დელილომ და კორმაკ მაკარტიმ შეძლეს თავი აერიდებინათ საჯაროობისთვის, რადგან წამდათ, რომ მათი შემოქმედება მათივე პირად საკმედ უნდა დარჩენილიყო (და ეს მნიშვნელოვანია და შეძლეს კიდეც); ამ მწერლებს არავინ უმიზნებს ტელევიზიულ ტექსტებს, ხოლო სიტყვაძუნწობას მათივე ღირსების გამოვლენებად მიიჩნევენ. მაგრამ პინჩონი, რომელიც წამდებულად კონტრკულტურის წარმომადგენელია - და რომელმაც თავის შემოქმედებით გზაზე უფრო მეტს მიაღწია, უფრო გააფთრებით იბძროდა და უფრო გახელებით მუშაობდა - მათზე უფრო ენიგმური პიროვნება აღმოჩნდა. ის მხოლოდ ახეუდა როდი იგდებს თავის თავყვანისცემლებს, არამედ მკითხველთა მისტიფიკაცისაკენ მიმართავს და ბიძგს აძლევს საკუთარი პიროვნების სხვადასხვაგ-

ვარ ინტერპრეტაციას(შესაძლოა, იმ მიზნით, რომ დაანგრიოს ამერიკელთა ცნობიერებაში არსებული მოდელები გამოჩენილი მწერლის შესახებ). როგორც ამბობენ, პინჩონს სურს, „საკვლევი მასალის უზრუნველყოფის რამდენიმე თაობის მეცნიერები“, მაგრამ მისი შემოქმედების მკვლევრები, რომელთაც ხელმოსაკიდი არაფერი ექნებათ, სტალკერების როლი ამოჩნდებიან. რაც უფრო მეტად გავერბის, მით უფრო მეტ ინტერესს იწვევს - ახლაც კი, 76 წლის ასაკში, ერთ-ერთ რიგით მწერლად მოაქვს თავი, რომელსაც ვერც კი იცნობთ ქუჩაში. თუმცა, ალბათ, ჭორებიც გსმენიათ: პინჩონი ტერორისტი იყო; გამოიძიების ცენტრალური ბიუროს აგენტი გახლდათ; უშვარი ლანძღვა-გინებით აღსავსე წერილები გაუგზავნა ერთ-ერთი გაზეთის გამომცემელს. 1976 წელს მწერალი ჯონ კლევინი ბეტჩლონი გრცელ ესეში ამტკიცებდა, რომ პინჩონი არ არსებობს, ხოლო მისი ყველა რომანი ჯ.დ. სელინჯერმა დაწერა. ოცი წლის შემდეგ ბეტჩლორმა და პინჩონმა გამოაქვეყნეს მოთხრობები ნიუ-იორკის საკათედრო სკოლის (რომელშიც მათი შვილები სწავლობდნენ) საინფორმაციო ბიულეტენის ერთსა და იმავე გვერდზე. მათი სახელები ერთმანეთს გვერდით ეწერა: „ჯონი რომანი-სტია“; „ტომი მწერალი“.

ტომი ჭეშმარიტი მწერალია. სამართლიანად ითვლება, რომ პოსტმოდერნიზმის იდეები სრულყოფილად და მრავალმხრივ აისახა მის მესამე რომანში - „მიზიდულობის ცისარტყელა“, აგრეთვე - სხვა მრავალფეროვან ნაწარმოებებში და კიდევ რამდენიმე ნიგნძი, რომელთაც ის ხალტურას უწოდებს, სხვები კი - დიდი მწერლის მეორეხარისხოვან თხზულებებს. „სისხლმდინარე ნაწიბური“, რომელიც სექტემბერში გამოიცა, არის სიყვარულითა და სიძულვილით აღსავსე დოკუმენტური თორმეტი წლის წინანდელი ნიუ-იორკის შესახებ, რომელიც ინტერნეტ 1,0-მ სთავებ დაუდო 11 სექტემბრის ელვისებურ სწრაფად მომხდარ კატასტროფას. მოქმედება ხდება ნაწილად მზივარ ლონგ-აილენდზე, სადაც პინჩონი ვაიხარდა - მაგრამ ძირითადად ვესეს-საიდაში, რომელიც რომანის მთავარი ქალი-პერსონაჟი „წარმატებულია (იაპუბის)“ რაიონს უწოდებს. და ესაა ნიგნი იმის შესახებ, რაზეც პინჩონს არასოდეს არაფერი დაუწერია: სამშობლოზე.

ბეტჩლორი და პინჩონი ახლა, ალბათ, იცნობენ ერთმანეთის შემოქმედებას (თუმცა, არც ერთი მათგანი არ გამოხატუბურა თხოვნებს ინტერვიუს შესახებ). მაგრამ მათი პირველი კონტაქტი მაშინ განხორციელდა, როდესაც პინჩონმა თავის თანამოქალაქმე ნერილობითი კომენტარი გაუგზავნა მალიბუდად მიღებულ მოთხრობაზე, რომელიც MGM-ის (sic!) ქალაქზე იყო დაწერილი. პინჩონი წერდა: „ზოგიერთ ადგილად დაზაჯერებელია, მაგრამ არც ერთი მათგანი არაა საინტერესო. განაგრძეთ თქვენი მცდელობები“.

„მიზიდულობის ცისარტყელის“ დასაწყისში ტაიროს სლოტორბო სევედიანად ფიქრობს თავისი მდიდარი წინაპრების შესახებ: „ფუკაიებმა, ფულმა და სიტყვამ - ამ სამმა ამერიკულმა ფასეულობამ, ამერიკული მობილურობის მამოძრავებელმა ძალებმა, სამუდამოდ დააკვირა ისინი ქვეყნის ვედიბალთან. მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს... იმაში, რის-

კენაც ისწრაფოდნენ“. ეს თითქოს პინჩონთა საგვერულოს წარმომადგენელთა ზოგადი დახასიათებაა - ერთ-ერთი მათგანის ისტორიული დამსახურება მძიმე ტვირთად დაანვა შთამომავლებს. მომავალი მწერლისთვის ეს სიაპაყისა და სირცხვილის, მაგროდ გადაიქცა.

პინჩონები წარმომავლობით ნორმანდიელ არიან. მათი წინაპარი - გვარად ხონსო - ეილჰოლმ დაპყრობულს გამოჰყვა ინგლისში. მწერლის წინაპარი გახლდათ თომას რაგლზ პინჩონი - ტრინიტი-კოლეჯის პრეზიდენტი, რომლის ოჯახი „პინჩენები“ - აღწერა ნათიანელ ჰოთონონმა თავის „შვიდფერხონიან სახლში“. პინჩონებს შორის იყვნენ ფილოსოფოსები, გეოდეზისტები და რელიგიური მოღვაწეები. ამ რესპექტაბელურ წვრილობურთაბუღ ოჯახში 1937 წელს, ლონგ-აილენდზე, ოსტერ-ბუის მახლობლად, დაიბადა თომას რაგლზ პინჩონი.

მამამისს - ტომას პინჩონ-უფროსს - კარგად ახსოვდა, როგორ ესაღმებოდა ეკლესიაში თავისი მრევლის წევრს, ტედი რუზველტს. ლონგ-აილენდის მოსახლეობის უმრავლესობის მსგავსად, ტომასი რესპუბლიკელთა პარტიის წევრი გახლდათ. მათ კანდიდატს - ეიზენჰაუერს - მხარს უჭერდა ომისშემდგომი ნიუ-იორკის თეთრკანიანი მოსახლეობა. ტომას პინჩონ-უფროსმა, მამამისის კვალობაზე, ინჟინრის პროფესია აირჩია, მაგრამ მოკლე ხნით პოლიტიკურმა მოღვაწეობამ გაიტაცა. ის მუშაობდა ოსტერბუის სუპერინტენდანტის თანამდებობაზე, შემდეგ კი ქალაქის მმართველად (მერის ეკვივალენტური თანამდებობა) დაინიშნა, სანამ ბრალს დასდებდნენ იმის გამო, რომ საგზაო კომპანიას ქრთამი შეაძლია. წინასაარჩევნო კამპანიის დროს პინჩონმა-უფროსმა აღიარა დანაშაული. რამდენიმე ეგზოტიკური მექსიკური მცენარე მაქვს“. - თუხრა მან თავის ბრალმდებლებს, „და დიდი სიამოვნებით დავეცე ერთ-ერთ მათგანს თქვენს პოლიტიკურ საფლაგზე“. შემდეგ ქალაქი 32 წლის განმავლობაში განაგებდა პირველი მერი-დემოკრატი. ამ სკანდალის დროს მომავალი მწერალი ნიუ-იორკში აღარ ცხოვრობდა, მაგრამ საკმარისად კარგად გაეცნო პატარა ქალაქის დიდ პოლიტიკას, რათა თავისი პირველი რომანის (რომელსაც საბოლოოდ „V.“ უწოდა) შესაძლო სახელწოდებად შეერჩია „რესპუბლიკური პარტიის მექანიზმი“. ოჯახის მეგობარი იხსენებს პინჩონებს, როგორც ძალზე წიგნიერ ოჯახს, რომელშიც, წინაპრების პორტრეტებთან ერთად, საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკა ინახებოდა. კვირა დღეებში სამივე ბავშვი სხვადასხვა ეკლესიაში დადიოდა - ზოგი ეპისკოპურ ტაძარში მიჰყვებოდა მამას, ზოგიც - კათოლიკურში - დედას (რომელიც შტატის ჩრდილოეთ ნაწილიდან იყო) - მოგვიანებით კი ერთმანეთს ხვდებოდნენ რომანის სტუქ-პასუსში.

ტომი აწონილი და გამხდარი ბიჭი იყო. რცხვენოდა, რომ წინ გამონული კბილები ჰქონდა. ენა ებმოდ და გოჭუნა პირკი პოვს ანგვასებდა თავის თავს, მაგრამ მისი მეგობარი პინჩონის ახირებული „სოციალური ქვეყნის მიზეზად“ ბიჭის „ძალზე არახელსაყრელ ოჯახურ მდგომარეობას“ მიიჩნევს. თვით პინჩონი თითქმის არასოდეს საუბრობდა თავისი მშობლების შესახებ, განსაკუთრებით, ახალგაზრდობისას, მაგრამ ერთხელ - სამოციანი წლების შუა ხანი-

ბში - ის თავის შეყვარებულთან, მერი ენ თარალდსენთან ერთად ბიგ სურში გაემგზავრა. გზად გოგონამ დაიჩიოდა, გული მრეველია. სურდა, ბართან შეჩერებულიყვნენ და რაიმე სასმელი დალიო, იმ იმედით, რომ მუცლის გვრემა გაუვლიდა. თარალდსენის თქმით, ტომმა გაბრაზებით უთხრა გოგონას, მუადლისას სამსელის დაღვინის უფლებას არ მოგცემო. როდესაც მერი ენმა მიზეზი იკითხა, ტომმა აუხსნა, რომ ერთხელ მივარალმა დედამისმა ტომის მამას თვალის სარეცხის სამაგრით დაუზიანა. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, ამბობს თარალდსენი (რომელიც იმხანად პინჩონთან ერთად ცხოვრობდა), როცა პინჩონმა თავისი ოჯახი ახსენა. „მათთან ყოველგვარი კავშირი განყვეტილი ჰქონდა“ - ამბობს მერი ენი, - „ამგონი, იქ რაღაც უსამიზნებმა შეემთხვა“.

ყმანვილმა პინჩონმა, რომელიც თავგადაკული მკითხველი და ნაადრევად ჩამოყალიბებული მწერალი გახლდათ, სავარაუდოდ, ორი კლასის პროგრამა ერთ ნელნაღმდ დაძლია და უფროს კლასებში გადავიდა. გარეუბნის მცხოვრებისთვის დამახასიათებელი ირონიული დამოკიდებულება მან გამოხატა მახვილგონიერულ პართოდებში, რომლებშიც ქირდავდა სკოლის ხელისუფალთ. ის ფსევდონიმებით აქვეყნებდა ნარკვევებს უფროს კლასების გაზეთში, რომლებშიც აღწერილია, როგორ იყენებდა მასწავლებლები ნარკოტიკებსა და იარაღს და როგორ მიჰყავდა ისინი სიგიჟის პირას მოსწავლეთა ოინებს. ერთ-ერთ მოთხრობაში შემოვრცხენე ავიტატორმა „მთელი დამის განმავლობაში გაგრძელებული საქმიანობის ბოლოს მწარედ იგვმა ხელკეცა“. მოგვიანებით პინჩონი იხსენებდა, რომ მისი პირველი „უგულწრფელის“ მოთხრობა მეორე სოფლიური ომს მიეძღვნა - თუმცა, ამას ერთოვდა ფიქრები იმის შესახებ, როგორი ორიენტირები უნდა შეერჩია ომისშემდგომი ამერიკის ერთფეროვან კულტურას. „იდეალიზმი გამოუსადეგარია“, დაასკვნა მან. „ახსტრაქტული დებულებების ერთგულება ინივეს ისეთ უსიამოვნო მოვლენებს, როგორიც ომებია“.

საინფინრო ფიზიკის - კორნელის უნივერსიტეტის უძნელესი კურსის - დანიშნულებას წარმოადგენდა ცივი ომის დროინდელი ამერიკისთვის ელიტის - საუკეთესო, ბრწყინვალე ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადება. ერთ-ერთი პროფესორი თავის სტუდენტებს „ინტელექტუალურ სუბრმენებს“ უწოდებდა; პინჩონის ძველ მეგობარი დევიდ მეტლიანი კი თანაკურსელებს „ლოგარითმულ ბიჭებს“ ეძახდა. მაგრამ დაახლოებით ორი წლის შემდეგ პინჩონმა დატოვა კორნელის უნივერსიტეტი და დაიწყო სამსახური სამხედრო-საზღვაო ფლოტში. ის წერდა, რომ უნივერსიტეტი აღრიცხვა იყო ერთადერთი საგანი, რომელიც ვერ დაძლია, მაგრამ მას ყოველთვის სჩვენოდა თვითდაკნინება, რათა თავი აერიდებინა კითხვებისთვის. პროფესორები იხსენებენ, რომ პინჩონი წარმატებული სტუდენტი იყო. თარალდსენის თქმით, პინჩონის ინტელექტის კოეფიციენტი დაახლოებით 190 გახლდათ. მაშინ რატომ წავიდა კორნელის უნივერსიტეტიდან? მოგვიანებით ის წერდა, რომ კოლეჯში სწავლისას გრძობდა, თითქმის „სხვა სამაგალი იხმობდა“ - და ამ გრძობაში ყარობდა აქცია - გამუდმებით აიძულებდა, მთელი საიცოცხლის განმავლობაში ამერიკის სხვადასხვა ადგილას ეხეტიალა.

პინჩონს, აგრეთვე, ხიბლავდნენ ტომას ვულფი და ლორდ ბაინერი. სავარაუდოდ, მას სურდა მიეზაბა მათთვის, განეცხადა თავგადასავლები დამოუკიდებლად და არა სხვათა ბრძანებით.

პინჩონი დარწმუნდა, როგორი უნესრიგობა და თავაშვებულება სუფევდა სამხედრო-საზღვაო ფლოტში (რაც „V“-ში ასახა). თვითონ ჩრდილო ყოფნას ამჯობინებდა. სტივენ ტომასკიმ, ბიბლიოთეკარმა, რომელიც ათეულობით წლის განმავლობაში აკვირდებოდა მწერლის ცხოვრებას, ამოვა მხოლოდ რამდენიმე ძველი მეგობარი, რომლებსთვისაც ცნობილი იყო პინჩონის სახელი. „ასე მგონია“ - ფიქრობდა ის ერთ-ერთ მათგანის შესახებ - „რომ ბარსელაში, სადაც მუზეუმები ბარებსა და საარს კოლეჯში დადიან, პინჩონი მოქმედის ხელების თაბაშირისგან დამზადებული ასლის სანახავად გაეშურებოდა“. ყველაფერი აინტერესებდა. მოგვიანებით პინჩონი წერდა, რომ როდესაც სუეცის კრიზისის დროს საზღვარგარეთ იმყოფებოდა, „რომანტიკოსიდან ერთგვარ კლასიცისტად იქცა“; კლასიცისტი კი, მისი აზრით, ისეთი მწერალია, რომელიც ფიქრობს, რომ „სხვა ადამიანები უფრო საინტერესონი არიან, ვიდრე თვითონ და ამიტომ მათ შესახებ წერა უფრო საინტერესოა“. პინჩონის ფლოტელმა მეგობრებმა მითხრეს, რომ ის არ აპირებდა სწავლის გაგრძელებას, მაგრამ ასე მოიქცა, რათა ინგლისური ენა და ლიტერატურა უკეთ შეესწავლა.

„ცოტათი ახირებული კაცი გახლდათ“, ამბობს მისი ყოფილი თანაკურსელი კირკპატრიკ სეილსი. „ახლოს არავის ეკარებდა“. მაგრამ ამ თხისსახიან ინტროვერტს გიტარა შეუყვარდა. მან და სეილსმა დაიწყეს წერა ოპერეტისა, რომელსაც „მენესტრელის კუნძული“ უწოდეს - იმ ადგილის შესახებ, სადაც ხელოვანი გარბოდნენ IBM-ის მიერ მართული „კვადრატული ამერიკიდან“. „ეს რუხი ფლანელის კოსტიუმების საწყარო, მნიშვნელოვანწილად, ჩვენს მომავალ წარმოადგენდა“ - ამბობს სეილსი. - რაც, ის თქმა უნდა, თავზარს გვცემდა“. უთავბოლო მუშაობა მიუზიკლზე წინ უძღვდა პინჩონის გაბედულ მიზანს - აესახა წარმოდგენები და შუშები ადამიანებისა, რომლებიც გაურბიან ყოვლისშინამთქმელ მექანიზმს (რესპუბლიკური პარტიისას, ელექტრონულს, ძირითებურს). პინჩონის მსგავსად, ეს პერსონაჟები, ძირითადად, იმთავითვე წნელობენ ადამიანებ არიან - ოფიცირი სლოთობა; „ლოტ 49-ის გამოცხადება“ იწყება იმით, რომ ოდიშმა მამას ტაპერეუარის წვეულებიდან შინ ბრუნდება - წვეულებაზე მყოფი, მათდა უნებურად, სამხიელი ხილვები გწვევდა.

პინჩონმა ბევრი რამ ისწავლა კორნელის უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის იტე(თუმცა, არ არსებობს არავითარი საბუთი იმისა, რომ მას ვლადიმირ ნაბოკოვს ასწავლიდა). მაგრამ ასევე ბევრი რამ ისწავლა თანატოლებისგან. მის ოთახში ცხოვრობდა მწერალი და მომდრალი რიჩარდ ფარინია, რომელიც პინჩონის უახლოეს მეგობრად და, გარკვეული გაგებით, მის „ალტერ ეგო“ იქცა. ფარინია ძალზე განაფული იყო თვითმითლოვნების ხელოვნებაში. პინჩონმა აღწერა მათი მეგობრობა თავის ერთ-ერთ მივიათ ინტერვიუში - ფაქსით - დევიდ ჰაუდუს კულტურული ბიოგრაფიისთვის „უშუალოდ მეოთხე ქუჩა“. „ის შემოილი იყო,




მე - რაციონალისტი", - წერს ჰაიდუ. - ის საქმით გატაცებული იყო, მე - თავმეკავებული, ის ლმობიერი იყო, მე - ფიცხი". შეცდამაა უთხრა ჰაიდუს, რომ მისი აზრით, პინჩონის „დაფორთოვანებდა რიჩარდის ძლიერი ზეგავლენა ქალებზე". სწორედ ფარინია (და სელი) მონაწილეობდნენ კორნელის უნივერსიტეტში მომხდარ არეულობაში, რომელიც წინამორბედი იყო სამოციანი წლების სტუდენტური არეულობებისა. სტუდენტები კვერცხებს ესროდნენ პოლიციელებს და ქუჩებში დააბარებდნენ პლაკატებს წარწერით: „ბინებში სტუდენტთა წვეულებების ჩატარება ზნეობრივია! აღმზრდელითი დანიშნულება აქვს! აუცილებელია!" პინჩონი - მარადიული დამკვირვებელი და, იშვიათად, მონაწილე - არ შეუერთდა ამ ბოხებულთ.

ფარინიას ერთადერთ რომანში - „თუ საკმარისად დიდხანს ეცემი, ზევით ასვლას შეძლებ" - ეს წლები ასახულია, როგორც ბიტნიკური ამბოხება, როგორც ერთგვარი მითოოპეტური ავტობიოგრაფია, რასაც არ ეთანხმება პინჩონი. მაგრამ ის ახასიათებს თავისი მეგობრის წიგნს, როგორც „სამოცნების აპოთეოზს... როგორც გუნდურ ალილუიას, რომელსაც სასულე საკრავებზე უკრავს 200 ბრწყინვალე მუსიკოსი". პინჩონის აზრით, ესაა ე.წ. „აღზრდის რომანი" კორნელის უნივერსიტეტის ახალგაზრდათა შესახებ, რომლებმაც ისტებლიშმენტს ჰიპების თაობა ჩაუნაცვლეს.

პინჩონმა უნივერსიტეტი წარმატებით დაამთავრა, მაგრამ სწავლის გაგრძელება აღარ მოინდომა.

მან მაშინვე მიმართა ფორდის ფონდს გრანტისთვის, რათა ოპერის ლიბრეტო დაენერა. შესაძლოა, იმის მიზეზი, რომ ათწლეულების შემდეგ მწერალს ამ ფაქტის მიუხედავად სურდა, იყო ქედმაღლური კილო განცხადებისა, რომელიც კონკრეტული პროექტი არც კი იყო წარმოდგენილი, - ან კიდევ იმან, რომ ეს იყო მისი ოცნებების ერთი ნაწილი, რომელიც არ ახდა. 22 წლის ჭაბუკის კონკურენტები გახლდნენ რობერტ ლოუელი და რიჩარდ უილბერი. პინჩონმა აღიარა, რომ გამოქვეყნებული ჰქონდა მხოლოდ ორი მოთხრობა (თუმცა ტრანზახობდა, რომ გამოსაქვეყნებლად გადასცა მესამეც, რომელსაც ძალზე ძალიან შეფასება მისცეს საუნივერსიტეტო ქალაქის გაზეთში), და საკვირველი თავდაჯერებით აღწერა თავისი ლიტერატურული განვითარების ეტაპები: „ტომ ვულფის პერიოდი, სკოტ ფიცჯერალდის პერიოდი, ბაირონის პერიოდი... შენრი ჯეიმსის პერიოდი, ნელსონ ელგრენის პერიოდი, ფოლკნერის პერიოდი" და ა.შ. ის ვარაუდობდა, რომ შექმლი ლიბრეტოს დაწერა მეცნიერული ფანტასტიკის მასალის - შესაძლოა, რეი ბრედბერის „მარსიანული ქრონიკების" - საფუძველზე (პინჩონი ბავშვობიდანვე გატაცებული იყო ამ ჟანრის თხზულებებით). მას ეჭვი ეპარებოდა თავის ვოკალურ ტალანტში, თუმცა „მაქს გიტარა, რომელზეც დროდადრო გასართობად ვუკრავ როკ-ენ-როლს". რაც შეეხება იმას, თუ სად სურდა მუშაობა, „ჩიკაგოში, სადაც ჩემი შეყვარებული სკოლაში სწავლობს".

სიყვარული პინჩონს, შესაძლოა, უქადა იმას,



რაც ნერილობურულად იდეალად მიიჩნედა - მყარ შემოსავალს, ცოლს, საკუთარ სახლს. სკოლის დამთავრებისას მას სერიოზული ურთიერთობა ჰქონდა ლილიან ლაუფგრებადთან. დაქორწინებასაც აპირებდნენ, მაგრამ ლილიანის მშობლებმა ათივალწუნეს არაბერბაელი სასიძო. 1977 წელს ჯვლს სიბერეში „პლენობიში“ გაქორბა თავისი ყოფილი მეგობარი ტომი და გოგონას სახელი არასწორად (შესაძლოა, განზრახ) დაწერა: „ელენ ლანდგრები“. ახლაც კი მხოლოდ ახლო მეგობრებმა იცან პინჩონის სატრფოვოს სამდივლო სახელი. 1962 წელს ლაუფგრები ფსიქიატრზე გათხოვდა. ამჟამად ისინი პინჩონის მახლობლად ცხოვრობენ, მაგრამ არ სურთ საუბარი მწერალთან რაიმეხნარ ურთიერთობაზე). პინჩონმა საცოლესთან დაცლება მოიმიზეზა, რათა არ წასულიყო ნიუ-იორკში, სადაც კორკ სელი ცოლად ირთავდა მათ საერთო მეგობარ ფეისს - „V“-ს პირველი ვარიანტის რედაქტორს. ის წერდა, რომ ლილიანი გათხოვდა „ლაპაზ, პერსპექტიულ სტუდენტ-მედიკოსზე, რეფორმატორული ეკლესიის მრევლის წევრზე. მეყი! აქაურობა შემქმნელ“. სელისა და პინჩონის საერთო მეგობრის, მაიკლ კერტისის თქმით, როდესაც პინჩონმა აღწერა უბრალო ესთერის ცხვირის ოპერაცია („V“-ში), ამის შემეგობით „გაქაქრვა ლილიანის დაკარგვით გამომწვეული სედა“.

პინჩონი, რომელიც ელოდა ლილიანსაც და ფორდის ფონდის გრანტსაც, ნიუ-იორკში ავარიამი მოყვდა და მთელ დღეებს წერაში ატარებდა, ხოლო ღამღამობით - ბიტნიკურ ფანტაზიებში ეფლობოდა, უსმენდა ორნეტ კოლმენს და გამოსაჯანსაღებლად მიწიშუშო ორ ბოთლ ლუდს სვამდა (ერთხელ მარიხუანა გასნიჯა, არ მოეწონა და საშუადაოდ შეიქულა). გრანტი ვერ მიიღო, მაგრამ ბიბლიოპოტის გამომცემლობის რედაქტორი კორკ სმითი დათანხმდა, შეეტანა პინჩონის მოთხრობა - „დაბლობები“ - ანთოლოგიაში. მანვე სურული გამოთქვა, შეესყიდა რომანი, რომელზეც პინჩონი მუშაობდა. პინჩონის ერთგულმა ლიტერატურულმა აგენტმა კანდიდა დონადიომ, კორნელის უნივერსიტეტის პროფესორის დახმარებით, პინჩონს 1500 დოლარამდე გაზარდა, მათგან 500 დოლარი გამომცემლობას ავანსად უნდა გადაეხადა. ამ ფულის წყალობით პინჩონმა შეძლო, დაეტოვებინა ქალაქი.

პინჩონის ლო კორნელი მეგობარი - მისი მომავალი შეყვარებული მერი ენ თარალდსენი და მერი ენის ქმარი, დევიდ სიდლერი, სიეტლში დასახლდნენ და სთხოვედნენ პინჩონს, მათთან ჩასულიყო. თარალდსენის თქმით, სიეტლში ჩასული პინჩონი ღრმა დეპრესიას განიცდიდა. მერი ენი „ბონიგის“ კომპანიაში მუშაობდა და შესთავაზა ტომასს, დაეწყო სამსახური ამავე კომპანიაში, რაც ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენაში მდგომარეობდა. ავიაციური მრეწველობის ამ გიგანტში იზხანად მიმდინარეობდა ბალისტიკური რაკეტების - მინითხუნების კონსტრუირება. ალბათ, სწორედ ამიტომ მოხდა, რომ პინჩონმა წლების შემდეგ „მიზიდულობის ცისარტყელაში“ (რომელშიც მოვლენები მორე მსოფლიო ომის დროს ვითარდება) რაკეტის გასროლის შემეგობით მძაფრ საშიშროებაზე მიგვანიშნებს (პინჩონის შემოქმედების კვლევისას ერთ-ერთ სასიაშოვნო ფაქტორს წარმოადგენს დაკვირვება შორეულ კავშირებზე მის

წანარმოებებსა და მისხავე რეალურ გამოცდილებას - NSA-ში მუშაობას; მექსიკაში შარლ დე გოლის ნახვას; 1972 წელს პრმიტული მუსიკალური სინფონატორით გართობას შორის).

ერთი კოლეგა იგონებ, რომ სამხსაურში პინჩონი ფიციხე და გულმთხრობილი იყო. მან გაავრძელა „V“-ზე მუშაობა კონტრაქტზე ხელის მონერდნ წელინად-ნახვერის შემდეგ, როდესაც ამიწურა მისი სამსახურის ვადა. რამდენიმე თვის ინტენსური მუშაობის შემდეგ მან აილო თავისი 1000 დოლარი, დატოვა „ბონიგი“ და დაიფიცა, რომ კომპანიაში აღარ დაბრუნდებოდა. თავის საქციელს „ფულისგან გაქცევა“ უწოდა, გადაწყვიტა, ეს უკანასკელი შემთხვევა ყოფილიყო მის ცხოვრებაში - და კვლავ ხტიალი დაიწყო. ამჯერად მექსიკაში გაემგზავრა.

მისი მიზანბრობია მსოფლმედეველობად იქცა. პინჩონმა მისწერა სიელის, სიეტლი კომპანიაში ქალაქისი. „უკაცრიელი რომ ყოფილიყო, უკეთესი იქნებოდა“. მომდეგენო წერილში ჩიოდა, რომ ბონიგის საკონფერენციო დარბაზში შეკრებილი „ათი მეტნაყვება ინდივიდუალური ადამიანი... სრულხდა ნახვად - ჟურნალად იქცა“. მის წერილებსა და წიგნებში ისხსა დაძაბული, წინააღმდეგობრივი მარათება ცალკულ ადამიანებსა და ჯგუფებს, ინტენსური ცნობისმოყვარობასა და უკიდურეს იმედგაცრუებას შორის. ის მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაურბოდა ბრბობებსა და ქალაქებს, შორიანხლოდან აკვირდებოდა კულტურებსა და საზოგადოებებს, შემდეგ კი უღმობლად დასციწონდა მათ (მეგობრები აღწერენ პინჩონს - პირადადაც და წერილობითაც - როგორც იმიტაციის უბეალო ოსტატს). იგი იშვიათად ეცითხება თავის თავს, რატომ იქცევა ამგვარად. სიელი მოგვიანებით ჩააცვდა მას, ნუთუ მექსიკაც გაქულსო. „ის რაც მქულს, შიგნითა და არა გარეთ“, - უშასაუბა მწერალმა. - „და ეს სიკვდილისკენ ლტოლვა“.

მცირეცხოვან საჯარო გამოსვლებში პინჩონი რეაგირებს ცნება „განდეგოლზე“ ან გამომწვევი უარყოფით („განდეგოლი“ კოდური სიტყვაა, რომელიც აურხალისტებმა გამოიგონეს... და რომელიც ნიშნავს, რომ არ მსურს აურხალისტებთან ურთიერთობა“, უთხრა მან CNN-ის რეპორტიორს), ან თვითნაქიქებით („ბოლოს და ბოლოს ხომ გადაიღეთ სურათი განდეგოლი ავტობუსი ერთად!“ უყვარა მან აურხალისტს, როდესაც „სიმპსონებში“ მონაწილეობის მისაღებად მიდიოდა). მან განდეგოლობის გამომცემლება მიიღო მექსიკაში, რაც დიდად არ განხებავდებოდა სელნიფერესული განდეგოლობისგან; მაგრამ პინჩონი ძალზე მოუსვენარია და ძალზე უყვარს დეენის სცენები; დეენა თითქოს რეალურ ცხოვრებაში იც სჭირდება; ვაუნურეკლად იმისა, მდეგარია თვითონ თუ დეენილი.

1963 წელს გამოქვეყნებულ „V“ თავისი დროსთვის იყო სმოცრად პოლიმორფული რომანი, ორი მთავარი გმირი: ბენი პროფიცილი იო-იოს მსგავსად დახტის და შემდეგ საწყის პუნქტში ბრუნდება; შერბერტ სტენსილი ემიკური მაქებარია იდუმალი, ფარული ნესრივისა, რომელიც წარმოადგენილია სათაურში - „V“.

პინჩონი ნომინირებული იყო ეროვნულ ლიტერატურულ პრემიაზე, დააჯილდოვდა ფოლკნერის

პრემიით საუკეთესო დებიუტისთვის, მაგრამ პრესა სიცოცხლეს უწამლავდა. სივლით მან ნერილობით აუნერა, როგორ სიაშოვნებთ (და გულისტკივილით) გაეცქა „თაიმისა“ და „ლაიფის“ რეპორტიორებს მექსიკო-სიტში. პინჩონი შინიდან გაიპარა, მისმა დაიასახლისმა კი ჟურნალისტებს აუწყა, არაფერი ვიცი, თავი დამანებეთო; მწერალმა ორი დღით თავი შეაფარა სასტუმროს, ხოლო მოგვიანებით მალულად ნაშრომი თავისი ნივთები და გუანახუატოში გაემგზავრა. ის ეჭვობდა, რომ ყოველივე ამასი „ლიპინფინკი“ იყო დამნაშავე.

საბედნიეროდ, რიჩარდ ფარინია მალე უნდა დაქორწინებულიყო ცნობილი მომღერლის დაზე, მიმი ბაუზე. ავეისტოში პინჩონი ავტობუსით გაემგზავრა კალიფორნიაში, რათა თავისი მეგობრის მეჯვარე ყოფილიყო. ფარინია ისვენებდა პინჩონს, რომელსაც თავი ჰქონდა ჩარგული *Scientific American*-ში, სანამ, ბოლოს „დაუბრუნდებოდა ცხოვრებას, ე.ი. გემრიელ სასუსნავს“. მოგვიანებით პინჩონი წერდა მიმის, რომ ფარინია დასცინობდა მას არაფორტოგენური სახის გამო: „მეუბნებოდა: „ხომ არ გემინია, რომ ადამიანები ვერხვის პალის გაგარტობენ, როგორც ავ სულს? aqua regia ხომ არ დაგისხა?“ ხომ ვერ ვეტყვიდი, მართალია, ყველაფერი სწორად გაგიგია-მეთქი?“

ფარინიას ქორწინების შემდეგ პინჩონი გაემგზავრა ბერკლიში, სადაც თარალდსენსა და სიდლერს შეხვდა. მათ, ვინც შორიდან ზეგრადა პინჩონის ცხოვრებას, მრავალი წლის განმავლობაში ვერ გაეგოთ, რა სახის ურთიერთობა აკავშირებდა მწერალთან თარალდსენს. 1966-67 წლების კურსდამთავრებულთა ჩამონათვალი ის მოხსენიებულია, როგორც პინჩონის ცოლი, სინამდვილეში მათი ფარული ქორწინება კი არ მომხდარა, არამედ - სამწუხაროდ - თარალდსენისა და სიდლერის განქორწინება. პინჩონსა და თარალდსენს შეუყვარდა ერთმანეთს და როდესაც პინჩონი - ჯონ ფ. კენედი მკვლელობის შემდეგ - დაბრუნდა მექსიკო-სიტში, თარალდსენი მალე გაჰყვა მას.

მექსიკაში, თარალდსენის თქმით, პინჩონი მთელი ღამეების განმავლობაში წერდა, დღისით ეძინა და მერი ენს არ აჩვენებდა თავის ნაწერებს. როდესაც არ წერდა, მაშინ კითხულობდა - ძირითადად, სამხრეთამერიკულ მწერლებს, მაგალითად, ხორხე ლუის ბორხესს, რომლის მნიშვნელოვანი ზეგავლენა შეინიშნება რომანში - „ლოტ 49-ის გამოცხადება“ (პინჩონმა, აგრეთვე, თარგმნა ხულიო კორტასის მოთხრობა „ასოლოტლი“). მისი უცნაური შემოქმედებითი ჩვევები უცვლელი დარჩა მთელი ცხოვრების განმავლობაში. მოგვიანებით, როდესაც ის ზემოხსენებული რომანის ერთ თავზე განსაკუთრებით დიდხანს მუშაობდა, იძულებული იყო - ხელმოკლეობის გამო - სწრაფი მომზადების საკვები შეეძინა (ზოგჯერ მარხიუნასაც ეწეოდა); ის ფანჯრებზე შავ ფარებს აფარებდა, არასოდეს ალებდა კარს და თავს არიდებდა ყოველგვარ სავალდებულო საქმიანობას. სამოციანი წლების შუა ხანებში პინჩონი ხშირად მუშაობდა ერთდროულად რამდენიმე ნაწარმოებზე - სამზე ან ოთხზე. მისი მეგობარი იხსენებს, რომ 1970 წელს პინჩონს უკვე მოფიქრებული ჰქონდა „მეისონი და დიქსონი“, რომელიც 1997 წელს გამოქვეყნდა.

თარალდსენს ერთფეროვნება მოეზრდა, ამიტომ ისინი მალე გადასახლდნენ ჰიუსტონში, შემდეგ კი - მანჰეტენ-ბიჩზე. ქალი პროფესიით მხატვარი იყო. მის მიერ დახატულ პინჩონის პორტრეტზე მწერალს მხარზე უზის გოჭი, რომელიც მერი ენმა, ალბათ, იმიტომ მიახატა პინჩონს, რომ ამ უკანასკნელს ჯიბეში ყოველთვის ელო გოჭის პატარა ქანდაკება და ხშირად ელაპარაკებოდა ქუჩაში ან კინოში (ის, აგრეთვე, თავის თავს ცხოველებს ამგავსებდა, აგრეთვედა ღორების ატრიბუტებს და მეგობრებისადმი გაგზავნილ წერილებში ხელის მოწერის ნაცვლად ღორის გამოსახულებას ხატავდა.). ერთხელ თარალდსენმა დახატა კაცი უზარმაზარი კბილებით, რომლებითაც ხარბად ჭამდა პომპრეტის. ამ ტილოზე, ქალის აზრით, გამოსახული იყო უძირო, აუცხებელი არაბა. პინჩონმა იფარაუდა, რომ ეს მისი გამოსახულება და ვანრისხდა. თარალდსენი უმტკიცებდა, ეს ასე არ არისო, მაგრამ მათი მეგობარი - მერი ბილი ესოდენ დარწმუნებული არ იყო, რომ პინჩონი ცდებოდა. „ვიცი, რომ თარალდსენის აზრით, პინჩონი „ეკაციჭამა“ იყო, ისევე, როგორც - ყველა მწერალი. მწერლები სხვა ადამიანების სულებით იკვებებიან“.

თარალდსენს სძავდა ღოს-ანჯელესი და ვადაწყვიტა ბერკლიში დაბრუნებულიყო. „ვეფიქრობდი, რომ აქ ქარავლეთა და ზარმაცი ადამიანები ცხოვრობდნენ! მაგრამ ტომს ეს არ ანუხებდა, რადგან მთელი დღეები შინ იყო და მთელი ღამეების განმავლობაში მუშაობდა“. მწერალი აღარ მოსწონდა ლინკოტის გამოცემლობა (და სურდა, განჯახლებინა საქმიანი ურთიერთობა კორკ სმითთან, რომელიც „ვაიკინგს“ გამოცემლობაში გადავიდა); „ლოტ 49-ს“ სასხვათაშორისოდ დაბნერი ხალტურად მიიჩნევდა, და აიძულებდა გამოცემლობას უარი ეთქვა ამ ნიგნის გამოქვეყნებაზე და გაეუქმებინა კონტრაქტი, ამ გადაწყვეტა მისთვის 10 000 დოლარი. გამოცემლობამ, პინჩონის მოლოდინის საპირისპიროდ (რომელსაც, ვიმეორებთ, ეს რომანი მდარე ნაწარმოებად მიაჩნდა), ეს თანხა გადაიხადა. „დინჯი მოსწავლის“ - ადრეულ მოთხრობათა კრებულის - წინათქმული პინჩონი წერდა, რომ „ლოტ 49-ს წერის დროს არ გამომიყენებია ჩემი ცოდნა და დიდი ხნის განმავლობაში შემუშავებული უნარები“. ახლა კი „ლოტ 49“ შეტანილია კოლექცილის სტუდენტთათვის სავალდებულო ნიგნების სიაში და უფრო სერიოზული მასალის ასათვისებელ აუცილებელ საფეხურად ითვლება. ეს სერიოზული მასალა, რა თქმა უნდა, პინჩონის მომდევნო ნიგნი - „მიზიდულობის ცისარტყელა“ - გახლავთ.

ფარინიას რომანის („თუ საქმარისად დიდხანს ეცემი, ზევით ავლას შეძლება“) გამოქვეყნების დღეს დებიუტანტმა ავტორმა მოტოციკლით გაიგინა, ავარიამი მოხვდა და დაიღუპა. სულიერად განადგურებულმა პინჩონმა მისწერა მიმის, ფარინიას მეოხებით ჩემსავაე სულში უკეთ გავერკვიო. მაგრამ როდესაც მეგობრის სიკვდილის შემდეგ გონს მოვიდა, კიდევ უფრო მტკიცედ გადაწყვიტა, რომ მხოლოდ საკუთარი თავისთვის უნდა ეცხოვრა. ამბობენ, რომ ბერკლიში, 1965 წელს, ის მარჩბუნანს მიქაძა, მაგარ ახლა, როგორც ჩანს, დაძლია ეს ჩვევა. მოგვიანებით თავის სამუშაო მაგიდაზე ის წერდა: „არ იზარმაცო“. „მიზიდულობის ცისარტყელა“ მონმობს,



რომ ამ გზაზე მან ნარმატებებს მიიღწია, მაგრამ მან-
 ჰეტენ-ბიჩზე უმოქმედობა, სიზარმაცე არასოდეს
 გრძელდებოდა უფრო დიდხანს, ვიდრე ის დრო, რო-
 მელიც სჭირდებოდა ორი კვარტლის გავლას და პა-
 ნამური ნითელი კანაფის შექმნას, რომელიც პარა-
 შუტისტი-მედესანტეებს შემოჰქონდათ აშშ-ში.

პოეტი ბილ პირლმენი, რომელიც მას იმხანად
 იცნობდა, ერთხელ წერდა, რომ მისი შთაბეჭდილებე-
 ით, პინჩონს არ სურდა რაიმე საერთო ჰქონოდა მო-
 ზრდილთა სამყაროსთან - რომ ის „უფრო მეტ სია-
 მოვნებას და ინფორმაციას იღებდა ახალგაზრდები-
 სგან და თვითონაც, გარკვეული გაგებით, ინვანტი-
 ლური იყო“. იქ, მანჰეტენ-ბიჩზე ჩაეყარა საფუძვე-
 ლი იმას, რაც წლების შემდეგ პინჩონის კულტად იქ-
 ცა - ყოველ შემთხვევაში, მისი პირადი ცხოვრების
 კულტად, რომელმაც გაამყარა ლეგენდა „ვანდეგი-
 ლი ტომის“ შესახებ. „მას გარს ეხვია ადამიანთა გჯუ-
 ფი, რომლებიც ვააფორებთ იცავენენ, - ამბობს ამ
 ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, ჯიმ ჰოლი, - და მათ ან
 უნდა დათანხმდობოდით, ხანალობოროვ მაინც, ან - არა“.
 თმაგანეჩილი, უღვამიანი და ჯარისკაცის სამოსში
 გამონყობილი მწერალი, რომელიც ოდესღაც უილი-
 ამ ფოლკნერს წააგავდა, ახლა უფრო ფრენკ ზაპას
 დაემგვანა. ერთხანს მისი სატროფო გახლდათ ფილის
 კოლტსის (ლოის ლეინის ყვიდაზე გამოჭრილი) ნორ-
 ჩი ქალიშვილი; პინჩონი ზრდიდა მის ვაჟს, ეთანს.

„ისინი შეყუჟულნი იყვნენ ჯურღმულში, სადაც პინ-
 ჩონი ცხოვრობდა, - იგონებს კოლტსი, - „ტომი ძა-
 ლიან კარვად ექცეოდა ეთანს“. ამგვარ ურთიერთო-
 ბას უნინ ოდესღაც ერთად ყოფნას უწოდებდნენ, ახ-
 ლა კი ინტიმურ კავშირს ეძახიან. პინჩონის სატრ-
 ფოთა შორის იყო ჯულს სიგელის ცოლი - კრისი ჯო-
 ლი. ამიტომ სიგელის გვერდ „პლეიბოში“ ამგვარ-
 ად იყო დასათაურებული: „ვიინ არის ტომას პინჩო-
 ნი... და რატომ წამართვა ცოლი?“

სიგელმა და ჯოლიმ დანერგეს წიგნი პინჩონის შე-
 სახებ. ჯოლის თქმით, პინჩონს ნებისმიერი ადამიან-
 ის გულის მონადირება შეეძლო და ასეთ შემთხვევე-
 ბში „ძალზე მიზანსწრაფული იყო“. „მან არაერთი
 ოჯახი დაანგრია კეთილი ზრახვების ზეგავლენით“,
 - დასძენს ჯოლი, - „ძალზე მორიდებული იყო იმის-
 თვის, რომ რომელიმე ქალი თავისად მიეჩნია“. თა-
 რალდსენიც ადასტურებს ამას: „ასეთია მისი *modus*
vivendi“, - ამბობს თარალდსენი, - ძალზე მარტოსუ-
 ლი იყო და მხოლოდ თავისი მეგობრების ცოლებზე
 მიუწვდებოდა ხელი... როგორც წესი, ასე ხდებოდა“.

„მიზიდულობის ცისარტყელა“, რომელიც იწყე-
 ბა ფრაზით: „ცაში ვრუხუნი გაისმა“, მთავრდება არა
 სროლის ხმით, არამედ დანანვერებით - დევიანი
 სლითროპი იმღება პერსონაჟისა და სიუჟეტის ფრა-
 გმენტებად. პინჩონიც, როგორც ჩანს, ნანვერდება -
 როდესაც თავს აღწევს შემოქმედების ბანგს, როდე-





საც ქვეყანაში დადრის თავისი რომელიმე იო-იო გმირის მსგავსად. მისი თხოვრება ბოძეს აძლევს ადამიანებს, გაექცენ სახელმწიფო-ინფრასტრუქტურული კომპლექსის ტოტალიზაციას; ამჟამად, გაურკვეველი დროის განმავლობაში პინჩონი აპირებს ხორცი შეახსნას თავის ლიტერატურულ ჩანაფიქრს. ამასთან, სამწუხაროა, რომ იზოლაციაში გატარებულმა ათმა წელმა გამოიფიტა მისი შემოქმედებითი შესაძლებლობები.

კორკ სიმითა «ცისარტყელას» 1300 ხელნაწერი გვერდიდან ამოიღო მხოლოდ 100 გვერდი და ვერ მიხვდა, რომ ტექსტზე მუშაობა უნდა გაგრძელდებოდა. რომანი მიჩნეულ იქნა შედევრად, თუმცა იმ სახის შედევრი, რომლის შექმნა უფრო ადვილია, ვიდრე - თავიდან ბოლომდე წაკითხვა. თითქოს იმისთვის, რომ დაედასტურებინა თავისი, როგორც აუსტალიდერის სტატუსი, პულიცერის ფიორი შეარჩია პინჩონის ეს ნაწარმოები 1974 წლის პრემიის მისანიჭებლად, მაგრამ კომიტეტმა უარი თქვა პრემიის მინიჭებაზე, რადგან «მიზიდულობის ცისარტყელა» უხამს რომანად მიიჩნია. მას მეტიცა ერთგული ლიტერატურული პრემია, რომელიც რაღაც ელისონმა გადასცა იმ პიროვნებას, რომელიც ელისონის აზრით, პინჩონი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სინამდვილეში იყო კომიკოსი ირენი კოურე, რომელიც (პინჩონის ნებართვით) ვაკინგის გამომცემლობამ გაგზავნა პრემიის მისაღებად და რომელმაც მადლობა გადაუხადა ხალხს საეტრადო ბუფონადის მსგავსად აგებული ტექსტით.

იმ დროს პინჩონი ქალაქში იმყოფებოდა. მანპეტენ-ბიჩიდან ის გაპყვა მეგობრებს ჯერ ნარკომანებით გადაღებულ ვერიკაში, შემდეგ კი - ნიუ-იორკში. იმ ზამთარს მან შექვლიანებს მისწერა, რომ იმედი გაუცრუა ქალაქმა, რომლის ბოჰემური პერიოდი უკვე დასრულდა. ვლიჯ-გეიტში ჩატარდა კრება, რომელზეც ნიქსონს იმპრინტის გაშროვებაზე. «რატომ არ მოიქცენ ასე 68 წელს?» - იკითხა პინჩონმა. ის გამოდიოდა ნიუ-იორკის - დაცემის ვაზზე დამდგარი იმპერიის «ბინძური, გაპარტახებული გულის» - უფარვის ხელისუფალთა წინააღმდეგ და არიტტიკება «უმნიკვლო» ლიბერალებს, რომლებიც ცნობილინი არიან «ქალაქის ნაგვის» სახელმედებით. მას აღარ შეძლო «ხელი მოეკიდა 'ლიტერატურული' საქვლიანისთვის». თავის შეყვარებულთან ერთად შექვლო «გადაეცურა ზღვა» ან, იქნებ, დასაველითს კენ გაეწია. «ეს უმიზნო ხეტიალს ნაავებს, ხომ ასეა?»

ამ ვითარებაში პინჩონის *Cia de Coeur* რადიკალური სულაც არ გახლდათ; ეს იყო ამერიკულ ცხოვრებაში გაჩენილი ღრმა ბზარის მხატვრული შენიღბვა. იმათ, ვისთანაც მწერალი სამოციან წლებში მეგობრობდა, კალიფორნიის ტყეებს შეავარეს თავი, რაც რომან «ვილანდის» თემად იქცა (ამ ნაწარმოებზე პინჩონი ჩვიდმეტი წლის განმავლობაში მუშაობდა). მისი თანამოკალმეები შეერივნენ «ნაგვს», რომელსაც პინჩონი ავტენტი მობისხელებად ხოლმე. საკანძო სიტყვა «მიზიდულობის ცისარტყელაში» არის პრეტორტი, რომელიც სიტყვისიტყვით «გარდასახულს» ნიშნავს, მაგრამ პინჩონთან გახსნავებულ, ბინიერ, მდაბიურ მნიშვნელობას იძენს. და მაინც, ვინაა პინჩონი?

«ვფიქრობ, იატაკქვეშეთი მიიმალა, - ამბობს შე-

ვლიანთან დაკავშირებით, რომელიც მას ეკავა ამერიკული კულტურაში მიმდინარე წინააღმდეგობრივ პროცესებთან დაკავშირებით. ცენტრში ვერ დადებოდა - იქ მყარი ნიადაგი იყო... იქ ალაფერი ესაქმებოდა». პინჩონი ამბობდა, რომ აპირებდა ავტობიუსით - რომლის უკანა სავარძელში მოკალათდებოდა - მესწავრობას ქალაქიდან ქალაქში, სანახების დათვალიერებას... ვაგიანი თურმისი ხელში გაუგრილდებოდა....

ზოგჯერ ის სტუმრობდა მექვლიანებს ორეგონის შტატის სოფელში. «მხსოვს ცხენზე ამხედრებული პინჩონი, - ამბობს მექვლიანი. - დის კიხობს შავუდა». მექვლიანის ყოფილი ცოლი, მერი ბილი ამბობს, რომ პინჩონი ჩვეულებრივ ვაგინობამდე რწებოდა მათთან და ტელევიზორს უყურებდა (კრე სელი იხსენებს, როგორ ეკამათებოდა მისი სტუმარი ბავშვებს, რომლებთან ერთადაც მულტფილმებით ტკებოდა). როდესაც სელიმა პინჩონი თავისი ქალიშვილის ოთახში დააბინავა, მას მერი ბილს უცნაური ქათინაური უთარა: «ეველიანი თავიანთი მექვლიანის ოთახებს მოითმენ და პირველად მოხდა, რომ ხანილი მარდის ხუნი არ ფარს». მექვლიანების სახლი ვეროში მწერლისთვის სამდვილი ნავსაყუდელი გახლდათ. «მართლაც რომ იღუმალი კაცი იყო», თქვა ქალმა.

ერთხელ, ტყეში გამართული წვეულების დროს, მათმა ნაცვობმა აღმოაჩინა, რომ ტომი ცნობილი მწერალი იყო, - იხსენებს ბილი, - რა თქმა უნდა, არავის იქ არ კითხულობდა რომანებს - იხიბი სოფელე ადამიანები იყვნენ... ტომი ამის გამო ისე დაითრგუნა, რომ მიმდევრო დღეცეუ დატოვა ჩვენი სახლი». რას უნდა დაეთრგუნა მწერალი? ბილის აზრით, მწერალს უჩინება, ხალხით გაჭედდოთ ოთახში ყოფილიყო, სადაც ვერ იცნობდნენ, ვიდრე ეცნო ერთ ადამიანს, რომელიც მას მოსევენებას აღარ მისცემდა.

ავენტმა, რომელიც პინჩონს უთვალთვალედა, აღმოაჩინა, ყოველ შემთხვევაში, ერთი ნამდვილი სამალავი, მექვლიანის თქმით. 1976-1977 წლებში მან ერთ წელიწადზე მეტი ხანი გაატარა კალიფორნიის ქალაქ ტრინიდადში, პატარა, კობტა ნითილი ხის ქობში, რომელიც სულ 300 ფუტს მაჩხიდიანი იყო დამორებული წყნარი ოკეანის მსვანე, კლდოვანი სანაპიროსგან. ეს იყო ჰუმბოლდტის ოლქის სიდრემში, «ვაინლენდის» ცენტრში, პინჩონის სამოთხეში.

ეს წიგნი პინჩონს «ვაიკინგის» გამომცემლობასთან შეთანხმებით არ დაუწერია. «ვაიკინგისთვის» მან დაწერა «კიოსონი და დიქსონი» (ჯეოდვლისტების შესახებ) და, აგრეთვე, აპირებდა დაეწერა ტომის (თუქცა, ეს ჩანაფიქრი არ განხილვებოდა), რომლის მთავარი პერსონაჟი - სადაზღვევო ავენტო მიფრინავს იაპონიაში გოიდას მიერ მიყენებული ზარალის შესაფასებლად. გამომცემლობა «ვაიკინგმა» მწერალს ავანსის სახით სულ 1 მილიონი დოლარი გადაუხადა, თავდაპირველად კი - სამი წლის განმავლობაში - 50 000 დოლარს უხდიდა. განდევლობის პირველი წვედლობის დროს პინჩონმა მექვლიანში 1000 დოლარი დახარჯა; ახლა ის ბოლო წიგნის დაწერადან რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობს შესანიშნავად გადაკეთებულ გარაჟში. პინჩონი ახე-



რებს, თავი აარიდოს ჟურნალისტებსა და გამომცემების ფედერაციური სააგენტოს თანამშრომლებს, მაგრამ ვერ უშკლავდება საკუთარ პარანოიას. უშკლავდება თუ არა ის სიზარმაცეს?

საჭირო იყო სიყვარული, რათა პინჩონს დაეტოვნებინა თავისი მიყვარებული საბინადრო და დაბრუნებოდა ლიტერატურას, ოჯახსა და ნიუ-იორკს. მელანი ჯექსონი ჭკვიანი და პატივმოყვარე ახალგაზრდა ლიტერატურული აგენტი იყო („ულამაზესი გოგონა გამომცემლობაში“, რედაქტორის თქმით), როდესაც კანდიდა დონადოსთან დაიწყო მუშაობა. მელანი ტედი რუზველტის შვილიაშვილი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შვილიშვილი გახლდათ - ნატივი პროტესტანტი გოგონა ოისტერ-ბეის მეზობლად განლაგებული ქალაქიდან.

ისევე, როგორც ყოველი კარგი აგენტი, დონადო ეხმარებოდა პინჩონს ცხოვრებისეული სიძენელების დაძლევაში, მისი „მარჯვენა ხელი“ იყო. დონადომ აღიარა, რომ პინჩონი მის ბინაში ცხოვრობდა (პლატონურად), როდესაც მელანი ჯექსონი შეუყვარდა. ქალები ნაკინკლავდნენ. რის გამოც ჯექსონმა 1981 წლის ბოლოს სააგენტო დატოვა. მის პირველ კლიენტად იქცა მისივე თაყვანისმცემელი - ტომას პინჩონი. მათ გადაწყვიტეს, გამოეყვევნენ ბინათ პინჩონის ადრული მითხრობების კრებულს - ის, რომელიც რადენიმე ხნით ადრე დაიწერა კორკ სმიტმა. მან პინჩონს, ჰონორარის სახით, 25 000 დოლარი შესთავაზა, მაგრამ კრებული გადაეცა „ლითლსა და ბრაუსს“, რომლებმაც მწერალს, სმიტის თქმით, 150 000 დოლარი გადაუხადეს. პინჩონმა დაწერა ნინასიტყვა, რომელშიც ზუთი მითხრობიდან ოთხს „მოწაფური ნაწარმოებები“ უწოდა. ამ ნაბიჯის მიზანს ნარმოადგენდა პირატული გამოცემების თავიდან აცილება და თავისი ლიტერატურული აგენტისთვის - ჯექსონისთვის იმის საშუალების მიცემა, რომ პირველი „საქმე“ წარმატებით დაევიწყებინა. (მათ ვეიკინგის) გამოცემებიდან სხვა ნივთებიც წაშლიეს.) ამ წინაქმეში მწერალმა თავისი უწინდელი (სანამ მიმალვის, ნარკოტიკების მოხმარებისა და თვითზღირსების სურვილი გაუქმდებოდა) ფსიქოლოგიური იერსახე შეაჯამა. ის წერდა წინააღმდეგობრივ რეაქციებზე (უცვლელად დაეტოვებინა თუ გადაესწორებინა), რომელთაც ინვესტა მასში ადრული ნაწარმოებები - მაგრამ სა ირმა იმპულსმა საბოლოოდ ადგილი დაუთმო შუახნის ასაკისთვის დამახასიათებელ უშფოთველობას, რომლითაც ამჟამად ვისხვებ, როგორი მწერალი ვიყავი ახალგაზრდობისას“.

თვით პინჩონი თანდათან, აკვლანგისტის მსგავსად, ამოღორდა ცხოვრების მეინსტრიმის ზედაპირზე. კალიფორნიაში ის ორიდელ წლის განმავლობაში კვლავ-თავით საშუაოს ეწეოდა, მაგრამ 1988 წლის ზაფხულში, როდესაც ჯექსონის მცდელობათა წყალობით მიიპოვა მაკართურის გრანტი - 310 000 დოლარი, ის ნიუ-იორკში ცხოვრობდა (თუმცა მაკართურის ფონდის ნუსხაში ბოსტონის მკვიდრად მიჩნეოდა). „ვიინლენდი“ გამოქვეყნდა ორი წლის შემდეგ. ამ საოცრად სადა, მარტივად და უთავბოლო თხზულებამ რეაგენის ეპოქისდროინდელი მეძარცხენის ბოლო თავშესაფრის შესახებ იმედები გაუცრუა მკითხველებს, რადგან არ გამოირჩეოდა პინჩონ-

ნისთვის დამახასიათებელი ღრმაზროვნებით. იმედაცირებულია შორის დევიდ ფოსტერ უოლსიც იყო. ის წერდა ჯონათან ფრანკლს, რომ „ვიინლენდი“ „ძალზე მძარე“ რომანი გახლდათ და რომ „ისეთი შთაბეჭდილება შექმენა, თითქოს ბოლო ოცი წლის განმავლობაში ავტორი მხოლოდ ნარკოტიკებით და ტელევიზორებით იქცევდა თავს“. ვერ ვიტყვით, რომ უოლსი მნიშვნელოვნად ცვდიდა, მაგრამ მას რალაც გამოერჩა. პინჩონის უნიათო გმირი კვლავ გარდაიქმნება და ახლა უნდა გადაწყვიტოს, შეუერთდება თუ არა რეივანის მომხრეებს, თუმცა, ყველა შემთხვევაში უგულბელყოფს ჰუმბოლდტის ოლქის მკვიდრ გაბურძენილ ნარკომანებს.

ტომას პინჩონი და მელანი ჯექსონი 1990 წელს დაქორწინდნენ. ერთი წლის შემდეგ მათ შეეძინათ ვაჟიშვილი, რომლის პირველი სახელი „ჯექსონია“. პინჩონი მეგობრებს ეუბნებოდა, რომ ახლა გაცილებით უფრო ხშირად ხედავდა თავის მშობლებს. მისი მომდევნო რომანი - „მეისონი და ჯექსონი“ - უფრო მნიშვნელოვანი და ახლებური იყო, ვიდრე „ვიინლენდი“, ამასთან, უფრო დინამიური და შთაბეჭდილი, ვიდრე - „მიზიდულობის ცინარტყელა“. მასში, მწერალი, აგრეთვე, საუბრობს თავისი ამერიკელი წინაპრების შესახებ (პინჩონები დიდი ხნის განმავლობაში გეოდეზისტები იყვნენ), რომელთა დახასიათება გაცილებით უფრო დახვეწილია, ვიდრე სლითროპის მისეული პორტრეტი. ამის შემდეგ დაიწერა „ჩემი დაკრძალვის დღეს“ - კაპიტალიზმის - ვრცელი და უთავბოლო კრიტიკა, რომლის ავტორი სულ უფრო მეტად ტკბობდა კაპიტალიზმის უპირატესობებით.

ბინძური მოტყელების ყოფილმა მკვიდრმა, თავის ოჯახთან ერთად, დაიქირავა ბინა მდინარეზე ვესტ-საიდის მთავარ გზაჯვარედინზე და წინდახეულად გაეირა იქაურ საზოგადოებაში. პინჩონმა უკვე დაწერა „ნიუ-იორკ-ტაიმსისთვის“ ესე ლუდიტების დასაცავად; მიმოიხილა „სიყვარული ქოლერის ეპიდემიის დროს“; ნარკვევი თავისი საყვარელი სასიკვდილო ცოდვის, სიზარმაცის შესახებ. მაშინ, როდესაც უწინ ის ძირითადად ფოსტით ან ტელეფონით უკავშირდებოდა კოლეგებს - „დროდადრო“ ურეკავდა ჰარლან ელისონს, ერთხელ იმისთვის, რომ მოეთხოვა, საშემოსავლო გადასახადი აღარ გადაიხადო, მაგრამ არასოდეს არავის აძლევდა თავისი ტელეფონის ნომერს - ახლა ის, ფაქტობრივად, დონ დელულოსთან, სალმან რუსოდისთან და იენ მაკიუენთან ერთად სადილობს. როდესაც კრიზისულ მდგომარეობაში მყოფმა „ჯონ ლაროკეტის მოუმი“ გამოიყენა პინჩონის სიუჟეტი, ის დათანხმდა ამ პრობოთ, რომ თვითონ არ გამოჩნდებოდა, ხოლო მის მიერ გამოვლილ ავტორს როკი ერეკოსონის მისთვის ჩაცვამენდი. ათი წლის შემდეგ პინჩონი დათანხმდა, მოწინააღმდეგე მიეღო „სიმპოსიუმში“ (მისი თქმით, ძირითადად, იმიტომ, რომ მისსავე გაუს მოსწონდა ეს სერიალი). სერიალის პროდუქსერი ვლ ჯინი იხსენებს ულახვანი უღვაშა კაცს, რომელმაც უკან ცოლ-შვილი მოჰყვებოდა. ისინი კერძო სკოლებისა და საშხარეულოს რეკონსტრუქციის თაობაზე ლაპარაკობდნენ. პინჩონმა (საკმაო თავაზიანი კლითი) უარი განაცხადა ფოტოსურათის გადაღებაზე: „ჩვეულებრივ, ფოტოსურათებს არ ვიღებ“. შოუს განმავლობაში ის ორჯერ გამოჩნდა თავისი საქალაქი. პი-



რველად ერთი სიტყვაც არ უთქვამს, მაგრამ მეორედ გამოჩენისას შესანიშნავი კალამაური ნამოხსროლა: „The Frying of Latke 49“.

ის, რომ პინჩონი დროდადრო გამოჩნდება ხოლმე ხალხში, ძირითადად, შემთხვევითობას უნდა მივაწეროთ, მაგრამ აქ, როგორც ჩანს, გადაწყვეტილებას ასრულებს მწერლის პირადი ურთიერთობები. მაგალითად, მან დაწერა სარეკლამო ტექსტი (შემდეგ კი ინტერვიუც მისცა „ესკუარის“ - ინდი-როკ-ჯგუფისთვის, რომელიც „ლოუშენის“ სახელწოდებითაა ცნობილი. 1995 წელს, მამამისის გარდაცვალების შემდეგ, პინჩონი თავისი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შეხვედრაზე მივიდა. ის და რომ იანგბერგი, „ლოუშენის“ მფლობელი, მუსიკის ერთსა და იმავე პედაგოგთან სწავლობდნენ. მისტერ ლაკენილი მათ 25 წლის განმავლობაში ცალ-ცალკე ახსნავდა. შემდეგ პინჩონი ოსტერ-ბელის ბანკში შეხვედა იანგბერგის დედას, რომელმაც „ლოუშენის“ ახალი ალბომი შეაჩვენა. პინჩონმა მოუსმინა ჩანანერვებს და მალე მივიდა მათ სტუდიაში, ახალი ჩანანერვები ნამოილო და გაანდო ნაკლებად ცნობილი ფაქტები ლენტური მიკროფონების შესახებ.

„მხოლოდ ის მახსოვს, რომ ძალზე სასაცილოდ გამოიყურებოდა“ - ამბობს იანგბერგი. ჯგუფის წევრი, ბილ ფერგუსონი, რედაქტორად მუშაობდა „ესკუარის“; ჟურნალმა ინტერვიუ თხოვა და, ყველას გასაკვირად, პინჩონი დათანხმდა. კითხვა-პასუხებს მან მიანერა: „განდევით რომანისტს მოხონს როკ-ინდ-როლი, რომლის სახელწოდებაც „ლოუშენია“. მან მოინდომა დაეკურა ჰავაურ გიტარაზე. ამიტომ ჯგუფმა ინტერვიუ მისცა“. ფერგუსონი აღაფრთოვანა პინჩონის ცოდნამ, იუმორამ, და ენერგიამ, მაგრამ გააკვირვა საუბრის ქარაფუტულმა კილომ: „ის გულწრფელი კაცია, არ თვალმომეტყობს. მასხვდება რობერტ დე ნიო „პრაზილიაში“. მან იცის სიმართლე, მაგრამ თავი უნდა იხსნას და ამბობს: „თქვენ როგორც გინდათ, ისე მოიქცით, მე კი აქ ვერ დავრჩები“.

უკვე ოცდახუთი წელია, რაც ის ქალაქში ცხოვრობს. პრობლემა (რომელიც ზოგიერთისთვის ესოდენ მტიკინეულია) იმაში მდგომარეობს, რომ ადრე თუ გვიან პურსა კლანჭებს ჩაგალებს: მაგალითად, ყოფილი მეგობრებმა - დონადომო და სელიმამ გამოაქვეყნეს თავიანთი მიმოხერვა პინჩონთან. ორ შემთხვევაში - როდესაც დონადომო მორგანის ბილიო-ოთქასა გადაცხა ნერილები და, აგრეთვე, როდესაც აღმოჩნდა იქნა პინჩონის მიერ ფორდის ფონდისადმი გაგზავნილი თხოვნა - მწერლის ადვოკატმა და აენტმა-ცოლმა შეძლეს მათი მიწოდება. პინჩონი ყოველთვის თავს არიდებდა საჯაროობას, მაგრამ ჩვენ განსხვავებულად განვიხილეთ ამა ქვეყნის ძლიერთა საიდუმლოებებს, ხოლო პინჩონი სწორედ რომ ძლიერი გახდა. ახლა, როდესაც მან სახელი და დიდება მოიპოვა, თავის დასაცავად ის ნაკლებად პოლიტიკურ და უფრო მეტად ფსიქოლოგიური ხასიათის ზომებს იყენებს.

„პინჩონი იმპერიულ თვალსაზრისს გამოხატავს“, - ამბობს კოკ სელი, რომელთანაც მწერალმა ყოფილგვარი კავშირი განწყვიტა მას შემდეგ, რაც სელი რეპორტიორს ესაუბრა. „ის იგონებს სამყაროს, რომელიც ისეთი უნდა იყოს, როგორც მას წარმოუდ-

გენია. თუ ასე არაა, ასეთი სამყარო არ მოხონს... ამ გაგებით, შეიძლება ითქვას, რომ პინჩონს სურდა ისევე განეკარგა თავისი ცხოვრება, როგორც საკუთარი შემოქმედება“.

ბოლო საკითხი, რომელზეც გულწრფელად უნდა ვისაუბროთ ტომას პინჩონთან დაკავშირებით, ისაა, რომ „კლასიციზმი“ თუ არ ჩაეთვლით, მისი ყველა ნაწარმოები, ვარკვეულწილად, ავტობიოგრაფიულია. მაგალითად, „თანდაყოლილ ბოროტებაში“, რომელიც დაბალი ხარისხის დეტექტივია, მან, მნიშვნელოვანწილად, ასახა ის ადამიანები, რომლებიც მანპეტენ-ბონზე გაიცნო. შესაძლოა, ეს იმაზე მეტყველებს, რომ პინჩონს გასასაკუთრებთ უყვარს ეს ნაწარმოები, ან, შესაძლოა, კინემატოგრაფზე შეყვარებული ავტორი ოცნებობდა, რომ ეს წიგნი მალე იქცეოდა მის უმრავლეს კრანისზელდ რომანად. ამჟამად პინჩონი უშუალოდ ლოს-ანჯელესში იმყოფება „იმპერიულ“ კინორეჟისორთან, ტომას ანდერსონთან ერთად. მთავარ როლს ხოაკინ ფენიქსი შეასრულებს.

პინჩონის არც ერთი წიგნი არაა უფრო შთამბეჭდავი, ვიდრე „სისხლმდინარე ნანიბურის“. შეუძლებელია არ შევიგრძნოთ მცდელობა ქალარათმბანი ყარბობას, თანდათან შეურიგდეს ნოუ-იორკს, კონფორმიზმს და საჯარო ცხოვრებას. ირონიული ეპიგრავი ციტატაა დეტექტიური ნაწარმოების ავტორის, დონალდ უესტლიუკის ერთ-ერთი ნაწარმოებიდან, რომლის მიხედვითაც, ქალაქი სხვა არაფერია, თუ არა „იდუმალი ექვმიტანილი, რომელმაც იცის საქმის რეალური ვითარება, მაგრამ არ აპირებს მის გაცხადებას“. ნაწარმოებში გვხვდება სცენა თვალთვალისა იმავე ვაჯავარენისზე, სადაც, 1998 წელს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რეპორტიორი უთვალთვალდება მწერალს, ამაზრზხნო ფოტოსურათი გადაუღო და სცადა, ხელი ჩამოეჩინა („მომპოროთ თუ შექვნი წვინტლიანი ხელი“, - შეუღრინა პინჩონმა). რომანში შეხვედრით, აგრეთვე, ლირიკულ ეპიზოდს, როდესაც პერსონაჟი ქალი უთვალთვალდება მწერალს, რომელიც ნამდვილად მანჭების ცნობილი მწერია, „აპთორპია“. პინჩონის ვაჟი ისე გაიზარდა, რომ იმავე ორიენტორს უყურებდა - და იმავე ფაზჯრიდან. ყოველივე ეს შეიგრძნობა, როგორც „განდევით ავტორისთვის“ საბოლოო თამაშები - თუმცა პინჩონის ოჯახი ამ ბინიდან ოთხი წლის წინ გადასახლდა (მათ, აგრეთვე, შეიძინეს ავარაკი ლონგ-აილენდზე, ერთი საათის სავალზე ოსტერ-ბეიდან). „სისხლმდინარე ნანიბურის“ დასაწყისსა და დასასრულს ფიგურირებს საფინანსო დარღვევების გამომძიებელი, მაქსინა, რომელიც ზრდის თავის ნაადრევად განვითარებულ ვაჟს, ზიკის. ისინი ხშირად ერთად დასცინიან საშუალო სკოლას, სადაც სწავლობდა ჯეკსონ პინჩონი.

ეს ხალისიანი, მახვილგონივრული ტილოერი „თანდაყოლილ ბოროტებას“ წაგავს და ატილიკებს შეთქმულების თავისსავე თეორიებს. მაქსინა ზუმრობს, რომ „პარანოია იგივეა, რაც ნიორი ცხოვრების სამზარეულოში. ის ზედმეტი არასტესტი თარღის - შესახებ საუბრისას თავს იჩენს გულგრილობა, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე ამერიკელთათვის. ამ კატასტროფის ტრაგიზმში, რომანის მი-



ხედვით, სწრაფად გაანეიტრალა პოპ-კულტურის ხმაურმა, უსამართლო ომებმა და ქალაქის უსასრულო მშენებლობებმა.

რომანში პინჩონის შეხედულებებს გამოხატავს მაქსინას ქმარი, ჰორსტი, რომელიც პიპერმარკეტში აღიარებს, რომ მისი „იდეალური საარსებო სივრცე არის არც ისე ძალიან ჩაბინძურებული მოტელის ოთახი საშუალო დასავლეთში, სადაც, უნაყოფო მიწებზე“. ყარიბისთვის მისი სახლი ერთგვარი თავშესაფარია, სადაც, რომანის უმეტესი ნაწილის განმავლობაში, უყურებს ბიოგრაფიულ ფილმებს ჩი-ჩი როდრიგესისა და ფეტი არბაკლის მონაწილეობით. რეალური პინჩონი ხშირად გამოდის ქუჩაში; ერთი ნაცნობი წარამარა ხედავს მას. მაგრამ მწერალი ნამდვილად გტარებს ვარკვეულ დროს მინ. ნაწილობრივი ნუსხა რომანის პოპ-კულტურული მინიმუმებისა ამგვარი: ვის ვენჭურა, ელი მაკბლი, ვარსკვლავური კრეისერი „გალაქტიკა“, ბრიტნი სპირსი, ელექტრონული სათამაშო რობოტები და ა.შ.

გაქირდვის, საზოგადოების მსუბუქი კრიტიკის მიუხედავად ნაწარმოებში იგრძნობა სევდა, რომელიც განსაკუთრებით მძაფრია ორი ადგილის ლირიკულ აღწერებში. ერთ-ერთი მათგანი არის პატარა კუნძული სტივტენ-აილენდი, მეორე კი ვირჯილია - არაკომერციული პატჩი ინტერნეტში, რომელიც ჯერ კიდევ „ანარქოლი“ იყო 2001 წელს. პინჩონი ადარებს ორივე მათგანს: „ისევე, როგორც მიდიუს კუნძულს, „დიპ-არჩერსაც“ ჰყავს თავისი მუშაკები, როგორც უნდა გვევლინებინა მათი სიმრთელისა, ერთ


მშენიერ დილას მოულოდნელად გავკოცვებს იდეალური კორპორატიული ვებ-კრედიტების შემოჭრა, რომლებიც დაახიანებენ სუფთა დამცავ პროგრამებს საკუთარი ანგარებიანი მიზნებისთვის“.

„გამგზავრება“ (departure)/ DeepArcher) - კალამური ეჭვს არ იწვევს. სიამოვნება, რომელსაც გვანიჭებს პინჩონის რომანი, ემყარება წინააღმდეგობრიობას, რომელიც შეიგრძნობა ავტორის მიერ მთელი სამყაროს მოცვისა და მისგან გამოქვინის, ამ სამყაროს განდიდებისა და, იმავედროულად, დაგმობის, მისი განადგურებისა და თვითგადარჩენის (ახლა კი, აგრეთვე, საკუთარი ოჯახის გადარჩენის) სურვილებს შორის. რომანი მთავრდება სწორედ ამგვარ ნოტზე, რომელიც გულისხმობს უმანკო ბავშვების დაცვას „ინდექსირებული სამყაროსგან“. ეს თავისუფალი სივრცეები რეალურად იმდენად როდი განსხვავდება მენესტრელთა კუნძულისგან, რომლის გამოქვინას IBM-ისგან პინჩონი 1958 წელს ზეიმობდა კორნელის უნივერსიტეტში. მას ჯერ კიდევ არ უპოვია ეს კუნძული, ყოველ შემთხვევაში, ლიტერატურის საზღვრებს გარეთ.

„ეს სტატია აზუსტებს პინჩონის ნათქვამს, რომ მას სურს „საკვლევი მასალით უზრუნველყოს რამდენიმე თაობის მეცნიერები“, და არა „მეცნიერთა თაობები“.

ანდრო ბუაჩიძე

შელტყვათა წიგნი



ბესიკ ხარანაული, ლექსები (2003-2013). თბ. „ინტელექტი“, 2014.

წიგნს უბრალო სათაური აქვს: 2003 - 2013. ლექსები. ბესიკ ხარანაული წერდა ლექსებს და სკივრში ინახავდა. ეს ის პოეტიკა, რომელმაც „ხეივანი თოჯინა“ დაწერა. და არა მარტო „თოჯინა“, არამედ „რა წერია სუფთა ქალღმერთი“, „მიკარნახე, ანგელინა!“ და სხვა პოემები და ლექსები. ბესიკ ხარანაული. ეს კაცი უკვე სამოცდათხუთმეტი წლის მოიყარა. თითქოს თვითონვე ესამუშებდა თუ უკვირს ეს ასაკი: „შორით მოვიდა ამბავი, / მთვარეს დაასწრო, მზესაო, / შენ დაბერება მეუწყა, / ხარანაული ბესაო, / გავიგე უარესიცა, / ლექსებს ვეღარა ჰკვესაო.“ / არადა, არც დაბერებულა და ლექსებსაც ჰკვესავს. აი, ვთქვათ, ამ წიგნში ერთი ასეთი სტროფია: „მგელი არ მოშლის მგლობასა, / არწივი არწივობასა, / პოეტი პოეტობასა, / ნუთისოფლისა გმობასა“.

ეს ქილიკობა და ნუთისოფლის გმობა თავიდანვე გამოარჩევდა პოეტს. „ქილიკობა“ მართლაც ნათქვამია და მოჭარბებულ ირონიას აღნიშნავს.

ბესიკ ხარანაულს ამგვარი ირონია იმითვე დაჰყვა. ეს იყო ლირიკული სუბიექტის თავისუფალი მოძრაობა სივრცეში. ეს სივრცე რაღა იყო? ამ სუბიექტის ადგილსამყოფელი. ჩვენ ვცხოვრობდით ამ სივრცის შიგნით, მაგრამ იმდენად ვიყავით მასთან შესისხლბორცებული, რომ ვერ ვხედავდით მას. ბესიკ ხარანაულმა პროზაული რეალიები შეიტანა პოეზიაში და ამით თავისი პოეზიის კარი შეხსნა და შეუძღვა მკითხველს. პროზაული რეალიები მოქნილობას ანიჭებს პოეტურ ენას, გარემოს აცოცხლებს და ლირიკული სუბიექტის სახესაც გამოკვეთს. პროზაული რეალიების მეშვეობით კონკრეტული ენიჭება სამოქმედო სივრცეს და ხელშესახებად მუდგანდება ყოველი მოვლენა. ბესიკ ხარანაულმა 70-იან და 80-იან წლებში ოსტატურად განაზავა პოეტურ სუბსტანციაში პროზა და ამით თავისი პოეზია გაქვავებული კლიშეების და სტერეოტიპების საპირისპირო ნიშნით წარმართა.

პოეტურ ოსტატობაზე საუბრისას ჩვენ მეტწილად კანონიკურ ლექსს ვგულისხმობთ და ხაზს ვუსვამთ იმას, თუ რა მარჯვედ ფლობს პოეტი მეტრიკას, სტროფიკას, რითმას და ა. შ. ეს, რა თქმა უნდა, ძალზე მნიშვნელოვანია, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ოსტატობა სხვადასხვანაირი არსებობს.

ბესიკ ხარანაულმა თვითგამოხატვის ფორმად თავისუფალი ლექსი აირჩია და აქ გამოველინდა მისი ოსტატობა. უფრო ზუსტად, მისმა სათქმელმა ბუნებრივად, ძალდაუტანებლად გამოძებნა ფორმა, თითქოს მდინარემ თვითონ გაკვალა კალაპოტი. მთავარი კი ისაა, რომ თავისუფალი ლექსის შიგნით პოეტმა თავის ინტონაციას მიაგნო, დასვა თავისი აქცენტები, იმდენად ბუნებრივად მოიჩინა ეს ფორმა, ვრცელი მონოლოგებზე კი „წარმოთქვა“. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბესიკ ხარანაულმა თავისუფალი ლექსის „მცირე ნასხლტებიც“ ოსტატურად გააწყა. გავიხსენოთ თუნდაც „ნუთები და ნამები“ და სხვა ლექსები.

თავისუფალი ლექსი საყრდენებს აცლის პოეზიას და ძალიან ხშირად მას პირწმინდა პროზის „ერესში“ აგდებს. უარეს შემთხვევაში პროზა იწერება ლექსის ფორმით და იქვე იბადება კითხვა: რატომ არის ეს პოეზია და არა პროზა? ეს, რა თქმა უნდა, ბესიკ ხარანაულს არ ეხება. ბესიკ ხარანაულმა 70-იან და 80-იან



ნლებში უკვე ისეთი ხელნეოა შექმნა, რომელ-
 იც მოუბაძველი იყო. თავისუფალი ლექსის სი-
 ვრცეს ბესიკ ხარანაული თანდათან იპყრობ-
 და. ოღონდ ეს არ იყო ზოგადად თავისუფალი
 ლექსის სივრცე, ეს მასი, ბესიკ ხარანაულის
 სივრცე იყო. თითქოს მან თავის მკაფიო ხელ-
 ნებით, მჭიდრო სახეობრივი აზროვნებით შე-
 მოსაზღვრა საკუთარი „ტერიტორია“, რომლი-
 ის შიგნით შეღწევა შეუძლებელი გახლდათ.
 ბესიკის მიმბაძველები რთულ ვითარებაში აღ-
 მოჩნდნენ, ვინაიდან მიუბაძველ პოეტს ვერ მი-
 ბაძენ, თავისუფალი ლექსის სივრცეში საკუ-
 თარი საყრდენები ვერ აღმართეს და ამიტომ-
 აც დეკლარაციული პროზის და მშრალი რი-
 ტორიკის ავტორებად იქცნენ. მათი „პოეზია“
 თვალსა და ხელს შუა გაქრა. მაგრამ ისეთებ-
 იც იყვნენ, რომლებსაც გუქმანმა უკარნახა, რომ
 თუ საკუთარ საყრდენებს არ დაეყრდნობოდა,
 სიცარიელე შთანთქავდა. ზოგს აღმოაჩნდა უნ-
 არი საკუთარ თავს დაყრდნობოდა, ზოგი კი
 ჰაერში მოფარფატე სიტყვების ამარა დარჩა.

ბესიკ ხარანაული თავისუფალ ლექსებთან

ერთად წერდა ხალხურ კილოზე განწყობილ ლე-
 ქსებს: /“ნისლს დაუძირავს მამკოდა,/ უტირე-
 ბია გულითა,/ მე ისიც გამახარებდა,/ თუ ზვა-
 ვი გადაუვლიდა,/ მანდ მოკლეს დედმამაჩემი/
 ღამაზი ტანის შურიითა”. ამ ლექსს რომ კითხუ-
 ლობ, გრძობ ხალხური კილოკავის და ლექს-
 ის დამატობულ ძალას, მაგრამ ფინალი ბესი-
 კისეულია, მკაცრი და მოკვეთილი, თითქოს
 ყველაფერი ორ სტრიქონში ითქვა და მთელი
 ლექსი ამ ორი სტრიქონისთვის იყო დაწერი-
 ლი. შეუძლებელია არ დაგიდგეს თვალწინ ღა-
 მაზი, ახსლეთილი, ვაჟკაცურად ჩამოქნილი
 ტანი, რომელმაც შური აღძრა და რომლის გა-
 მოც მოკლეს პოეტის დედისძმა. ვინ იცის, რა-
 მდენი ასეთი ვაჟკაცი მოუკლავთ უზადო ტან-
 ის გამო.

ბესიკ ხარანაული ახლაც წერს ხალხურ კი-
 ლოზე განწყობილ ლექსებს, წერს ჩვეულებრ-
 ივ, მკაცრი სისადავით აღბეჭდილ კონვენცი-
 ურ ლექსებსაც. მან თავი მოუყარა 2003 წლი-
 დან 2013 წლამდე დაგროვილ ნაწერებს. აქ ფი-
 ქრებია, ლექსებად ამოიქმული და გაელვებუ-

ლი ფიქრები. არის ეჭვი, ქილიკი, ღიმილი, გაოცება, მღურვა, თვითორიონია. ამ ლექსებს რომ კითხულობ, თითქოს პოეტის სახე გიდვას თვალწინ. ეს სახე მყისიერად იცვლის გამოხატულებას, ხან რას გამოხატავს და ხან რას. მხოლოდ პოეტის თვალები რჩება ერთნაირად ნაღვლიანი. აბა, როგორ არ იქნება ნაღვლიანი, როცა ასეთ ლექსს ამოთქვამს: „ბედაური ვარ ავბედი, / ვაი, რა ცუდად დავბერდი, / ისე ვიკიდებ წყენასა, / როგორც ნაპერწკალს აბედი“. იქნებ წყენაა, რომ აწერიხარ პოეტს ლექსებს? პოეტი მართლაც ავბედი ბედაურია, რომელიც აბედივით იკიდებს წუთისოფლის წყენას.

ამ ნიგნში ბესიკ ხარანაულმა იმ ლექსებს მოუყარა თავი, რომლებიც ბუნებრივად ამოეთქმევიან. იქნებ სხვანაირად არც იწერება ლექსი, მაგრამ ეს ნაწერები ამ თვალსაზრისით მაინც განსაკუთრებულია. ისეთი შთაბეჭდილება მჩრება, რომ ეს ლექსები თავისთავად დაიბადა და აეკვირბა პოეტს. იქნებ არც აპირებდა ჩაწერას, მაგრამ რომ გაათავისუფლებულიყო მათგან, ჩაიწერა. ჩაიწერა და განთავისუფლდა კიდევ. ასე რომ, მთლიანად ნიგნი „2003-2013. ლექსები“, ზეპირსიტყვიერი პოეზიის ნიგნია. და თუ პოეტმა მაინც ჩაიწერა ალაღებებზე ეს ლექსები, ესეც მოულოდნელობა ან ნაუცბათობაა უნდა მივანვიხილო. აქა-იქ მშვენიერი, გულშიჩამწვდომი ღალადისიც გაიბრწყინებს. აგერ, ვთქვათ, გურამიშვილის რემინისცენცია: „აადეო, ადეო, წასვლას გაემზადეო, აეცალე საწოლსა, / ტანი აიწვადეო, გფეფლიდნა სიცოცხლესა - ერთთელაცა მცადეო! / - შენ არ იყავ, ცოცხალს რომ სული ამოიხადეო! / ხელი უკარ სიცოცხლეს, ძველი არის ბადეო... / აადეო, ადეო, წასვლას გაემზადეო, / განა დაყუდებისთვის, გზისთვის დაიბადეო“.

ზოგჯერ ბავშვობა, სიყმაწვილე ან სიჭაბუკე გამოაზნაუბებს და თიანეთის ყოფა ახსენდება ბესიკს, ზამთრის კარნავალური საღამოები ამოტივტივდება მესხიერებაში: „როცა აცივდებოდა, მთები თოვლს დაიტყობდა, / დედაჩემი რატომღაც «ვის ო რამინს» იტყოდა, / ყველა შვეიცელბოროდით, უცებ, რალაცნაირად, / კარადის თავზე გვედო გამართული დაირა, / და ვუკრავდით დაირას და ვმღეროდით აი, რას:“ ნეტავ ახლა სად არის ბერიკიანი ზაირა!

ეჰ, ვინ იცის, მართლაც სად არის ახლა ბერიკიანი ზაირა!..

აქ იწყება პოეზია, იწყება მაშინ, როცა ვიღაც ან რაღაც სამუდამოდ ქრება. ახლა აღარც ბერიკიანი ზაირაა და აღარც ის დაირა, მაგრამ დარჩა ლექსის მთქმელი და, რაც მთავარია, თვითონ ლექსი, რადგან ვიღაც ან რაღ-

აც უნდა დარჩეს, როგორც მომგონებელი, როგორც მსოფნელი.

ძალზე შთაბეჭდავია ლექსი „ნამდვილი ამბავი“. ბესიკი თავდაპირველად იესოს მოუხმობს, მერე მუჰამედს და ორივეს ატყობინებს თავის საიდუმლოს, რომელიც ჯერ არავისთვის გაუმხელია. გაუმხელებელი საიდუმლო კი ასეთია: „ყოველ დღე ღამის ოთხ საათზე მეღვიძება და - მემონია“. ამავე დროს, პოეტი მუჰამედს ასე მიმართავს: „ხედავ, რა ცოტაა ჩვენ შორის სხვაობა, საერთო კი ბევრია: ადამიანობა...“.


ბესიკ ხარანაულის ლექსებში ყველაზე მნიშვნელოვანი აზროვნების თავისუფლება იყო. ასეა ახლაც. ის ახლაც იმაზე წერს, რასაც ფიქრობს და გრძნობს. წერს უშეღავათოდ, უცერემონიოდ. მხოლოდ ადრე მისი სახეობრივი აზროვნება მდიდარიც იყო და უბრალოც. ახლა კი, თუ ამ ნიგნის მიხედვით ვიმსჯელებთ, უბრალოა და მარტივი. მხოლოდ ახალი თვისებაც შეიძინა - პუბლიცისტური პირდაპირობა. იქნებ პოეზიას არ შეუვინის ეს თვისება? ამას არად დაგიდევს პოეტი. უნდა თქმა და ამბობს.

ლექსში „ნატვრა ღამაზე თვალებისა“ თითქოს პარადოქსულად ამტყველებული განცდა თუ აზრია გამოხატული - ღამაზე თვალის ნაიშალა, გაქრა. ქართული ქალების თვალეში სევდამ, ჯავრმა, დარდმა დაიბუდა. ასეთი აზრიც კი გაიღვებს: „მე წავართვი ხალისი, თუ ჩემმა პაპის პაპის პაპამ...“ არავინ იცის, როდის აღმოაფხვრა ამ თვალეში გამჭვირვალეობა, სილაყვარდე, ხბიობა და გაჩნდა სიმძიმე, უძრაობა, უმტყველობა, კიდევ ერთი ფრაზა: „რამ ჩაუქრო თვალში სხივი, ცრემლის ღვრამ თუ ცრემლის ყლაპვამ?“ ამავე ციკლის ლექსებია „არის დრო, ადამიანი...“, „ბოდიშს გიხბი, საქართველო!..“, „რატომა გეკია სამშობლოც, ასეთი მწარე სახელი“. ბესიკი სიბერეზეც წერს და სიკვდილზეც. ეს ლექსებიც ხალხურ კილოზეა დაწერილი და ყოფნა-არყოფნის ფოლკლორულ ვარიაციებს ეხმაურება, მაგრამ მაინც სხვა არის, მაინც ბესიკისეულია. ამ ტრადიციულ და მრავალფეროვან განხილულ ინტონაციებში პოეტი უეცრად ისეთ სათქმელს შემოაცურებს, ისეთი მიმართულებით წარმართავს ლექსის მდინარებას, რომ ზოგჯერ ალბათ თვითონვე გაკვირვებული რჩება. „ორი შელოცვა“ - ასე დაურქმევია ბესიკს სიბერესა და სიკვდილზე დაწერილი ლექსებისათვის. ამ ლექსების ლექსიკა ისეთი ხისტი და „ზეპირსიტყვიერი“, რომ მართლაც შეულოცვისეულია. ეს ნიგნიც ერთი გაბმული შელოცვის ტექსტია.

ანდრო ბუაჩიძე

სხვა რეალობაში

ზაზა თვარაძე



ჩაღეჩი მანდი!

სურათი: ვ. ბერიძე

ზაზა თვარაძე, „ჩაღეჩი მანდი“ (ქეხები, ინტერვიუები, ჩანანერები), თბ. „ინტელექტი“, 2014.

ზაზა თვარაძე 50 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან. ამას ვერხადროს შეეცდებოდა, რადგან ის ჩემი მეგობარი იყო. ქეხების და ჩანანერების მოწოდებელი წევრი, რომელიც ახლა ჩემს წახ დებს, მრავალ საფეხურს აღმომიწევს. ექვთიას ქუჩაზე, ცხადია, ვერ ვისაუბრებ. წიგნი მრავალმხრივია და ფიქრადაც არა მძალს, თუნდაც რომელიმე ამომწურავად ვისაუბრო მასზე. ზაზას გარდაცვალებიდან მეშვიდე წელი გასრულდა და ამ წიგნის გამოცემა საბაბს მძალევს კიდევ ერთხელ ვაგონებ ჩემს მეგობარს. ამ წიგნში მწერლობაზე, როგორც თავის მიხრობაზე საუბრისას ზაზა უჩვეულო თავისებობას ამჟღავნებს. ის აქვს, როგორც სხვებს, გულგახსნილი და გულწრფელია. ინტერვიუს ამბობს, რომ ლექსებს და პატარ-პატარა მოთხრობებს ბავშვობიდანვე წერდა, მაგრამ ადრეულ ასაკში მწერლად გახდომას ვერცხრობდა არ უფიქრობდა.

მწერლობა რომ ილია საქმიანობა არ არის და ბედისწერა უფროა, ვიდრე პროფესია, ეს მან ბავშვობიდან იცოდა. აღბათ ამბობდაც არ უთქვამს, რომ მწერლობის ამბობდა. მსჯელობდა იმისა, რომ სტუდენტობის წლებში დროდადრო მოთხრობებს და ლექსებსაც წერდა, გამოქვეყნებო არ უცდია. 18-19 წლის ასაკში ახალგაზრდა კალმისწები წვეულებრივ ცნო-

ბილ მწერლებს ბავშვს, ზაზას ნაწარმოებები კი არავისას არ ჰგავდა. ეს იყო თემორისტული, თუმცა შემწარავი ელფერის ფანტასმაგორიები. ერთნაირად ხარკასტული იყო მოთხრობებიც და ლექსებიც. ყოველივე ეს ცდას ჰგავდა, რომელიც ბოლომდე არ განხორციელდებოდა, არც გამოქვეყნდებოდა. რაღაც ახალი იბადებოდა, იბადებოდა მისი შემოქმედების მკრთალი კონტურები, არადა იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ზაზა ერთობდა და სრულიადაც არ ანიჭებდა მნიშვნელობას ამ ადრეულ ცდებს.

მახსენდება მაქს ბრიდის მოვინება იმის თაობაზე, თუ როგორ კითხულობდა კავკასიის თვის მოთხრობებს და სხვებისა ერთად თვითონვე როგორ ქილიკობდა. რაღაც ამდაგვარი იყო ზაზას მამინდელი შემოქმედება, მხოლოდ იმ განხვავებით, რომ მას მსგავსი თვითონისა არ ჰქონია, სეროზულად ქმნიდა ფანტასმაგორიებს. მეორე კი როცა „ნოთელი ძაღლები“, „მონტებულსუ“ ან „სიტყვები“ დაწერა, ამ თხზულებებში ირონია კი გამოსჭვავიდა, მაგრამ თემორისტული საბურველი სადღაც გავქრა.

ფრანც კავკასი ვახსენე და მისდა თქვეა, რომ ძალიან უყვარდა ეს მწერალი. მახსოვს, 70-იან წლებში 1964 წელს გამოცემული „მზათობი“ გამომართვა, სადაც ზურბ კაკაბაძის ორი შესანიშნავი თარგმანი იყო დაბეჭდილი - „მეტამორფოზა“ და „განაჩენი“. ზაზა ხშირად საუბრობდა ამ მოთხრობებზე.

სტუდენტობის წლებში ზაზა პავლივის ქუჩაზე ცხოვრობდა. კუთხის ბინიდან ჰეკინის ფართო ქუჩა მოჩანდა. მისი თაბახი იყო მისივე სამკითხველი. ყოველი მნიშვნელოვანი წიგნის ნაკითხვა სამყაროს აღმოჩენის ტოლფასი გახლდათ. ზაზა ეძებდა აზრს გამწარებელს და იოლად მოულობდა კიდევ, ვინაღაც სტუდარი არ აკლდა. მის თაბახში მეგობრები ხშირად ვიკრებოდით. მახსოვს, ჰერმან მელილის „მობი დიკი“ რომ მანკითხა, ვერ ისვენებდა, წრიალებდა, გამუდმებით საუბრობდა ამ წიგნზე. ზაზა მთელი არსებით, ემოციურად იღებდა და ითვისებდა ნაკითხულ ნაწარმოებებს, თავისებურად განხვრეტდა პერსონაჟებს, რაც ნიჭიერების ამკარა ნიშანი იყო. პერსონაჟებზე ისე საუბრობდა, როგორც ცოცხალ ადამიანებზე და იმ რეალობაში ცხოვრობდა, რომელიც წიგნში იყო განფენილი. ჩემთვის სწორედ ეს ემოციური დამოკიდებულება მნიშვნელოვანი, რადგან მხატვრულ ლიტერატურაში აზრის ემოციური შეყვრილობისაა. გული მწყდება იმაზე, რომ ამ ახლადგამოცემულ წიგნში არ აღიბეჭდა ზაზას ადრინდელი საუბრები ლიტერატურაზე. არც აღიბეჭდებოდა, ვინაღაც ზაზასთვის მამინ არავის ჩამოურთმევია ინტერვიუები. მოგვიანებით ზაზამ დიდწილად საქართველოს სავალდლო რეალობაზე, ლეოსამეტყველების, რმწენის და ურწმუნობის საკითხებზე ფიქრს მიუძღვნა დრო (რაც უმნიშვნელოვანესია მის სულიერ გამოცდილებაში და ამ წიგნშიც აისახა) ადრე კი უფრო ლიტერატურას და მუსი-

კას იყო მიდევნებული.

ესეისტიკა და პუბლიცისტიკა ცხოვრებამ მოიტანა. ყოველივე ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან 90-იან წლებში და მანამდეც გაუსაძლის ვითარებაში აღმოვჩნდით, საკუთარი თავის და ქვეყნის გადარჩენაზე ვფიქრობდით. ლიტერატურაზე ფიქრის თავი აღარავის ჰქონდა.

ამ მსოფლმხედველობრივმა გამოცდილებამ დაანერინა ზაზას წინამდებარე წიგნში დაბეჭდილი ესეისტიურ-პუბლიცისტური წერილები და ამისგან განუყოფლად მისივე საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებები. ოღონდ ამ წიგნში უშუალოდ ლიტერატურაზე წერილობითი სახით შემორჩენილი საუბრები პუბლიცისტიკასთან შედარებით ნაკლებია. აქ არის ერთი შესანიშნავი ლიტერატურული წერილი - „სურამის ციხე“ და „მსხვერპლშენიერვა“ და ცალკეული ინტერვიუები ლიტერატურის თემაზე.

ამიტომ, მინდა გავიხსენო ყმანვილობისდროინდელი ზაზა, როგორც ლიტერატორი, ვინაიდან მიმანია, რომ ყოველი მწერალი, ამავე დროს ლიტერატორია, ანუ ის ადამიანია, ვისაც აქვს თავისი შემო-

ქმედებითი ლაბორატორია. მახსენდება თომას ვულფის სტუდენტებთან შეხვედრისას ნათქვამი: „მე თქვევითან მოვედი პირდაპირ სახელოსნოდან, სადაც დიდხანს და ბევრთად ვირჯუბოდი“. ზაზაც ასე ირჯუბოდა. მას სხვადასხვა ადგილებში უწევდა ცხოვრება. კარიერას, სიმდიდრეს და რეგალიებს არად დაგიდევდათ. შეეძლო მცირე ფართი ეკმარა, სადაც მუსიკას მოისმენდა, წიგნს წაკითხავდა და რამეს დანერდა. ასეთი იყო მისი ცხოვრება. ძალიან უყვარდა ინგლისური ფეხბურთი და ლიტერატურა, საერთოდ, ანგლომანი იყო, უყვარდა ლეინო, სუფრა, მეგობრებთან ცხარე კამათი, გიტარაზე დაკვრა და სიმღერა. შესანიშნავად უკრავდა და მღეროდა.

ზაზას შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს მომენტად ქართული ენის ფლობა მიმანია. ის მართლაც ზედმიწევნით კარგად ფლობდა ენას. ვინ იცის მერამდენედ უნდა მოვიხმო პოლ ვალერის მშვენიერი სიტყვები: „მწერლობა სიტყვიერი ხელფენებაა, უკეთესია ის, ვინც უკეთ ფლობს თავის ენას“. ზაზას ნიგნი „ჩაადექი მანდ!“ სწორედ ენაზე საუბრით იწყება. ეს არის ეგზალტირებული, მეტაფორული





ფრაზეოლოგიით დაწერილი ესე ენაზე, როგორც ცოცხალ ორგანიზმზე, რომელიც მუდმივ ცვალებადია: „ენა არ არის ურთიერთობის საშუალება, აზრის გამოხატვის საშუალება, და საერთოდ არანაირი საშუალება თუ იარაღი - ენა ცოცხალი სხეულია, ისევე როგორც ადამიანის ტანი - იზრდება, იფურჩქნება, მეორე ხანს სუსტდება, ავადდება და სხეულით სჭირდება ნაჰალი, ახალი სისხლი, განკურნება...“ - წერს ზაზა.

ზაზა თარგმნიდა რელიგიურ გამოკვლევებს, სტატიებს ხელოვნებაზე, თავისუფალ ლექსებს და ეს თარგმანები უზადოდ იყო შესრულებული. როცა ვკითხულობ მის „მონტებულსუს“ ან „სიტყვებს“ ისეთი შთაბეჭდილება მექნება, თითქოს სიტყვის გრაფიკული გამოხატვა და ფრაზის სისხლორცული შეგრძნება თავის ნილ შთაგონებას ანიჭებს ზაზას. მას ენის მძაფრი და გამახვილებული აღქმა ჰქონდა, ამიტომაც აზრი მის ფრაზაში სახედ იქცეოდა, პლასტიკურ გამოხატულებას იძენდა.

დაკნის, უფარე პო, სტივენსონი, ვაშინგტონ ირვინგი, ნათანიელ ჰოთორნი - ყმანვილობისას ზაზას საყვარელი მწერლები იყვნენ. მათდამი სიყვარული ბოლომდე არ განვლებია, ბოლომდე იცავდა „მთა უფლებებს“. ჩემი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია, როცა ყმანვილკაცობის რომანტიკული პერიოდი თვითონ ლიტერატურული რომანტიზმი გატაცებას ემთხვევა. ასეთ დროს ყმანვილმა ბოლომდე უნდა შეავსოს თავის თვალსაწიერი, ბოლომდე უნდა ამოწეროს ის სფერო, რომელიც სულიერ საზრდოს და წარმოსახვით გასაქანს ანიჭებს მას. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანს თავის ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებაში არ უნდა დარჩეს გამორტოვებული საფეხურები, თეთრი ლაქები, რომელთაც ვერც ძნელად თუ შეავსებს. ერთგვარი ვაჭყორი რეაქცია ლიტერატურაშიც არსებობს. ვთქვათ, ბოდლერის მიერ თარგმნილმა ედგარ პოს „ყორანმა“ ახალ ევროპულ ლიტერატურულ ეპოქას დაუდო სათავე. დაიბადა სიმბოლიზმი, დადავ ლირიკული პოეზიის უჩვეულო აღზევების ხანა. რომანტიზმის შემდეგ XX საუკუნეში ჯერ იყო რეალისტურ-ნატურალისტური ნაკადი და მერე - სიმბოლიზმი.

მასხური ზაზას ინგლისურად ნაკითხული „ყორანის“ ფრაგმენტები. ის მომწუსხველ უღრმადობას უსვამდა ზაზას, საუბრობდა სუგესტიურობაზე და სწორედ ეს შთაბეჭდილება ქმნიდა ეპოქის რეალურ სურათს. ყველაფერი კი, ცხადია, რომანტიზმიდან იწყებოდა.

აქ იმის თქმა მინდა, რომ რომანტიზმის ყოვლი-სმორცველი ნიღოს ვარემ ახალ დროში არაფერი არ არსებობდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ რომანტიზმის და სიმბოლიზმის შეგრძნება რეალთვის შენაღლებული გახდა არა მანიფესტების და ტრაქტატების გაცნობით (თუმცა ესეც აუცილებელია), არამედ ნაწარმოებების დაგეგმვებით. ზაზა სწორედ ასეთი დაგეგმვების ოსტატი იყო.

ჩვენ ვკითხულობდით და ვეცნობოდით ლიტერატურას უსისტემოდ, ეპოქათა გზამკვლევის გარეშე, მაგრამ მოგვიანებით ყველაფერი დალაგდა და მონესრიგდა. მთავარი კი, როგორც უკვე ვთქვი, იყო ცალკეული ნაწარმოებებისგან მიგრული წა-


რშმული შთაბეჭდილება. ზაზა სწორედ ასეთი ნაწარმოებების აღმომჩენი და გამომჩხრეკელი გახლდა. მაგონდება სტივენ კრინის „ცისფერი სასტუმრო“, ამბროს ბირსის პროკა, დილან ტომასის ლექსები, თომას ვულფის ცალკეული პოეტური ნიღსვლები რომანიდან „მოხედე შენს სახლს, ანგელოზო“ და მისივე „დაკარგული ბიჭი“, ჰერმან მელვილის „გადამხერი ბარტლი“, ჰერბერტ უელსის რომანი „უჩინარი კაცი“ და მოთხრობები, ჩესტერტონის ნოველები, წერილები და წიგნი დიკენსზე, ჯოზეფ კონრადის „ლაგუნა“ და „ლორდ ჯიმი“ და სხვ მრავალი ნაწარმოები, რომელთა შესახებაც ზაზას ძალიან დიდხანს შეეძლო ესაუბრა. ზაზა არ იყო დეკლამატორი, ის უბრალოდ კი არ ციტირებდა ცალკეულ პასაჟებს თუ შერასწავების ნასაუბრებს ან ნაწარმოებებიდან, არამედ ამ თხზულებათა რეალობაში ცხოვრობდა და იქიდან გვესაუბრობდა. მისი საუბარი შთაბეჭდილებას ახდენდა, ვინაიდან ის აბსოლუტურად გულწრფელად იყო შთაბეჭდილი ნაკითხულით და ცდილობდა შენე შეეყვანე ამ რეალობაში. ის ჰვავდა მაგს თუ ქურუმს, რომელიც წიგნიერების რომანტიკულად მომზობლავ სამყაროში გეპატივებოდა. ერთხელ მასხვს დიღმის მასივში მოვიდა ჩემთან და განმიცხვავდა, ახლა აქ რომ მოვდივდი, დოსტოევსკის სვიდრიგიალოვი შემეხდა გზაში.

ასე იყო თუ ისე, ამ ყმანვილკაცობისდროინდელ გატაცებებს თავის კუთვნილი ადგილი ჰქონდა დროში და სივრცეში. მერეც უკვე, როცა მონიფული ზაზა ოლდოს ჰაქსლის (მეოცე საუკუნის საუკეთესო მწერლად მიაჩნდა) რომანებს კითხულობდა, ადრინდელი მოგზაურობა ლიტერატურულ სამყაროში არამცთუ არ უარუყვია, უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიიჩნია. ეს პერიოდი მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა, ვინაიდან მისივე ლიტერატურული გემოვნება იმხანად ყალიბდებოდა. აქი ამბობს კიდევ ერთ ინტერვიუში: „საყვარელი მწერლები რომ არ მყოლობდა და არავის გავლენა არ განმეცხვავდა, წერას ალბათ არც დავიწყებდი. სხვადასხვა დროს უამრავი საყვარელი მწერალი მყავდა“.

ზაზას ჰქონდა უნარი ნაკითხული ნაწარმოები ისეთი კუთხით მოვლენდებინა და ისე წარმოეჩინა შენს წარმოდგენაში, რომ ამ ნაწარმოებს უჩვეულო სხივი და მადლი შესქნოდა. ამას სწორედ იმ ემოციური კონტაქტის მეშვეობით ახერხებდა, რომელზეც უკვე ვილაპარაკეთ და რომელიც მას მთელ გარემომყაროსთან აკავშირებდა. ნიგვნი რომელსაც პირობითად ეწოდა „ჩადექი მანდი!“ კარგად ჩანს ზაზას ხასიათი, მისი ნატურა. ეს არის მოუსვენარი კაცი, რომელსაც ცნობისნადიდა არ აკეთებს, ეს კაცი ეძებს, ჩხრება, ეკამათობა და ეკითხება გარშემომყოფებს. ზაზას მკლავები არ დაუკაპინებია, არ მიმჯდარა საწერ მაგიდასთან და არ უთქვამდა, ვნერ და ხელი არ შემომალაოთ, ის სპონტანურად ქმნიდა თავის ნაწარმოებებს, ვინაიდან სათქმელი არ ასვენებდა. საქართველოს ბედზე და ქართველი ადამიანის მოართლურ სახეზე ფიქრზე ბუნებრივად დაიბადა, სწრაფად ინერებოდა, მოუსვენრობა და ნერვიულობა ახლდა და საბოლოოდ ამ ნიგვნიდ შეკრული მივიღეთ.

ზაზა შათირიშვილი

ექსისტენციური გამოცდილება და „დახშული ლიტერატურა“: ლევან ბერიძის რომანი „ფორა“



თანამედროვე კანადელი ფილოსოფოსი ჩარლზ ტილერი ისეთ სამყაროს, რომელშიც ტრანსცენდენტური განზომილება ბლოკირებულია, „დახშული, ჩაკეტილ სამყაროს“ (Closed World) უწოდებს. ტეილორის მიხედვით, ესაა - „სამყაროს ისეთი ფორმები, რომლებიც ადგილს არ ტოვებს ვერტიკალის ან-და ტრანსცენდენტურისათვის. ამგვარი სამყაროები ახშობს, კარს უკეტავს ტრანსცენდენტურ [განზომილებას] და მას მიუღწევად ან, სულაც, მოუაზრებლად აქცევს“¹. ამგვარი ჩაკეტილი სამყაროს ერთ-ერთ ნაირსახეობას ე.წ. „პოსტმოდერნისტული“ ლიტერატურა (და - ფართო გაგებით, პოსტმოდერნისტული ნარატივი) წარმოადგენს. ესაა ლიტერატურა, რომელიც ლიტერატურიდან და ტექსტებიდან კეთდება („ინტერტექსტუალობა“) და რომელიც მუდმივად მიუთითებს საკუთარ „ლიტერატურულობას“ და „ტექსტუალობაზე“, რომ ის გამოგონილია, ფიქციური ბუნებისაა („მეტაფიქციურობა“). ამიტომაც, ნიგინი და ნიგინის ხატი პოსტმოდერნისტული მწერ-

ლობის მთავარ ფიგურად იქცა.

აქ შეიძლება გავიხსენოთ პუანკარესული არსებები, რომელთაც მხოლოდ ორი განზომილება აქვთ. როგორც პუანკარე მენიშნავს, ამგვარი არსებებისათვის, მაგალითად, იმ ბურთის ზედაპირი, რომელზეც ისინი იმძირავებენ, უსასრულო სიბრტყე იქნებოდა.

მაშასადამე, „პოსტმოდერნული ლიტერატურა“ ესაა - „ზედაპირის ლიტერატურა“ (ჟილ დელეზის ტერმინოლოგიას თუ გამოიყენებთ), ანუ, სხვაგვარად - ესაა სიბრტყის ლიტერატურა, რომელმაც აღწერის ტრანსცენდენტური განზომილება - ექსისტენციური სიღრმე ან მეტაფიზიკური სიმაღლე.

ამ აზრით, უმბერტო ეკოს, პერეს-რევერტეს, პიტერ აკროიდის, ჰარუკი მურაკამის, ამინ მაალუფის, ორჰან ფამუქის და სხვ. პროზა ტიპური „ზედაპირის“ ანუ - „სიბრტყის ლიტერატურა“², სადაც ტექსტები უსასრულოდ აციტირებენ სხვა ტექსტებს და მუდმივად მიუთითებენ საკუთარ ფიქციურ, გამოწავაზებულ ბუნებაზე.

ცხადია, ამგვარი ლიტერატურისა და მხატვრული ტექსტების მიღმა არსებობს სხვა ტექსტებიც, სადაც ჩვენ ვხედავთ ექსისტენციურ შინაარსსა და ტრანსცენდენტურ გამოცდილებას - აქ შეიძლება, მაგალითისათვის, დავასახელოთ უზუცესი პორტუგალიელი კინორეჟისორი მანოელ დი ოლივეირა (მას სულ მალე 106 წელი უსრულიდება), იტალიელი კინორეჟისორი ერმანო უსემი, პოლონელი კინორეჟისორი რიკმიშტოვ ზანუსი, ახლახან გადაცვლილი ბერძენი კინორეჟისორი თეო ანგელიპულოსი, ესტონელი კომპოზიტორი აარგო პერტი, პოლონელი კომპოზიტორი კიშიშტოვ პენდერევიკი... ამავე დროს, უნდა შევნიშნოთ, რომ სულ უფრო და უფრო ჭირს ამგვარი ტიპის შემოქმედთა დასახელება ლიტერატურის სფეროში. თუმცა, ცხადია, აქაც შეიძლება მსგავსი მაგალიტების მოხმობა. ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამორჩეული მწერალი, ამ კუთხით, ესპანელი ხოსე ხიმენეს ლოსანოა.

თუკი თანამედროვე ქართულ ლიტერატურას გადავხედვთ, დავინახავთ, რომ მწერალი, რომლის შემოქმედებაც ექსისტენციურ გამოცდილებას შეიცავდა, ნამდვილად გახსლდა არცთუ დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ოთარ ჭილაძე. მისი პროზაცა და პოეზიაც დამყარებული იყო არა ლიტერატურულ აღუზიებას თუ ე.წ. ორმაგ კოდირებაზე, არამედ იმაზე, რასაც პიროვნული ხმა შეიძლება ვუწოდოთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის „ლაპარაკობდა არა როგორც მწიგნობარი, არამედ როგორც - ძალაუფლების მქონე“. რაც შეეხება მიმდინარე სალიტერატურო სივრცეს, ასეთივე, ოღონდ, ცხადია, სრულიად განსხვავებული პიროვნული ხმით აღბეჭდილია ნაირა გე-

Ch. Taylor. Modernity and Closed World Structures: Talk on the occasion of receiving the Josef Pieper Prize In Wissen und Weisheit (Hrsg. H. Fechtrop, u.a.), M nster 2005, 137-169

ლაშვილის როგორც მხატვრული, ისე პუბლიცისტურ-რი პროზა.

ლევან ბერიძის რომანი „ფორა“ (2014წ.) სწორედ ამგვარი ლიტერატურის ნიმუშია. ამ ნაწარმოებში, ასევე, ისმის პიროვნული ხმა და ჩანს ავთენტური ექსისტენციური გამოცდილება.

ლევან ბერიძე (1963წ.) გერმანიისტიკის ფაკულტეტი საბჭოთა ეპოქის მინურულს დაამთავრა. ის მალევე გერმანიის გაემგზავრა დოქტორანტურაში სასწავლებლად. სადისერტაციო თემად მან რაინერ მარია რილკეს პოეზია აირჩია. მოხდა ისე, რომ მეთ-ელი მისი შემდგომი ცხოვრება სწორედ ამ ქვეყანას დაუკავშირდა. ვასული საუკუნის 90-იანი წლების მე-ორე ნახევარში ლევან ბერიძემ ძალა ლიტერატურის სფეროში სცადა. საგულისხმო ისაა, რომ მან წერა გერმანულ ენაზე დაიწყო და მცირე ხანში ერთ-ერთ სალიტერატურო სემინარზე თანამედროვე გერმანულენოვანი ლიტერატურის კლასიკოსის პეტერ ჰან-დკეს მოწონებაც დაიმსახურა. კერძოდ, ჰანდკემ აღნიშნა, რომ ბერიძის „სახე-ხატები, რიტმი, მანერა გამოჩნეული, მძლავრი და პოეტური“.

„ფორა“ მწერლის პირველი რომანია. ისიც თავ-დაპირველად გერმანულად დაიწერა და ამის შემდეგ ავტორმა თავადვე თარგმნა საკუთარი ტექსტი ქართულ ენაზე. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ქართულზე უფრო ადრე რომანი ლატვიურად ითარგმნა (2012წ.) და მას ძალიან საგულისხმო პრესაც მოჰყვა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შესანიშნავი ლატვიელი კრიტიკოსის ნორმანდს ნაუმანისის რეცენზია - ამის შესახებ ქვემოთ!

დღევანდელ სიტუაციაში საკმაოდ გახშირდა შემთხვევები, როცა ესა თუ ის ავტორი სალიტერატურო ენად ირჩევს არა თავის ეთნიკურ, არამედ იმ საზოგადოების ენას, რომელშიც მას ცხოვრება უხდება. ამ ფენომენის შესახებ დღეს საკმაოდ ბევრი იწერება, ხოლო მძირ შემთხვევაში საინტერესო და არა-ტიპიკალური დამკვირვებელიც გამოითქმება ხოლმე. ლევან ბერიძის რომანში ამ ენობრივ კოლიზიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია - ამბავს ნაწარმოებში პირველი პირი მოგვითხრობს, რომელიც გერმანულია და სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო თბილისში აღმოჩნდება.

რომანის სიუჟეტური ქარგა XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ვითარდება - საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა თბილისში სრული ქაოსია, ხოლო ქვეყანაში, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომი მიმდინარეობს.

რომანის ერთ-ერთი გამჭოლი ფიგურა-ხატი ძალი და ძალღებია. ჩვენ „თბილისელ“ ძაღლებს შესანიშნავად ვიცნობთ აკა მორჩილაძის მეორე რომანიდან სახელწოდებით - „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“. მაგრამ მნიშვნელოვანი სწორედ ისაა, რომ ბერიძის რომანში ეს არც ალუზია და არც ციტატა - უფრო მეტიც - ძაღლისა და ძაღლების ფიგურა არა-თუ აახლოებს ამ ორ ტექსტს, არამედ - მაქსიმალურად აშორებს ერთმანეთს.

საქმე ისაა, რომ ლევან ბერიძის რომანში შემოდის ის განზომილება, რასაც, ჩარლზ ტილორის კვლადკავალ, შეიძლება ვერტიკალური ვუსწოდოთ. როგორ ხდება ეს?

ერთი მხრივ, ამაზე საუბარი ნეგატიური ენით

შეიძლება: ბერიძის რომანის გაგებაში ვერ გვეხმარება ვერც ინტერტექსტუალური ნაკითხვა და ვერც ციტატებისა თუ ალუზიების აღნუსხვა. არსებობენ ამგვარი ტექსტებიც - აქ მთავარი არა იმდენად სტრუქტურა და მნიშვნელობაა, რამდენადაც - საზრისი. არა შეკითხვა - თუ როგორია ტექსტი აგებული? არამედ - რას გვეუბნება ნაწარმოები?

მაგრამ, მეორე მხრივ, ნაწარმოების ვერტიკალურ განზომილებას ბევრნილად განსაზღვრავს ჯვრის მოტივი, რომელიც თავიდან სრულად რეალისტურად და გროტესკულადაა წარმოდგენილი (ნაწარმოების გერმანულ პროტაგონისტ-მთხრობელს ფანატიკოსი დემონსტრანტიები უშეუღებელ ჯვარს შურ-გვი ჩასცებენ - ერთი შეხედვით, სრულად შემთხვევით და „დაუმსახურებელი“ - მას ხომ არანაირი წარმოდგენა არა აქვს იმ პოლიტიკურ ვენებზე, რომელიც ამ ქაოსში თამაშდება!), მაგრამ ამ გროტესკული დასაწყისიდან ეს „სტიგმა“ სწორედ ახალი ექსისტენციური გამოცდილების საწყისად იქცევა.

კიდევ ერთი ეპიზოდი, სადაც ეს გამოცდილება უკვე სრულიად ცხადად განითქვება, კირკევროს საყვარელ წიგნთან ხელშეკრულ შეხედვას, რომლის რუდუნებით გადაღებულ და სხვადასხვა ფერის ფლომასტერებით აჭრელებულ ქსეროასლაც მთავარი მოქმედი პირი ერთი თბილისური ოჯახის ბიბლიოთეკაში აღმოაჩენს.

მე აქ სავსებით შეგნებულად თავს ვარიდებ რომანის დანერგვით ანალიზს, რადგანაც ეს ნაწარმოების შინაარსის უფრო დეტალურ გადმოცემას მოითხოვს. არადა, „ფორა“ გარკვეულ „დეტექტიურ“ შრესაც შეიცავს, რის გამოც სრულიადაც არ მსურს, რომ მკითხველს მისი პირველად ნაკითხვის გემო დავაკარგვიო. ოღონდ, აქვე შევნიშნავ, რომ ეს „დეტექტიური შრე“ არა სიუჟეტურ, არამედ თხრობის დონეზე თამაშდება. იმავე ნაუმანისმა თავის რეცენზიაში განსაკუთრებულად აღნიშნა რომანის ეს თვისებებურები: „მიუხედავად იმისა, რომ რომანი თოხაიკური სტილითაა დაწერილი, თხრობის ძაფი არსად არ წყდება. გვერთხვით, რომ ესაა თანამედროვე პროზაში შესრულებული ბოუზენის* პიესა“. მართლაც, კითხვისას დგება წამი, როცა მკითხველი კარგავს მყარ ნიდავს და უკვე აღარ იცის, თუ სად იმყოფება - რომელ ენობრივ გარემოში, რომელ ქრონოტოპოში თუ ფიზიკურ ანდა მეტაფიზიკურ განზომილებაში.

დაბოლოს, უმთავრეს ექსისტენციურ გამოცდილებას რომანის გმირი ამგვარი სიტყვებით გამოხატავს: „... არ არის აუცილებელი რამეს შეეხო, რომ მისი დაჯერო, განსაუთრებები მაშინ, როცა ამ რაღაცისგან უკვე მიიღე ნიშანი...“ სწორედ ასეთია რწმენის ქრესტომათიული განმარტებაც.


* გოტფრედ ბოუზენი (1813 - 1837) - გენიალური გერმანელი დრამატურგი, რომელმაც თავის ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე მხოლოდ სამი-თოხი პიესისა და ერთი მცირე მოთხრობის დაწერა მოასწავა. მისი დაუსრულებელი დრამა „ვოცეკი“ (1837 წ.) მხოლოდ XX საუკუნეში იქნა ჯეროვნად დაფასებული. მის საფუძველზე ახალი ევანურული მუსიკის თვალსაჩინო წარმომადგენელმა ალბან ბერგმა ამავე სახელწოდების შესანიშნავი ოპერა შექმნა.

არჩილის დეკემბრის რჩეულები

ლაშა ბულაძე, 22აკ. პიესები,
თბ., ბაკურ სულასკურის
გამომცემლობა, 2014.



ფრანგულიდან თარგმნა დეიტი
კახაბერიძე, თბ., კლდის
გამომცემლობა, 2014.



საბავშვო, სანჩოს გასეირნება,
ნოტელები ლია ჩლიაძე, რჩული
სულასკურის გამომცემლობა, 2014.




ინა არჩაუშვილი, მას ერქვა
ვატანაბე, თბ., გამომცემლობა
ინტელექტი, 2014.




ივა ფეზაუშვილი, «ვცადე»
თბ., გამომცემლობა
ინტელექტი, 2014.



გაბრიელ გარსია მარკესი, ჩილეში
არაღმკმარაუად შეპარული მიგელ
თარგმნა თეა გეასალიაძე,
გამომცემლობა ინტელექტი, 2014.




კლოდ სიმონი, ფლანდრიის გზა,
ფრანგულიდან თარგმნეს ილია
ბასეიანიძე, თბ., გამომცემლობა
ინტელექტი, 2014.




საბედნიეროდ, რომანი, ფრანგულიდან
თარგმნა მანანა ბოსტოლანაძე,
თბ., გამომცემლობა აგორა, 2014.



კარაბინით, დანიელ პენაკი, ფერია
თარგმნა ნატა ბალავაძე,
თბ., გამომცემლობა აგორა, 2014.



სიმონ დე ბოვუარი, ფაში სულეურების
ბუბისა, მთარგმნელი გიორგი ძნელაძე,
თბ. ფემინისტური ბიბლიოთეკა, 2014.



ბილსიტცეობა, ბილსიტცეობა,
ბილსიტცეობა, შეკობა იოსებ
მრეგორაშვილმა, თბ. 2014.



ეს ბავშვობა ყოფილიყო თქვანი რაკვამი

ნ. 59/19

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

